ორმოცდაერთი შეცდომა A2

როგორ დავძლიოთ საქართველოში "საბადასახადო სეპარატიზმი"? A8

წერილები მთავრობას B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 5 ოქტომბერი, 2004 წელი. №236 (785)

ფასი 50 თეთრი

*პოლიტიკა*

### საბიუჯეტო "სეზონი" მოახლოვდა



მთავრობამ პარლამენტში 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და მასთან დაკავშირებული 39 კანონპროექტი წარადგინა.

A2

*ეკონომიკა*

### ლარმა 9 წლის მანძილზე ყველა დარტყმას გაუძლო



"ეროვნული ვალუტა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტია. განვლილი 9 წლის მანძილზე იგი საქართველოში ფინანსური სტაბილურობის გარანტადაც იქცა."

A4

*უცხოეთი*

### სტივენ სესტანოვიჩი: პრეზიდენტი კერი უფრო თავშეკავებული იქნება



სტივენ სესტანოვიჩის აზრით, არჩევნების შემდეგ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები აუცილებლად შეიცვლება.

A5

*საზოგადოება*

### ახალციხის ინციდენტი



დაზარალებული ჭიჭიკო გელაშვილის ნაამბობი.

A7

*ამინდი*

| | 5/10 | 6/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 17 |
| ქუთაისი | 21 | 22 |
| ბათუმი | 17 | 19 |
| სოხუმი | 18 | 20 |
| ფოთი | 19 | 20 |
| თელავი | 14 | 14 |
| ზუგდიდი | 21 | 22 |
| გორი | 14 | 14 |
| ახმეტა | 16 | 16 |
| ჭიათურა | 18 | 18 |
| გაგრა | 16 | 19 |
| სამტრედია | 21 | 21 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.2520 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2667 |
| რუბლი | 0.0623 |

# კორუფცია

# უმაღლესი განათლების განუყოფელი ნაწილი

*დღეისათვის საქართველოში კორუფცია უმაღლესი განათლების სისტემის განუყოფელი ნაწილია. იგი ძირს უთხრის ეროვნულ თვითშეგნებას, უსაფრთხოებასა და ქვეყნის წარმატებულ მომავალს. საბჭოთა მართვის ფორმები, მისი ხარვეზებით, კვლავ მწვავე პრობლემად რჩება არა მხოლოდ უმაღლესი განათლების, არამედ მთლიანად ქართული საზოგადოებისთვის. განათლების დარგში შექმნილ უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას კარგად ავლენს საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის 2003 წლის მასალები. წინამდებარე სტატია მომზადებულია სწორედ ამ მონაცემების გამოყენებით.*

ბოლო ათწლეულების მანძილზე უმაღლესი განათლების სექტორი სწრაფად, ექსტენსიური გზით ვითარდებოდა. 2002 წლს მიღწეული დონე ყველაზე მაღალია 1959 წლიდან. 43 წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა. პრაქტიკულად საქართველოში ყოველ მეხუთე ადამიანს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, რაც აიხსნება კვალი-

გაგრძელება A3 გვერდზე



იური ლობოდინის ფოტო

*ერთ-ერთმა უცხოელმა ექსპერტმა უნივერსიტეტში შესვლამდე ბაღში გაისეირნა და დაასკვნა - აქ ცოდნას არ ითხოვენო. მისი დასკვნის საფუძვლად კი ის იქცა, რომ ბაღში მოსეირნე არც ერთ ყმაწვილს, არათუ ჩანთა და წიგნი, რვეულიც კი არ ჰქონდა თან.*

## საპარლამენტო ასამბლეის მთავარი თემები: ტერორიზმი და ჩეჩნეთი

**პირველად ისტორიაში ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხი ორმხრივი ფორმატიდან გამოდის და საერთაშორისო ორგანიზაციის მსჯელობის საგანი ხდება**

ნიკა თარაშვილი

სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესია გაიხსნა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ორგანიზაციის დღის წესრიგიც, ბოლო ხანებში რუსეთის მონაწილეობით მიმდინარე თითქმის ყველა საერთაშორისო შეკრების მსგავსად, ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებით არის დატვირთული. თუმცა, სტრასბურგში ჩვენთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაც მოხდა - პირველად ისტორიაში ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხი ორმხრივი ფორმატიდან გამოდის და საერთაშორისო ორგანიზაციის მსჯელობის საგანი ხდება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ მხარი დაუჭირა საქართველოს თხოვნას, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების კონტექსტში საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხზე დებატების ჩატარების თაობაზე. როგორც რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩევმა განაცხადა, ამ საკითხის განხილვის ფორმატი რაიმე რეზოლუციის მიღებას არ ითვალისწინებს და ეს "აზრთა გაცვლა-გამოცვლაა". ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განხილვა 7 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "აფხაზი პუტინი" და მისი კონკურენტი

ნინო გომართელი

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა ჩატარებული არჩევნების ოფიციალური შედეგების მოლოდინშია. არჩევნებიდან მეორე დღესვე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სერგეი სმირმა გააკეთა განცხადება, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 83 ათასმა ამომრჩეველმა, ანუ საარჩევნო სიაში შეყვანილი 130 ათასი ადამიანის 63-მა პროცენტმა. ამას მოჰყვა ცესკო-ს ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებული წინასწარი შედეგები, რომელიც რამდენიმე საათში გაქრა. აღნიშნული შედეგების მიხედვით, არჩევნებში იმარჯვებს პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა, ხმების საერთო რაოდენობის 52,84 პროცენტით. მეორე ადგილზეა "ჩერნომორენერგოს" გენერალური დირექტორი სერგეი ბაღაფში -33,58 პროცენტი. შემდეგ კანდიდატებს ასეთი პოზიციები აქვთ: საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სერგეი შამბა - 9,92 პროცენტი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია - 0,94 პროცენტი და "ერთიანი აფხაზეთის" ლიდერი იაკუბ ლაკობა - 2,73 პროცენტი.

გაგრძელება A2 გვერდზე

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება). უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე, ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. აუცილებლად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფთმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ოპოზიცია

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 კანონიერების კულტურა B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# ორმოცდაერთი შეცდომა

## მესამე სექტორის წარმომადგენელთა განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს დებულება შეცდომებითაა სავსე



ფოტო: ბახაძის ფოტო

*შალვა თადუმაძე თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს არაკომპეტენტურობაში სდებს ბრალს.*

ვერიკო თევზაძე

სამხედრო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება" მკაცრად აკრიტიკებს თავდაცვის სამინისტროში დღეისთვის არსებულ ვითარებას. **"აქ არიან ადამიანები, რომლებიც გენშტაბს და თავდაცვის სამინისტროს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ და კარგა ხანს ვერც განასხვავებენ",** - განაცხადა გუშინდელ პრეკონფერენციაზე ასოციაციის სამხედრო იურისტმა შალვა თადუმაძემ.

ასოციაციის წარმომადგენელთა განცხადებით, თავდაცვის სამინისტროში საკადრო საკითხი, რაც გადამწყვეტია რეფორმის წარმატებისა თუ წარუმატებლობისათვის, **"ნათესაობის, მეგობრობის, პოლიტიკური წარმომავლობის და იმის მიხედვით წყდება, თუ ვინ დარეკავს ჟენევიდან და სხვა სერიოზული ორგანიზაციიდან"...**

ასოციაციამ ოფიციალურად გაავრცელა პრესრელიზი, სადაც დეტალურად არის განხილული საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულება." დებულების შესახებ გამოთქმულია 41 სხვადასხვა სახის შენიშვნა. მესამე სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თავდაცვის სისტემაში რეფორმა ვერც რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ დაიწყო. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დღემდე ვერ მოხერხდა თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ფუნქციების გამიჯვნა.

ასოციაციის წევრებმა თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულ ჩინოვნიკთა მისამართით გამოთქვეს ისეთი ბრალდებები, როგორიცაა კომფორტისა და მატერიალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვა: **"ისინი თანმდებობაზე დანიშვნისთანავე კითხულობენ, რომელი მარკის ავტომანქანა მოემსახურებათ, რამდენი ლიტრი ბენზინი ექნებათ ლიმიტირებული... თავიანთ კაბინეტებს ქსელური თამაშების და სამიკიტნოების ფუნქცია მიანიჭეს".**

**"ექვსი თვის განმავლობაში ამ ადამიანებმა დიდი ფინანსური დახმარებები მიიღეს,"** - აცხადებს შალვა თადუმაძე და დასძენს, რომ თავდაცვის ყოფილ მინისტრს - ბეჟუაშვილს - აპარტამენტის მოწყობა 70 ათასი ლარი დაუჯდა.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე არაერთგზის აღინიშნა თავდაცვის სისტემაში საკანონმდებლო ბაზის გაუმართაობა და ისეთი სავალალო პრაქტიკის დამკვიდრება, როცა კანონზე მეტად უპირატესობა "ვიღაცის კაპრიზს" ენიჭება.

**"პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბრძანა, რომ პირველი ნოემბრიდან აპირებს შინაგანი ჯარის გადაყვანას თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო ამის თაობაზე კანონში შესაბამისი ცვლილებები 15 დეკემბრიდან შევა. გამოდის, რომ გარკვეულ პერიოდში უკანონო ჯარი გვეყოლება,"** - განაცხადა შალვა თადუმაძემ. იმავე თადუმაძის თქმით, როცა ხელისუფლებაში მოსვლის ექვის თვის თავზე თავდაცვის სამინისტროში მოიკითხეს გეგმა, რომლის მიხედვითაც საკადრო რეფორმა უნდა განხორციელდეს, პასუხად მიიღეს, რომ გეგმა დამუშავების სტადიაშია.

თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი გუშინვე გამოეხმაურა ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს. **"რეფორმას, განსაკუთრებით კი სამხედრო რეფორმის განხორციელებას, გარკვეული დრო სჭირდება და მისი ხელაღებით გატარება მიუღებელია. თავად პროცესს კი აფერხებს მომზადებული კადრების სიმცირე და არასაკმარისი დაფინანსება,"** - ასეთი გახლავთ ხსენებული დეპარტამენტის კომენტარი.

bp

### ეკოლოგია და ეკონომიკა ჰარმონიაში

ჩვენ გვჯერა, რომ შევძლებთ მოვახდინოთ რეალური, ზომიერი და დადებითი ზემოქმედება მსოფლიოს ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ანალოგიურად მოაზროვნე არასამთავრობო ან სამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენთ, გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ საქართველოში "BP"-ს მესამე

**ბიომრავალფეროვნების კონკურსში**

კონკურსი, რომელიც საქართველოში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული `BP"-ს სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რათა განვახორციელოთ რიგი კონკრეტული ინიციატივები იმ ქვეყნებში და ტერიტორიებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს თანხას 5,000-20,000 აშშ დოლარის ფარგლებში. საპროექტო წინადადებები უნდა:

- მოიტანონ გრძელ-ვადიანი სარგებლობა
- შეეძლოთ ორმაგი სარგებლობა მოიტანონ კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნებისათვის
- მოიცავდნენ მდგრად ინიციატივებს
- განსაზღვრონ მუშაობისა და წარმატების შეფასების საშუალებები
- ეფუძნებოდნენ ჯანსაღ მეცნიერებას
- იყვნენ რენტაბელური

შესაძლებელია კვლევითი ელემენტის შემცველი პროექტების განხილვაც, თუკი ეს ელემენტი დამატებით გრძელვადიან სარგებელს ითვალისწინებს

პროექტების წარდგენა შეუძლია როგორც ერთ ორგანიზაციას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პროექტის დეტალურ აღწერას (მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს, განხორციელების ვადებს, დეტალურ საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვას, პასუხისმგებელი პირების და მათ CV-ს) და ბიუჯეტს.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ოქტომბერი. გამარჯვებული პროექტი გამოცხადდება 2004 წლის დეკემბრის ბოლოს.

საპროექტო წინადადებები უნდა გაუგზავნოთ მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს, მისამართზე:საბურთალოს ქ. 38, თბილისი; 0177 ტელ:(995 32) 59 34 00

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მობრძანდეთ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება ა.წ. 4 ოქტომბერს სასტუმრო ქორთიარდ მარიოტის წვეულებათა დარბაზში 11 სთ-ზე.

# საბიუჯეტო "სეზონი" მოახლოვდა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებთან ერთად, პარლამენტარების ყურადღების ცენტრში ხშირად საყოფაცხოვრებო საკითხებიც ექცევა.*

გიორგი ასანიშვილი

მთავრობამ პარლამენტში 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და მასთან დაკავშირებული 39 კანონპროექტი წარადგინა. მათ განხილვას დეპუტატები 7 ოქტომბრიდან შეუდგებიან. თუმცა, ზოგიერთი პარლამენტარი (მაგალითად, ხათუნა გოგორიშვილი) აცხადებს, რომ ორ-სამ დღეში ამ დოკუმენტების დეტალური შესწავლა შეუძლებელია და მიზანშეწონილია, საკომიტეტო მოსმენები 11 ოქტომბრიდან დაიწყოს. არ არის გამორიცხული, 12-15 ოქტომბრის პლენარული სხდომების რამდენიმე დღეც საბიუჯეტო განხილვებმა "შეიწიროს". 20 ოქტომბრისთვის კი პარლამენტი მთავრობას ბიუჯეტთან და მის თანმდევ კანონპროექტებთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს წარუდგენს. 39 კანონპროექტიდან თუ რომელიმე "ჩავარდება", ეს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში შესაბამისად აისახება.

ვიდრე პარლამენტარები 2005 წლის მთავარი ეკონომიკური კანონის განხილვას დაიწყებენ, ისინი თავიანთი "უმცროსი კოლეგების" - თბილისის საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ინტერესდებიან. ის ფაქტი, რომ დედაქალაქის პარლამენტის წევრებმა თავიანთი სადეპუტატო მოვალეობის აღსრულებისთვის თვეში 1200 ლარის ოდენობის დანამატი დაინიშნეს, ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მსჯელობის საგნად იქცა; მით უმეტეს, კიდევ უფრო "შორს" წავიდნენ აჭარის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები: ისინი თვეში 1500 ლარს იღებენ დანამატის სახით.

**"მე არ ვიცი ისეთი სახელმწიფო, სადაც ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები ქვეყნის პარლამენტარებზე მეტ ხელფასს იღებენ,"** - აცხადებს გიგი წერეთელი, რომელიც მიიჩნევს, რომ თბილისის საკრებულოს წევრები შიშველ ენთუზიაზმზე არ უნდა მუშაობდნენ და ხელფასის სახით გარკვეულ ანაზღაურებას აუცილებლად უნდა იღებდნენ (როგორც ცნობილია, თბილისის საკრებულოში მხოლოდ რამდენიმე თანამდებობის პირისთვის არის დაწესებული სახელფასო განაკვეთი, რომელიც 200 ლარს არ აღემატება, დანარჩენებს კი სხვა ადგილზე მუშაობის უფლება აქვთ შენარჩუნებული).

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის თქმით, თბილისის საკრებულოს მიერ გადადგმული ნაბიჯი კანონს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ მაინც არამართებულია. შექმნილ ვითარებაში იგი გამოსავლად მიიჩნევს თანამდებობის პირთა იერარქიის დაკანონებას და სახელფასო განაკვეთების ამის მიხედვით დაწესებას.

სავარაუდო იყო, რომ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე "მემარჯვენე ოპოზიცია" "ნდობის ჯგუფში" დავით გამყრელიძის არშეყვანის ფაქტს გააპროტესტებდა. თუმცა, ზურაბ ტყემალაძეს მაინცადამაინც დიდი აღშფოთება არ გამოუხატავს. იგი მხოლოდ იმის თქმით დაკმაყოფილდა, რომ დავით გამყრელიძის კანდიდატურის ჩავარდნის შემდეგ ოპოზიციის მხრიდან "ნდობის ჯგუფში" სხვა კანდიდატურის დასახელებას აზრი არა აქვს.

პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემებთან ერთად, პარლამენტარების ყურადღების ცენტრში ხშირად საყოფაცხოვრებო საკითხებიც ექცევა. მაგალითად, კოტე გაბაშვილი აღშფოთებულია, ერთი მხრივ, ფეხით მოსიარულეთა "უფლებების" შელახვით", მეორე მხრივ - მათი თავნებობით.

"კაზინოების თანამშრომელთა და მოთამაშეთა ავტომანქანებით ტროტუარები ჩახერგილია. ხალხს რუსთაველის პროსპექტზე ველარ გაუვლია. ამასთან, ვისაც სად მოეპრიანება, იქ კვეთს ცენტრალურ ქუჩებსა და მაგისტრალებს," - აცხადებს გაბაშვილი და წესრიგის დამრღვევების მიმართ საჯარიმო სანქციების შემოღებას მოითხოვს.

# "აფხაზი პუტინი" და მისი კონკურენტი

პირველი გვერდიდან

ამასთანავე, სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ არჩევნების მსვლელობისას რაიმე სერიოზულ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, თუმცა ზოგი კანდიდატისგან შევიდა საჩივარი, რომ ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა დუბლირებას.

ცხადია, ოპოზიცია კატეგორიულად არ ეთანხმება წინასწარ შედეგებს და ირწმუნება, რომ აბსოლუტურ წარმატებას სერგეი ბაღაფში მოიპოვებს, ხმათა 51 პროცენტის დაგროვებით. მათივე ცნობით, ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას რჩეულმა რაულ ხაჯიმბამ ამომრჩეველთა 32,8 პროცენტის მხარდაჭერა მოიპოვა.

საღამოს ასამდე ადამიანმა აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის წინ მიტინგი გამართა წინასწარი მართებული შედეგების გამოქვეყნების მოთხოვნით.

მათმა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა კი ასეთი განცხადება გააკეთა: **"ხელისუფლების ვარდისფერი ოცნებაა, რომ დაინიშნოს არჩევნების მეორე ტური, ამით აიხსნება ცესკო-ს დუმილიც. ყველა შემთხვევაში, ჩვენ კანონის ფარგლებში ვიმოქმედებთ. ვიმედოვნებ, ამ ორგანოს ეყოფა ვაჟკაცობა იმისა, რომ არჩევნების რეალური შედეგები გამოაქვეყნოს."**

ამავე დროს ათასამდე ადამიანი იკრიბება აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში - ისინი რაულ ხაჯიმბას მხარდამჭერები არიან. სიტყვით გამოსვლისას კი პრემიერ-მინისტრი, ცოტა არ იყოს, უცნაურ განცხადებას აკეთებს. იგი ამბობს, რომ ჩატარებული არჩევნები არადემოკრატიული და არასამართლიანი იყო.

**"გუშინ მომხდარი დარღვევები მოწმობს, რომ არჩევნები არასამართლიანი იყო,"** - თქვა მან. ამასთან, მისი მონაცემებით, ხმის მიცემის დროს მრავალრიცხოვანი დარღვევები დაფიქსირდა; მათ შორის ხაჯინბამ დაასახელა გალის რაიონში არჩევნების დროს შუქის გამორთვა, ამომრჩევლებზე ზეწოლა, საარჩევ[illegible] **ვები აღმოფხვრას,"** - განაცხადა ხაჯინბამ და დასძინა, რომ დარღვევების დამადასტურებელ საბუთებს სასამართლოს გადასცემს და ამ ფაქტების შემდგომ გამოძიებას მოითხოვს.

ამ დროს საქართველოს ხელისუფლება მიმდინარე მოვლენებს თვალყურს თბილისიდან ადევნებს და საკუთარ მოსაზრებებს ახმაურებს.

**"აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში კომპანია "ჩერნამორენერგოს" ყოფილმა ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა გაიმარჯვა, მაგრამ ამჟამად ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ გამართლდეს კვირას, 20 საათზე, რუსეთის ტელევიზიით გამოცხადებული შედეგები რაულ ხაჯიმბას მიერ ხმათა 56 პროცენტის მიღების შესახებ,"** - აცხადებს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა.

მისი ინფორმაციით, რეალურად საარჩევნო ხმების 60 პროცენტი მიიღო ბაღაფშმა.

აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებს დიდი რეზონანსი მოჰყვა რუსულ მედიაში. პრესაში ხშირად ფიგურირებდა ამგვარი ფრაზები: "აფხაზეთი - საქართველოსა და რუსეთს შორის" , "ახალი პრეზიდენტი აფხაზეთს დამოუკიდებლობისკენ წაიყვანს" ან "სააკაშვილმა აფხაზეთი დაკარგა"; თუმცა იყო საპირისპიროც: "კოლონიური პროდუქტი", "კრემლის პრეზიდენტი", "აფხაზი პუტინი - მოსკოვის კანდიდატი".

ერთი სიტყვით, რუსულ პრესაში ერთმანეთს ენაცვლება ნამდვილი და ხელოვნურად შექმნილი რეალობა.

ცნობილმა ყოველდღიურმა გაზეთმა "კომერსანტმა" გუშინ გამოაქვეყნა რეპორტაჟი აფხაზეთიდან ქვესათაურით: " რაულ ხაჯიმბას მხარს უჭერდნენ აფხაზეთისა და რუსეთის ადმინისტრაციული რესურსები". ჟურნალისტი თითქმის ყველა კანდიდატის საარჩევნო შტაბში არსებულ ვითარებას აღწერს და საარჩევნო უბნებთან შეკრებილ მოსახლეობას ესაუბრება.

**"სოხუმელები საარჩევნო უბნებისკენ დილის რვა საათზე გაემართნენ. ხმას აძლევდნენ თავიანთ რჩეულს, მაგრამ სახლში არ მიდიოდნენ, ნერვიულობდნენ.**

**"დამოუკიდებლობა არის სამუშაო ადგილები და საკუთარი მოსახლეობის უზრუნველყოფა, -** მსჯელობდა ასაკოვანი სოხუმელი ბაგრატ აპბა, **- თუ ისეთი ადამიანი გაიმარჯვებს, რომელიც ვერ შეძლებს ამის გაკეთებას, გამოდის, ტყუილად ვომობდით. ჩვენ რუსული ჩექმის ქვეშ ვიქნებით. მე მიყვარს რუსეთი, მაგრამ ზოგიერთებს იქ არ ესმით, რომ საჭიროა ჩვენი პატივისცემა. ჩვენ არ გვინდა, ხელგაწვდილები ვიდგეთ. ჩვენც ბევრი რამის მიცემა შეგვიძლია რუსეთისთვის. მაგრამ როდესაც გვემუქრებიან, რომ არ მოგვცემენ პენსიებს, ჩაკეტავენ საზღვრებს, თუ საჭირო კანდიდატს არ მივცემთ ხმას - ვბრაზდებით. აი, მაგალითად: ჩემი ბევრი მეგობარი აპირებდა ხაჯიმბასთვის მიეცა ხმა, მაგრამ ამ ყველაფრის გამო ბაღაფშის მხარდამჭერად იქცა,"** - სოხუმელის ასეთი გულახდილი ციტატა მოჰყავს გაზეთის ჟურნალისტს.

იგივე ჟურნალისტი არჩევნების მსვლელობისას რაულ ხაჯიმბას საარჩევნო შტაბში მიდის: **"ხაჯიმბას შტაბში მისულ ჟურნალისტებს ორი რამ გვაინტერესებდა: რატომ არის მთელ აფხაზეთში გაკრული პლაკატები ხაჯიმბას და პუტინის პორტრეტებით, თუ ეს საარჩევნო კანონით აკრძალულია? და მეორე - რაზე ისაუბრეს არჩევნებამდე ხაჯიმბამ და პუტინმა?.**

**- პუტინმა იცის, რომ თქვენ მის სახელსა და პორტრეტს წინასაარჩევნო კამპანიაში იყენებთ?**

**პრემიერი შეყოვნდა და შემდეგ თქვა: "ჩვენ რუსეთის პრეზიდენტისგან თანხმობა მივიღეთ,"**- წერს "კომერსანტი".

აბსოლუტურად საპირისპირო ტენდენცია იკვეთება "იზვესტიას" ფურცლებზე, სადაც სტატიის ავტორი მთელი მონდომებით ცდილობს, რომ ხაჯიმბასა და ბაღაფშის უკან სხვა, უფრო ძლიერი ინტერესები გამოააშკარაოს, ვიდრე პრეზიდენტობის სურვილია.

**"თუ გეოპოლიტიკურ ნიუანსებს არ ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის მოსახლეობა მარტივი არჩევანის წინაშე დგას: დარჩეს რუსეთის გავლენის ქვეშ, თუ დაიწყოს ქართული ინტერესების ორბიტაში შესვლა.**

**რუსეთის კურსს ამჟღავნებდა რაულ ხაჯიმბა, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება მოახერხა. ხოლო მისი მთავარი ოპონენტი და პროქართული კურსის გამტარებელი იყო "აფხაზი ჩუბაისი" - სერგეი ბაღაფში".**

## ორი სიტყვით

### უზენაესი სასამართლო დღეს "თავისუფლების ინსტიტუტის" სარჩელს განიხილავს

უზენაესი სასამართლო დღეს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციის "თავისუფლების ინსტიტუტის" სარჩელს განიხილავს. "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელთა ცნობით, არასამთავრობო ორგანიზაციის სარჩელი სამოქალაქო კოდექსისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლებს ასაჩივრებს, რომლებიც ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია. **ინტერ-პრესი**

### ზუგდიდის რაიონში რუსი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა

ზუგდიდის რაიონში, ფოცხო-ეწერის 312-მე საგუშაგოზე დაიღუპა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსეთის სამშვიდობო ძალების რიგითი. კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების სოხუმის შტაბი მომხდარს თვითმკვლელობად აფასებს; თუმცა "ინტერ-პრესის" მონაცემებით, ცისფერჩაფხუტიანის სიკვდილის მიზეზი მისი მეგობარი ჯარისკაცის ხელიდან იარაღის გავარდნა გახდა.

დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების შტაბში მიღებული ინფორმაციის თანახმად, რიგითის თვითმკვლელობის საკითხის ადგილზე შესასწავლად სოხუმიდან ზუგდიდის რაიონში ჩავიდა სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი იური ნაუმოვი. იმავე წყაროს ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ სამხედროებს ეჭვი არ ეპარებათ რიგითის თვითმკვლელობაში, მომხდართან დაკავშირებით სპეციალური მოკვლევა ჩატარდება.

თუმცა საქართველოს უშიშროების სამინისტროს აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ბადრი დგებუაძის ინფორმაციით, ფოცხოეწერის 312-ე საგუშაგოზე ცისფერჩაფხუტიანს თავი არ მოუკლავს და იგი მეგობარი რიგითის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. **ინტერ-პრესი**

### გოგა ხაინდრავა: რუსეთი აფხაზეთში დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანას გეგმავს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების საკითხებში გოგა ხაინდრავა ამბობს, რომ რუსეთი აფხაზეთში დამატებითი სამხედრო ძალის შეყვანას გეგმავს. რუსეთის ამ გადაწყვეტილებას ხაინდრავა თვითგამოცხადებულ აფხაზეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, არჩევნებში რეალურად სერგეი ბაღაფშმა გაიმარჯვა და არა რაულ ხაჯიმბამ, როგორც ამას თვითგამოცხადებული აფხაზეთის და რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებს.

ხაინდრავას მოსაზრებით, დიდი შანსია იმისა, რომ ბაღაფშის განაწყენებულმა მომხრეებმა პროტესტის გარკვეულ ფორმებს მიმართონ, "რის აღკვეთასაც რუსეთი და მისი პროტეჟე ხაჯიმბა ყველა საშუალებით შეეცდებიან და, საჭიროების შემთხვევაში, ალბათ, არც სამხედრო ძალის გამოყენებაზე იტყვიან უარს". **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თუ ცესკო-მ საპრეზიდენტო არჩევნებში უპირატესობა ხაჯიმბას მიაკუთვნა, ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი აფხაზეთში ვითარების დაძაბვას არ გამორიცხავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილისში არასწორი ინფორმაცია ვრცელდება აფხაზეთში კვირას ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გალის ქართული მოსახლეობის ძალდატანებით მონაწილეობის შესახებ," - განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია "მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის" ექსპერტმა, პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა.

ზაქარეიშვილის თქმით, "გალის მოსახლეობისთვის არჩევნებში მონაწილეობა არავის დაუძალებია". მას გალიდან ტელეფონით უკავშირდებოდნენ ქართველები და გაკვირვებას გამოთქვამდნენ ქართულ ტელეკომპანიებში გავრცელებული ინფორმაციის გამო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ხარაგაული.** ხარაგაულის რაიონის პოლიციამ სოფელ ფარცხნალის მკვიდრის, 76 წლის ჯუმბერ მშვენიერაძის საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკა. ამოღებულია "ა-კა-ეს"-ის სისტემის ავტომატი ორი მჭიდითა და 50 ვაზნით, ასევე "ნაგანის" ტიპის უნომრო რევოლვერი. ჩხრეკა წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა, რომლის თანახმად, მშვენიერაძის სახლში ცეცხლსასროლი იარაღი ინახებოდა. ოჯახის უფროსის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 236-ე მუხლით აღიძრა. გამოძიებას ხარაგაულის პროკურატურა აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის პოლიციელებსა და ხუთ შეიარაღებულ პირს შორის შეტაკება მოხდა. ნიღბიანი შეიარაღებულები ქუთაისში ყაჩაღობის მიზნით მამუკა მაჩიტიძის ოჯახში შეიჭრნენ. ამის შესახებ პოლიციაში ანონიმური ზარი გაისმა და სამართალდამცველებმა თავდამსხმელებს ფაქტზე მიუსწრეს. ორმხრივი სროლის დროს მძიმედ დაიჭრა ყაჩაღური დაჯგუფების ერთ-ერთი წევრი თამაზ სულაბერიძე, მეტსახელად - "ტუვეიჩი". იმერეთის პოლიციის უფროსის ზურაბ ჩიკვაიძის განცხადებით, დაკავებულია თამაზ [illegible] **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 ჰოლდინგი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა [illegible] (მმართველი რედაქტორი), [illegible] ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - [illegible] ბარბაქაძე, სამყარო - [illegible], საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: [illegible], პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კორუფცია უმაღლესი განათლების განუყოფელი ნაწილი

პირველი გვერდიდან

ფიციურ კადრებზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდით.

არანაკლებ იმოქმედა მეორე ფაქტორმაც: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად გაზარდა უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია უმაღლესდამთავრებულთა რაოდენობის ზრდაც.

1991/1992 სასწავლო წლიდან 1999/2000 წლებამდე უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა (ძირითადად კერძო სექტორში) გასამმაგდა - 48-დან 162-მდე გაიზარდა. შედარებით უმნიშვნელოდ იზრდებოდა სახელმწიფო სექტორის უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი: იმავე პერიოდში 1990/1991 სასწავლო წლიდან 1999/2000 წლებამდე მათი რაოდენობა 19-დან 24 გაიზარდა, 2002/2003 წელს - 26-მდე.

2002/2003 წელს საქართველოს 180 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 153 700 სტუდენტი, მათი დაახლოებით 20 პროცენტი - კერძო სასწავლებელში, 80 პროცენტი - სახელმწიფო სასწავლებელში. ასეთი მკვეთრი დისპროპორცია აიხსნება სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკით - სახელმწიფო სექტორის სასწავლებლების განსაკუთრებული მხარდაჭერით ათწლეულების მანძილზე.

პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა 2002/2003 წლებში შეადგენდა 11 964-ს, მათ შორის 1 291 მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო 2 573 - მეცნიერებათა კანდიდატი. ისინი პერმანენტულად იმყოფებოდნენ ეკონომიკური და, შესაბამისად, მორალურ-ფსიქოლოგიური კრიზისის პირობებში.

### უმუშევრობა

საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია შრომით ბაზართან მისი შეუსაბამობა. ვერც განათლების სამინისტრო და ვერც უმაღლესი სასწავლებლები, პრაქტიკულად, ვერ აკმაყოფილებენ ბაზრის მოთხოვნილებებს. ამ თვალსაზრისით გაცილებით ეფექტურად მუშაობს ზოგიერთი კერძო სასწავლებელი, რომლის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს.

2002 წელს უმაღლესი განათლების მქონე პირთა უმუშევრობის საშუალო დონე, ქვეყნის უმუშევართა საერთო რიცხვთან მიმართებაში, აღწევდა 33.3 პროცენტს, რაც ძალზე დიდი მაჩვენებელია.

უმუშევართა ასაკობრივი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 1991 წლიდან 30-49 წლის ასაკის ჯგუფი - ვინც წამყვან სამუშაო ძალას წარმოადგენს ნებისმიერ ქვეყანაში და ბიოლოგიური მონაცემებით საზოგადოების ყველაზე დინამიური, შემოქმედი ძალაა - საქართველოში უმუშევართა შორის პირველ ადგილზეა. 1991-2002 წლებში ეს ჯგუფი დასაქმების სამსახურებში რეგისტრირებულ უმუშევართა საერთო რაოდენობის 48.0 პროცენტს შეადგენდა, 16-29 წლისა - დაახლოებით 26,0 პროცენტს და 50 წლის და მეტი ასაკის - 21,1 პროცენტს.

### საბიუჯეტო დაფინანსება

უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსებაში სახელმწიფო იყენებდა ორმაგ სტანდარტებს. 1996 წლის განათლების შესახებ მთავრობის დადგენილების შესაბამისად, განათლება აღიარებული იყო ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტად. ამ სექტორის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხები ეროვნულ ბიუჯეტში მერყეობდა 3-8 პროცენტის ფარგლებში. ეს სექტორი ყველაზე მწირად დაფინანსდა 1996 წელს - გამოიყო რა 19,1 მილიონი ლარი, რაც მთელი ეროვნული ბიუჯეტის 3,6 პროცენტს შეადგენდა. 1997 წელს გამოიყო 46,3 მილიონი ლარი (ბიუჯეტის 7,8 პროცენტი), მაგრამ 2002 წელს საბიუჯეტო ასიგნებანი 37 022 ლარამდე (4,0 პროცენტი) შემცირდა. 2003 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა და მაქსიმუმს მიაღწია 2004 წელს, როდესაც განათლების სექტორს გადაეცა 72 მილიონი ლარი.



ასე გამოიყურება უნივერსიტეტის ეზო ლექციების მსვლელობის დროს.

იური ლობოდინის ფოტო

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ექვემდებარებოდა ყოველწლიურ 15-20 პროცენტიან სეკვესტრს, ნათელი გახდება, რამდენად უმწეო ფინანსურ მდგომარეობაში იყო საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე სფერო.

### ანაზღაურება

უმაღლესი განათლების სექტორში არსებული ხელფასების დონე კვლავ ძალიან დაბალია. 2002 წელს ქვეყანაში საშუალო ყოველთვიური ხელფასის ოდენობა 113,5 ლარს შეადგენდა, მაშინ, როდესაც განათლების სექტორში საშუალო ყოველთვიური ხელფასი 56,6 ლარი იყო (საერთო საშუალო მაჩვენებლის 49,8 პროცენტი).

თუ შევადარებთ განათლების სექტორში მომუშავე პერსონალის საშუალო ყოველთვიურ ნომინალურ ხელფასს მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიურ ნომინალურ ხელფასთან, აშკარად გამოვლინდება უკუპროცესი, როდესაც განათლების სექტროში ხდება საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასის სისტემატური შემცირება 1998 წელს 83,8 პროცენტიდან 49,8 პროცენტამდე 2002 წელს.

### სიღარიბის ზღვარი

დაბალი ანაზღაურების სიმწვავე უფრო ნათელი გახდება, თუ გავაანალიზებთ მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლებს. 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში საარსებო მინიმუმი საშუალოდ შეადგენდა 125,4 ლარს თვეში და საშუალო მოხმარება (მედიანა) 121,6 ლარს თვეში. ეს მონაცემები ნათლად გვიჩვენებს, რომ განათლების სექტორში დასაქმებულთა ხელფასები დაახლოებით ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ოფიციალურად გამოცხადებული აბსოლუტური და შეფარდებითი სიღატაკის ზღვარი და, ფაქტობრივად, იგი შეადგენდა საარსებო მინიმუმის 45,1 პროცენტს.

### შავი ბაზრის წილი

როდესაც ვაანალიზებთ დასაქმებულთა შემოსავალს, უნდა გავითვალისწინოთ ქვეყანაში არსებული შავი ბაზრის დონე. შავი ბაზრის მასშტაბების შესახებ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მაჩვენებლებით. მონაცემები გვიჩვენებს შემოსავლებისა და დანახარჯების დეფიციტს, როგორც ქვეყნის დონეზე, ისე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

ქვეყანაში საშუალო ყოველთვიური შემოსავლები (ქალაქად და სოფლად, ფულადი და არაფულადი სახსრები სულ) ერთ სულზე გაანგარიშებით, 2001 წელს შეადგენდა 50,1 ლარს, ხარჯები - 79 ლარს, ანუ გასავლები 57,6 პროცენტით მეტი იყო შემოსავლებზე, 2002 წელს კი ამ სხვაობამ შეადგინა 24,4 პროცენტი გასავლების სასარგებლოდ.

ჩვენი აზრით, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი, არსებული არალეგალური შემოსავლების და გასავლების ფაქტობრივი მასშტაბები, კიდევ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ეს ჩანს ოფიციალური მონაცემებით, მაგრამ, აღრიცხვიანობის სირთულის გამო, სრულყოფილად არ არის ასახული სტატისტიკურ მონაცემებში.

ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ შევარდნაძის რეჟიმის დროინდელი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ხშირად უფრო მეტად ოპტიმისტური იყო, ვიდრე ქვეყანაში არსებული რეალობა.

შავი ბაზრის და არალეგალური შემოსავლების არსებობა მნიშვნელოვანწილად ხსნის იმ გარემოებას, თუ რატომ არ არსებობდა სოციალური პროტესტის ინსტიტუტი უმაღლესი განათლე-

# "შემოსავლები" უმაღლეს სასწავლებლებში

### მისაღები გამოცდებისთვის მომზადება

ეს ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი წყაროა საქართველოში. ექსპერტ-რესპონდენტთა აზრით, სახელმძღვანელოების მრავალფეროვნების გამო, არ არსებობს ერთიანი სასწავლო პროგრამა და ერთიანი სტანდარტი. დღევანდელობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა ისაა, რომ სკოლებში მიღებული განათლება ვერ აკმაყოფილებს მისაღები გამოცდების მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ ფართოდაა გავრცელებული რეპეტიტორობის ინსტიტუტი. აბიტურიენტის მომზადების ნიხრი დადგენილია და ყველასათვის ცნობილია. რეპეტიტორები ერთ საგანში მომზადების საფასურად საშუალოდ იღებენ 600 აშშ დოლარს, ზოგიერთ შემთხვევაში ეს თანხა გაცილებით მაღალია. თანხა განისაზღვრება რეპეტიტორის ცენზის მიხედვით: რაც უფრო მაღალია ლექტორის თანამდებობა უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციულ იერარქიაში, მით უფრო მაღალია მისი ანაზღაურება (800-დან 1500 დოლარამდე). ტექნიკურ უნივერსიტეტში შემსვლელი სტუდენტის მომზადება მხოლოდ ერთ საგანში (მაგალითად, ქიმიაში), რესპონდენტთა თქმით, 600-დან 700 დოლარამდე ღირს. ფაკულტეტის დეკანი ტრადიციულად ყველაზე მაღალ გასამრჯელოს იღებს, რადგან ის სისტემატურადაა მიმღები კომისიის წევრი. ჩვეულებისამებრ, ასეთ ლექტორებს ჰყავთ 10-15 აბიტურიენტისგან შემდგარი ჯგუფები. დეკანი უზრუნველყოფს აბიტურიენტების მაღალ შეფასებას არა მარტო მისაღებ გამოცდებზე, არამედ სწავლის პერიოდშიც. წესისამებრ, ტარდება 3 ან 4 მისაღები გამოცდა, ამდენად, მომზადება მინიმუმ 2100 დოლარი ჯდება, აღნიშნავენ აბიტურიენტები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ყოველ წელს დაახლოებით 30 000 აბიტურიენტი ხდება სტუდენტი, შესაბამისად გამოდის, რომ საქართველოში ყოველწლიურად აბიტურიენტების მომზადებაზე საშუალოდ 70 მილიონი დოლარი იხარჯება. ამ მონაცემების დასაზუსტებლად სასურველია, ჩატარდეს სპეციალური კვლევა და დადგინდეს უმაღლესი განათლების სისტემაში შავი ბაზრის მასშტაბები. ამ საკითხებს ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. თუკი მოხდება მისაღები გამოცდებისას კორუფციის აღმოფხვრა და სკოლებში ძირეულად ამაღლდება სწავლის ხარისხი, შესაძლებელი გახდება აღნიშნული თანხების გამოთავისუფლება შავი ბაზრიდან და მისი მოხმარება ეკონომიკის სხვა სფეროებში, ინვესტიციებისა თუ სხვა მოხმარების საგნების ყიდვის სახით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, აღნიშნული რესურსები ლეგალურ ჩარჩოებში მოექცეს. სახელმწიფო ბიუჯეტის უკეთ შესრულების წყალობით კი, განათლების სისტემა დღევანდელზე გაცილებით მეტ დაფინანსებას მიიღებს.

### მისაღები გამოცდები

გამოკითხულ მშობელთა აზრით, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის კორუფციული სქემა შემდეგნაირია: აბიტურიენტი და მშობელი ირჩევენ უნივერსიტეტს და ფაკულტეტს, შემდეგ პოულობენ ადმინისტრაციასთან დაახლოებულ პირს, რომელიც ხდება შუამავალი ორ დაინტერესებულ მხარეს შორის და იღებს შესაბამის გასამრჯელოს. ამგვარ სქემაში მშობლები თავს საკმაოდ დაცულად გრძნობენ, რადგან მიაჩნიათ, რომ მათი შვილების მომავალი გარანტირებულია არა მარტო მისაღები გამოცდების დროს, არამედ სწავლის პერიოდშიც. ეს სისტემა ხელსაყრელია ადმინისტრაციისთვის, რომელიც ბოროტად სარგებლობს თანამდებობით და ამაში იღებს დიდ გასამრჯელოს. გარკვეული მოგება რჩება შუამავალსაც, რომელიც მონაწილეობს ფინანსურ გარიგებაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

ერთ-ერთი გამოკითხული მშობელი აღნიშნავს, რომ მისაღები გამოცდების დროს ადმინისტრაციის მხრიდან ფული კეთდება არა ინდივიდუალურად, არამედ კოლექტიურად. ამ სისტემაში ჩართულია არა მარტო ადმინისტრაცია, არამედ მისდამი ლოიალური ლექტორებიც, რომელნიც ტექნიკურად უზრუნველყოფენ სისტემის თანამიმდევრულ, შეუფერხებელ მუშაობას. რესპონდენტთა აზრით, თუკი მშობელი დიდ თანხას გადაიხდის, მაშინ აბიტურიენტი ყოველგვარი მისაღები გამოცდების გარეშე შეიძლება გახდეს სტუდენტი. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როცა აბიტურიენტს თსუ-ში მოსაწყობად აკლდებოდა ერთი ქულა. 2000 დოლარის გადახდა, ქრთამის სახით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის საკმარისი გახდა, რომ ახალგაზრდა სტუდენტი გამხდარიყო.

გამოკითხულთა ერთი ნაწილის აზრით, უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრა შესაძლებელია ქრთამის და ნაცნობობის გარეშეც, თუკი აბიტურიენტი მართლაც კარგად არის მომზადებული.

როგორც ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩასარიცხად 8000-9000 აშშ დოლარია საჭირო; იურიდიულ ფაკულტეტზე კი ეს თანხა 20-30 ათას დოლარს უტოლდებოდა, მაგრამ ამჟამად ფასები 10-15 ათას დოლარამდე დაეცა, რადგან იურიდიული ფაკულტეტი ტექნიკურ უნივერსიტეტშიც (თსუ-ს კონკურენტი) გაიხსნა. ამ უნივერსიტეტში ფასიან სექტორზე ჩასარიცხი თანხა უფრო დაბალია, რადგან აქ სწავლა ნაკლებად პრესტიჟულად ითვლება, ვიდრე თსუ-ში.

რესპონდენტთა აზრით, საშუალო ოფიციალური გადასახადი ფასიან სექტორზე დაახლოებით 4000 დოლარია, უფასო სექტორზე მოსახვედრი ქრთამის მოცულობა, შესაძლოა, 5000 დოლარს შეადგენდეს. ზოგიერთი მშობელი არ რისკავს და შვილის მოსაწყობად იხდის ქრთამს მაშინაც კი, როცა ახალგაზრდა კარგადაა მომზადებული.

უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისას არსებობს ორი სხვადასხვა სია: პრივილეგირებული აბიტურიენტების, რომელთა მშობლებმაც ქრთამი მისცეს ადმინისტრაციას და მათი, ვინც პროტექციის გარეშე აბარებს. პირველი ჯგუფის აბიტურიენტები გამოცდის დროს ცალკე ოთახში შეჰყავთ, სადაც მათ გამზადებული პასუხები ხვდებათ და მხოლოდ მათი გადაწერა ევალებათ, აღნიშნავს ერთ-ერთი რესპონდენტი.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა გვამცნო, რომ მის ახლობლებს სურდათ აბიტურიენტის მოწყობა თსუ-ს პრესტიჟულ ფაკულტეტზე, მაგრამ ლექტორებმა, რომლებიც აბიტურიენტს ამზადებდნენ, ურჩიეს, არ ჩაებარებინა არჩეულ ფაკულტეტზე, ვინაიდან ყველა ადგილი წინასწარ იყო დაკავებული. სამწუხაროდ, საქართველოში კარგადაა ცნობილი, რომ მისაღები გამოცდების დროს კონკურენცია ოჯახების ბიუჯეტებს შორის მიმდინარეობს და არა ახალგაზრდებს შორის, აღნიშნავს ერთ-ერთი გამოკითხული.

თუკი გავაერთიანებთ აბიტურიენტების მომზადებაში დახარჯულ თანხებს (უხეში გაანგარიშებით, 70 მილიონ დოლარს, ე.ი. საშუალოდ ერთი აბიტურიენტის მოსამზადებლად საჭირო 2000 დოლარზე მეტი, გამრავლებული 30 000 ჩარიცხულ სტუდენტზე ყოველწლიურად) და ქრთამის სახით არსებულ ფულად მასას (საშუალოდ, 5 000 დოლარი 10 000 სტუდენტზე, თუ ვივარაუდებთ, რომ ყოველი მესამე ოჯახი იხდის ქრთამს), მივიღებთ დაახლოებით 120 მილიონ დოლარს, რომელიც ყოველწლიურად ილექება შავი ფულის სახით განათლების სექტორში. თუ შესაძლებელი გახდება ამ თანხების ლეგალიზება და მათი აკუმულირება სახელმწიფო ბიუჯეტში, უდავოა, რომ აღნიშნული კაპიტალის სწორი მართვის შედეგად, საქართველო მიიღებდა სანიმუშო უნივერსიტეტებს არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეშიც.

# უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ვითარება

იმისთვის, რომ უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს მოეთხოვოთ ხარისხიანი მუშაობა, ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მაღალი ანაზღაურებით. ამისთვის კი უნდა არსებობდეს უმაღლეს სასწავლებელთა ფინანსების მოძრაობის გამჭვირვალე სისტემა და მუდმივი მკაცრი კონტროლი პედაგოგთა და სტუდენტთა ასოციაციების მხრიდან.

დღესდღეობით უმაღლეს სასწავლებლებში დასაქმებული სპეციალისტების ნაწილი მოქმედებს არა იმ პრინციპით, რომ აღზარდოს ნიჭიერი, კრიტიკულად მოაზროვნე, კარგი პროფესიონალები, არამედ იმ ნიშნით, რომ ხელი შეუწყოს რექტორს და მისი ადმინისტრაციის ნაწილს ძალაუფლების დამკვიდრებაში და ფინანსური სარგებლის მიღებაში. მოგებულია ორივე მხარე - როგორც ადმინისტრაცია, ისე მისადმი ლოიალური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც სისტემატურად სარგებლობენ პრივილეგიებით (მაღალი ანაზღაურების თუ სხვა სოციალური ხელშეწყობის სახით). პრაქტიკულად, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი დამოკიდებულია კათედრაზე, ფაკულტეტზე, საბოლოო ჯამში კი უნივერსიტეტის ადმინისტრაციაზე, რომელიც ანაწილებს სამუშაო საათებს და განსაზღვრავს ხელფასის რაოდენობას. მაღალი ხელფასი დამოკიდებულია სამუშაო საათების რაოდენობაზე. თუ პედაგოგი ან პროფესორი გამოირჩევა თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით ადმინისტრაციისადმი, მას აქვს მეტად არახელსაყრელი სამუშაო პირობები: დამატებითი საათების მცირე რაოდენობა, შესაბამისად, მცირე ხელფასი, უვარგისი აუდიტორია, არახელსაყრელი სამუშაო დრო და სხვა.

ადმინისტრაციისადმი კრიტიკული განწყობა საქართველოში შეიძლება ნიშნავდეს წარმატებულ კარიერასაც. სამწუხაროდ, ცნობილია ბევრი ფაქტი, როდესაც შელახული რეპუტაციის მქონე პირი იკავებს კათედრისა თუ ფაკულტეტის ხელმძღვანელის პოსტს მხოლოდ იმიტომ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციაზე მას აქვს კომპრომატი და ხელმძღვანელებს ურჩევნიათ, დააკმაყოფილონ მისი მოთხოვნები. ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის ადამიანები მიისწრაფვიან, რომ გახდნენ უნივერსიტეტის კორუმპირებული სისტემის ნაწილი და შეინარჩუნონ პრივილეგიები.

კრიტიკულად მოაზროვნე პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ვერ ეგუებიან უმაღლეს სასწავლებლებში არსებულ უკიდურესად მძიმე მორალურ თუ მატერიალურ ვითარებას და მასმედიის საშუალებით ამხელენ იქ არსებულ პრობლემებს, ზოგ შემთხვევაში, თავისუფლდებიან სამსახურებიდან. მაგალითად, ჟურნალისტმა აკაკი გოგიჩაიშვილმა, სამაუწყებლო ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გადაცემა "60 წუთის" ავტორმა, საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ვითარება. ამის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, მას ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩამოართვეს ლექციების წაკითხვის უფლება, მიუხედავად სტუდენტების დიდი მხარდაჭერისა.

დისიდენტი-პედაგოგების დევნის მაგალითები არცთუ ბევრია უნივერსიტეტებში, მხოლოდ იმის გამო, რომ პედაგოგთა შერჩევა ხდება ზემოთ აღნიშნული სისტემის შესაბამისად.

კიდევ ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა უმაღლესი სასწავლებლების ასაკოვანი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც აფერხებენ ახალგაზრდა კადრების მოზიდვის პროცესს. ამ პრობლემის არსებობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ასაკოვანი პედაგოგები წარმოადგენენ ადმინისტრაციის ერთ-ერთ საყრდენ ძალას და არსებული ვითარების შენარჩუნების საუკეთესო მექანიზმს. ეს ის სოციალური ჯგუფია, რომელიც მწირი ანაზღაურების სანაცვლოდ, მზადაა პროტესტის გამოხატვის გარეშე იარსებოს არსებულ სისტემაში და მხოლოდ ფორმალურად გამოთქვას უკმაყოფილება არსებული ანაზღაურებით. ამით ისინი კორუმპირებული ადმინისტრაციის მოკავშირეები ხდებიან. ჩვენი აზრით, ამ სოციალური ჯგუფის დაკმაყოფილება სათანადო, მაღალი პენსიებით, უმაღლეს სასწავლებებს საშუალებას მისცემს, რომ მომავალში უმტკივნეულოდ აამოქმედონ როტაციის პრინციპი.

## რეკომენდაციები

### გაუმჯობესდეს საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს პარლამენტმა უმოკლეს ვადაში უნდა მიიღოს კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც მომზადდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. მართალია, კანონპროექტი დასახვეწია, მაგრამ ეს შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად;

სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავი, "სამოხელეო დანაშაული", პრაქტიკულად მოძველებულია. მას სერიოზული ხარვეზები აქვს - როგორც ლინგვისტური, ისე შინაარსობრივი. მიზანშეწონილი იქნებოდა ძალზე ლმობიერი სადამსჯელო მექანიზმების მნიშვნელოვანი გამკაცრება.

### გაუმჯობესდეს კანონის აღსრულება

სამართალდამცავმა ორგანოებმა ობიექტურად უნდა შეისწავლონ უმაღლეს სასწავლებლებში არსებული ფინანსური თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვის დარღვევები და პასუხისგებაში მისცენ ის პირები, ვინც წლების განმავლობაში ბოროტად იყენებდა ან გულგრილად ასრულებდა თანამდებობრივ მოვალეობებს;

უნდა მოხდეს კონტროლის პალატის რეფორმირება, იქ არსებული კორუფციული სისტემის აღმოფხვრა. უნდა გაუმჯობესდეს მოხსენებების ხარისხი. ისინი უნდა გახდეს უფრო ანალიტიკური და ორიენტირებული ნაკლოვანებების მიზეზთა გამოვლენაზე, არ უნდა ატარებდეს ზოგად ხასიათს. აუდიტის შედეგები უნდა განიხილებოდეს საქართველოს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული კოდექსის ჩარჩოებში და ეძლეოდეს წინასწარი კვალიფიკაცია. კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები (თუ ისინი არ უკავშირდება ქვეყნის უსაფრთხოებას) უნდა განთავსდეს ინტერნეტში, რათა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის;

### მართვის დეცენტრალიზაცია და რაციონალიზაცია

უნდა მოხდეს უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირების დეცენტრალიზაცია, როგორც სამინისტროს, ისე უმაღლესი სასწავლებლების დონეზე. ფაკულტეტებს უნდა მიენიჭოთ სასწავლო პროცესის თუ პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის თავისუფლება, ფინანსების განკარგვის უფლება სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რასაც ითვალისწინებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ;

კადრების შერჩევა უნდა მოხდეს არა ადმინისტრაციისადმი ლოიალურობის პრინციპით ან ნაცნობობით, არამედ ღია და ობიექტური კონკურსის წესით;

საკადრო პოლიტიკის გატარებისას უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაცია ორიენტირებული უნდა იყოს საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვაზე და არა უმწეო, ძველი, საბჭოური მენტალიტეტის მქონე პედაგოგებისთვის სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე. მათთვის უნდა გამოინახოს პენსიაზე გასვლის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები, რაც მეტწილად მოხსნის სოციალურ დაძაბულობას საზოგადოებაში და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა პროფესიონალების დასაქმებას;

უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაცია უნდა იზიდავდეს საუკეთესო მენეჯერებს, რათა მოკლე ვადებში მოხდეს არსებული თანხების ოპტიმალური გამოყენება და დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა.

### კონტროლის მექანიზმების გამკაცრება

სისტემატურად უნდა ხდებოდეს სტუდენტთა აზრის გაზიარება, მათი სამართლიანი მოთხოვნების შესწავლა და დაკმაყოფილება. უნდა შემუშავდეს პედაგოგთა რეიტინგის სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა აზრი, ასევე პედაგოგთა სამეცნიერო მუშაობის შედეგები. ყოველწლიურად, 2 ან 3 წლიწადში ერთხელ, უნდა მოხდეს ყველა პედაგოგის მუშაობის შეფასება აღნიშნული წესით.

იმისთვის, რომ პროფესორ-მასწავლებელთა ფინანსური და სოციალური უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდეს, უმაღლეს სასწავლებლებში ფინანსური ოპერაციები უნდა გახდეს გამჭვირვალე, უნდა განხორციელდეს მათზე მუდმივი კონტროლი პედაგოგთა და სტუდენტთა ასოციაციების მხრიდან;

უნდა შეიქმნას პროფესორ-მასწავლებელთა ეროვნული ასოციაცია. მისი ძირითადი დანიშნულება იქნება სპეციალისტებისთვის დახმარების გაწევა, თითოეული უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე შექმნან მსგავსი ასოციაციები, რომლებიც, თავის მხრივ, გაერთიანდებიან ეროვნულ ასოციაციაში;

ამ ასოციაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ უმაღლესი განათლების სისტემაში ახალი ზნეობრივი პრინციპების დანერგვაში, რაც მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდება კორუფციასთან, პროტექციონიზმთან, პლაგიატის ინსტიტუტთან და არსებულ სხვა ხარვეზებთან ბრძოლისა. აღნიშნული ასოციაციები უნდა გახდეს უმაღლესი განათლების დაწესებულებების ადმინისტრაციათა ძირითადი მაკონტროლებელი ძალა;

ამ ასოციაციებმა უნდა დაიცვან შესაბამის სოციალურ ჯგუფთა პროფესიული ინტერესები; მათ უნდა დაამყარონ პროფესიული კონტაქტები და ხელი შეუწყონ სპეციალისტებისა და სტუდენტების თანამშრომლობას მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ მეცნიერებათა განვითარებას, ვინაიდან ეს რგოლი ტრადიციულად ყველაზე სუსტად, დამახინჯებულად ვითარდებოდა, როგორც საბჭოთა, ასევე გარდამავალ პერიოდში. ამ დარგში არსებული ხარვეზები მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს სპეციალისტთა მომზადების საქმეში.

უნდა გადაისინჯოს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო საბჭოს მუშაობა, მისი დებულებები, გამარტივდეს როგორც დიპლომთა და ხარისხთა მინიჭების, ასევე ნოსტრიფიკაციის პროცედურა. დიპლომებისა და ხარისხების აღიარება უნდა ხდებოდეს იდენტურობის დადგენის გზით და არა მათი ხელახალი დაცვის "გაადვილებული წესით", როგორც ეს დღეს ხდება. ამ პრობლემასაც ხსნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი;

უნდა გაგრძელდეს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული ხარვეზების შესწავლა ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე და მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა ნაკლოვანებების დაძლევაზე.

**მთავარი თემისთვის მასალები მომზადებულია ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის ცენტრის საქართველოს ოფისის მიერ.**

## საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაზეთ "24 საათის" ა.წ. 1 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ იქნა სტატია საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის საქმიანობასთან დაკავშირებით "ათი წარმატებული კომპანია საქართველოში ლიდერულ პოზიციას დაიკავებს". აღნიშნული სტატიის შესავალში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა: თითქოს პროექტმა კორპორაციული მართვის ფარგლებში პილოტური კომპანიების შერჩევა დაასრულა.

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ადასტურებს, რომ კორპორაციული მართვის კომპონენტის ფარგლებში პილოტური კომპანიების შერჩევა ახლახან დაიწყო და ჯერ არ დასრულებულა.**

# ბათუმი ოთხი ქვეყნის რკინიგზელებს უმასპინძლებს

რამდენიმე დღეში ბათუმში შეიკრიბებიან საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და რუმინეთის რკინიგზების წარმომადგენლები.

აზერბაიჯანის სახელმწიფო რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელის არიფ ასკეროვის განცხადებით, ამ შეხვედრაზე ძირითადად განიხილება აქტაუ-ფოთი-რუმინეთის მარშრუტის ამოქმედება და ამ სატრანსპორტო კორიდორზე საკონტეინერო გადაზიდვები.

ამ ფორმატის შეხვედრა ბათუმში პირველად 2004 წლის 12-13 აგვისტოს გაიმართა. მაშინ იქ საქართველო-რუმინეთს შორის გადაზიდვების გაფართოების საკითხი განიხილეს. საქმე ეხება კონსტანცა-ბათუმის საბორნე გადასასვლელს. ამას გარდა, ამ შეხვედრაზე საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზის წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს ყაზახეთის დახურულ სააქციო საზოგადოება "ყაზახსტან თემირ ჟოლის, მიეწოდებინა ინფორმაცია ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმატის საკონტეინერო მიმოსვლის პროექტის შესახებ. ამ პროექტის მიზანია ევროპისა და აზიის გადამზიდავების დაინტერესება აღმოსავლეთ-დასავლეთის საკონტეინერო მარშრუტით. ამ მარშრუტმა უნდა აჩვენოს საკუთარი უპირატესობა არა მარტო გეოგრაფიული, არამედ - სისწრაფის თვალსაზრისითაც. ამ მარშრუტზე სადემონსტრაციო გადაზიდვის ვადებს სამი ქვეყნის წარმომადგენლები ბათუმის მორიგ შეხვედრაზე დანიშნავენ.

ასკეროვის მონაცემებით, ამჟამად ევროპიდან აზიაში გადაზიდვები, ძირითადად, რუსეთისა და ირანის ტერიტორიებიდან წარმოებს. ტრასეკას წევრი ქვეყნები კი ცდილობენ, ამ გადაზიდვების ნაკადი საკუთარ კორიდორში მიიზიდონ.

*მედია-ნიუსი*

# იორდანია "რაჭის წყაროებით" დაინტერესდა

რუსულ-ქართული კომპანია "პროგრესი-2000" საკუთარი პროდუქციის - "რაჭის წყაროების" ბაზარს აფართოებს. როგორც "მედია-ნიუსს" კომპანიის ფინანსურმა მენეჯერმა აკაკი გაგნიძემ განუცხადა, კომპანიამ "რაჭის წყაროების" დისტრიბუციაზე უკვე მიიღო შემოთავაზება აზიის რამდენიმე ქვეყნიდან. განსაკუთრებით დაინტერესებულია იორდანია. "პროგრესი-2000" 2002 წელს დაფუძნდა და იგი პოლიეთილენის ბოთლებში საქართველოს სხვადასხვა წყლებს ასხამს. "რაჭის წყაროები" ამბროლაურის რაიონის სოფელ ხოტევში ისხმება. მისი სამკურნალო თვისებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტიალერგიული მოქმედება. 2004 წლის ივლისში მოსკოვის ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენაზე "წყალი - ეკოლოგია და ტექნოლოგია" "რაჭის წყაროები" ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა, ხოლო სექტემბერში საერთაშორისო გამოფენაზე "მსოფლიოს ეკოლოგიურად სუფთა წყლები" ოქროს მედალი დაიმსახურა. უახლოეს მომავალში კომპანიაში საქმიანობის გასაფართოებლად დაინერგება ახალი ტექნოლოგიები. მომავალ გაზაფხულზე კი "რაჭის წყაროების" წარმოების გასაცნობად სოფელ ხოტევს ქვეყნის პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი ეწვევიან.

*მედია-ნიუსი*

# "ნინოწმინდა" ზარალს ანაზღაურებს

საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის მოსახლეობას, რომელსაც მიმდინარე წლის სექტემბერში ბრიტანულ-ქართულ კომპანია "ნინოწმინდის" ჭაბურღილიდან ამოხეთქილმა ნავთობმა მოსავალი ნაწილობრივ გაუნადგურა, გარემოს და მოსახლეობის ჯანმრთელობას დიდი ზიანი მიაყენა, კომპანია ზარალს აუნაზღაურებს. როგორც საგარეჯოს გამგებელმა გარსევან ბუხნიკაშვილმა განაცხადა, კომპანია "ნინოწმინდის," ადგილობრივი გამგეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლებისგან შეიქმნა კომისია, რომელმაც მოსახლეობისგან მიიღო განცხადებები, სადაც მოცემული იყო ინფორმაცია დაზიანებული ყურძნის თუ ბოსტნეულის რაოდენობისა და ჯიშების შესახებ. კომპანია ამჟამად დაზიანებული მოსავლის აღრიცხვას აწარმოებს - მიმდინარეობს ყურძნის ჩაბარება. ის კილო რქაწითელში - 50 თეთრს, საფერავში - 1,50 ლარს, სუფრის ყურძენში - 80 თეთრს, უწამლ შავ ყურძენში კი 60 თეთრს გადაიხდის; ბოსტნეულში შეთავაზებული თანხაც საბაზრო ფასების შესაბამისი იქნება. ამასთან, სადაზღვევო კომპანია "ალდაგმა" სოფელ ნინოწმინიდის მოსახლეობას გადასცა უფასო სამედიცინო მომსახურების პოლისები და მოსახლეობას ერთი წლის მანძილზე შესაძლებლობა ეძლევა, მოწამვლასთან დაკავშირებით უფასო გამოკვლევები და უფასო მკურნალობა ჩაიტაროს.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებსა" და უკრაინულ ავიაკომპანია "დონბასაეროს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დღეს საქართველოში "იაკ-42"-ის ტიპის თვითმფრინავი ჩამოიყვანეს. "ნაციონალურმა ავიახაზებმა" თვითმფრინავი ექვსთვიანი ლიზინგის წესით ჩამოიყვანა. ფრენებს უკრაინელი მფრინავები შეასრულებენ. პარალელურად, კომპანია უკრაინაში მიავლენს ქართულ ეკიპაჟს, რომელიც სათანადო გადამზადების შემდეგ "იაკ-42"-ით თავად შეასრულებს ფრენას. "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" ახალი თვითმფრინავით თბილისი-დუბაის, თბილისი-პეტერბურგის, ბათუმი-მოსკოვისა და ქუთაისი-მოსკოვის რეგულარულ რეისებს შეასრულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ქვეყნის ხელისუფლებამ კახელ გლეხებს სტრატეგიული ნედლეული ჩამიჩად უქცია", - ამის შესახებ ორშაბათს ჟურნალისტებს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, დღეს კახეთში ვაზის კულტურა განადგურების წინაშე დგას. იგი მოუწოდებს ქვეყნის მთავრობას, რომ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობის პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი 35 მილიონი ლარი ვაზის გადარჩენას მოახმაროს, ვიდრე გლეხს ვენახი არ გაუჩეხავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიური სესია, რომელშიც საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მონაწილეობდა, ვაშინგტონში გუშინ დასრულდა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წინაშე გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლებითა და სრულად დაფინანსებული სოციალური ვალდებულებებით წარდგა. საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, საფინანსო ორგანიზაციების გარდა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში დაგეგმილ შეხვედრებზეც იმსჯელებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის ექსპერტებს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის წარმოდგენილი სახით მიღება დაუშვებლად მიაჩნიათ. ეკონომიკის ექსპერტის მიხეილ ჯიბუტის აზრით, " ის თუ დარჩება, რაც ამ კოდექსში ცუდია - მისი შედეგები უფრო უარესი იქნება, ვიდრე მოქმედი კოდექსისა. თუ ახალი კოდექსი ამ სახით დამტკიცდა, ქვეყნისთვის აუცილებელი ფისკალური და ეკონომიკური ეფექტი ვერ მიიღწევა. წარმოდგენილი პროექტი ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას ხელს ვერ შეუწყობს," - აცხადებს ჯიბუტი. მისივე თქმით, კოდექსში არ ჩანს, რაში მდგომარეობს მისი მთავარი სოციალური დაკვეთა. **მედია-ნიუსი**

## ს/ს "თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**5 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

**თემქის III მიკრორაიონის I,II,III და V კვარტლების, თემქის XI მიკრორაიონის III კვარტლის, მუხიანის III, IVა და IVბ მიკრორაიონების მაცხოვრებლებს.**

**6 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

**თემქის XI მიკრორაიონის I და II კვარტლების, მუხიანის I და II მიკრორაიონების მაცხოვ რებლებს**

**5 ოქტომბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

**ლითონკონსტრუქციების ქარხნის დასახლების მაცხოვრებლებს.**

**6 ოქტომბერს, 10.00-დან 17.00-სთ-მდე:**

**რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), შევჩენკოს, უკრაინკას ქუჩების მაცხოვრებლებს.**

# ლარმა 9 წლის მანძილზე ყველა დარტყმას გაუძლო

ნინო ნარჩემაშვილი

*საქართველოს ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღებიდან ზუსტად 9 წელი შესრულდა. ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებების ფონზე ლარი სახელმწიფოებრიობის ლამის ერთადერთ ატრიბუტად დარჩა, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში ყველა "დარტყმას" გაუძლო და ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ვალუტად რჩება პოსტსაბჭოთა სივრცეში. ლარის კურსის სიმყარეს, ძირითადად, ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს. ეროვნული ვალუტის 9 წლის იუბილესთან დაკავშირებით "24 საათს" ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე ესაუბრა.*



იური ლობოდინის ფოტო

*"ეროვნული ვალუტა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტია. განვლილი 9 წლის მანძილზე იგი საქართველოში ფინანსური სტაბილურობის გარანტადაც იქცა."*

**- ეროვნული ვალუტა 9 წლის გახდა. ალბათ, განვლილი გზა ლარისთვის არ იყო იოლი. რამდენად წარმატებულად მიგაჩნიათ სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღება?**

- ლარის მიმოქცევაში გაშვებას წინ უსწრებდა დროებითი ფულადი ერთეულის -კუპონის დამკვიდრების ერთობ წარუმატებელი მცდელობა, რომელიც ჰიპერინფლაციით დასრულდა. სამწუხაროდ, კუპონის სინდრომის ზემოქმედება ლარზე დღესაც იგრძნობა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჰიპერინფლაციური ფონის გასანეიტრალებლად ეროვნულ ბანკს 1994-95 წლებში მართვადი გაცვლითი კურსის პოლიტიკის გატარება მოუხდა, რომლის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა მოსახლეობაში ინფლაციის მოლოდინი და ფასების სტაბილურობა დამყარდა. შედეგად, ლარის მსყიდველობითი უნარი (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოური ვალუტების მიმართ) შენარჩუნებულ იქნა, რაც უნდა ჩაითვალოს კიდეც უმთავრეს მიღწევად. მიუხედავად ამისა, კუპონების პერიოდის მწარე გამოცდილება და მაშინდელი ხელისუფლების უნიათო მოქმედებები საზოგადოებაში ეროვნული ვალუტის მიმართ უნდობლობას თესავდა. ამის გამო ხდებოდა ეკონომიკის დოლარიზაცია და უცხოური ვალუტა თანდათან ავიწროვებდა ლარის პოზიციებს. ამ ტენდენციის საწინააღმდეგო მიმართულებით შემობრუნება წლების მანძილზე რჩებოდა ეროვნული ბანკის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავად. თუმცა, ბუნებრივია, მთავრობის ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის უქონლობის პირობებში ეს, პრაქტიკულად, მიუღწევადი ამოცანა იყო.

**- როგორ ფიქრობთ, როდის იყო ყველაზე რთული პერიოდი ეროვნული ვალუტისათვის?**

- შეიძლება ითქვას, რომ ლარის არსებობის მანძილზე 1998 წელი აღმოჩნდა ყველაზე რთული, როდესაც მისი დევალვაცია მოხდა. თუმცა რუსეთის კრიზისით გამოწვეული შიდა სავალუტო ბაზრის დესტაბილიზაციის შეჩერება მაინც მოხერხდა. ის არ გადაიზარდა ინფლაციაში და თავიდან იქნა აცილებული საბანკო კრიზისი. ქვეყანა გადავიდა თავისუფალი გაცვლითი კურსის რეჟიმზე, ხოლო ბაზარზე გაცვლითი კურსის ახალი თანაფარდობა ჩამოყალიბდა.

**- თქვენც აღნიშნავთ და ამას ექსპერტები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომ ლარი ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ვალუტაა პოსტსაბჭოთა სივრცეში. რის ხარჯზე ხდებოდა და ხდება მისი სტაბილურობის შენარჩუნება?**

- მართლაც, დიდი ძალისხმევით შევძელით მთელი ამ დროის განმავლობაში ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა შეგვენარჩუნებინა, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, 1998 წლის რუსეთის კრიზისის გავლენით მომხდარ დევალვაციას. ასეთი შედეგების მიღმა დგას, უწინარეს ყოვლისა, სწორად არჩეული სამოქმედო სტრატეგია და შემდგომ მისი პრაქტიკული განხორციელებისთვის ინტენსიური მუშაობა. ეროვნულ ბანკს, სხვა ცენტრალური ბანკების მსგავსად, ჰქონდა და აქვს კიდეც ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ქმედითი ინსტრუმენტები, რომელთა რაციონალური გამოყენება იძლეოდა სასურველ დადებით შედეგს. ალბათ, რთული წარმოსადგენია, რომ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკის ყველა მნიშვნელოვანი დარგის განვითარება სერიოზულ, ხშირად ხელოვნურ ბარიერებს აწყდება, არასტაბილურობით ხასიათდებოდა პოლიტიკური კლიმატი, დაუცველი იყო ეკონომიკური საზღვრები, ყვაოდა კორუფცია და ყველაფერ ამას ახლდა მწვავე საბიუჯეტო კრიზისი, ეროვნული ვალუტა კი მნიშვნელოვან გაუფასურებას არ განიცდიდა. თუმცა, როგორც ხედავთ, ლარმა ყველა დარტყმას გაუძლო. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ როდესაც ხელისუფლებამ გაბედული ნაბიჯები გადადგა სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად, შედეგმაც არ დააყოვნა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ეროვნული ბანკის მიერ არჩეული პოლიტიკის სისწორეს.

**- მიუხედავად იმისა, რომ ლარი ერთადერთი საგადამხდელო საშუალებაა საქართველოში, ქვეყნის რიგ რეგიონებში მისი პოზიციები არცთუ ისე მყარია. რას აკეთებს ეროვნული ბანკი იმისათვის, რომ ეროვნული ვალუტა საქართველოს ყველა რეგიონში თანაბრად "მომხიბლავი" გადახდის საშუალება გახდეს?**

- როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების მოსამსახურეთა ხელფასები რუბლებში გაიცემოდა. ამის გამო ისეთ მნიშვნელოვან რეგიონში, როგორიცაა სამცხე-ჯავახეთი, კერძოდ კი - ახალქალაქი, ლარის მიმოქცევის არეალი საკმაოდ შეზღუდული იყო. ამასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები ბათუმსა და თბილისშიც კი იქმნებოდა. ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკების შემდეგ რუსეთის ცენტრალურ ბანკთან გაფორმდა ხელშეკრულება და შემუშავდა შესაბამისი მექანიზმი, რომლის თანხმად, რუსეთის სამხედრო ბაზების მოსამსახურეები საქართველოში ხელფასს დღეს უკვე ლარებში იღებენ. ამ ღონისძიებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა აღნიშნულ რეგიონში ლარის დამკვიდრების საქმეში.

**- ისევ ლარის იუბილეს დავუბრუნდეთ. თავის დროზე, როდესაც კუპონის შემდეგ ბრუნვაში ეროვნული ვალუტა შემოვიდა, ბევრი სკეპტიკურად იყო განწყობილი მისი მომავლის მიმართ. განვლილმა 9 წელმა ეს ეჭვები გააქარწყლა. რა როლს თამაშობს ლარი საქართველოს ეკონომიკაში და რამდენად ნათელია მისი მომავალი?**

- ეროვნული ვალუტა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტია. განვლილი 9 წლის მანძილზე იგი საქართველოში ფინანსური სტაბილურობის გარანტადაც იქცა. თუმცა ის ეტაპი, როდესაც ლარი ბოლომდე სრულფასოვნად შეასრულებს საკუთარ ფუნქციებს, ჯერ კიდევ წინ არის. მხედველობაში მაქვს ეკონომიკის მაღალი დოლარიზაცია, რომლის შემცირების მდგრადი ტენდენცია უკვე მიმდინარე წელია, რაც შეინიშნება. გარდა ამისა, მოსახლეობის დანაზოგების შექმნის პროცესში ლარი ჯერ ვერ ეცილება აშშ დოლარს, თუმცა ეს ბარიერიც გადაილახება. რაც შეეხება ლარის მომავალს, იგი დამოკიდებული იქნება მთლიანად ეკონომიკაში განვითარებულ პროცესებზე და განსაკუთრებით იმ მოზომილ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკაზე, რომელიც ეროვნულმა ბანკმა ისევ უნდა გაატაროს.

# "ბრიტიშ პეტროლიუმის" წარმოების მოცულობა იზრდება

თორნიკე შარაშენიძე

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნავთობგიგანტის - "ბრიტიშ პეტროლიუმის" წარმადობა და მოგებები არნახულ მაჩვენებლებს აღწევს. მიმდინარე წლის ზაფხულში კომპანიის წარმოება 11 პროცენტით გაიზარდა. ნავთობზე მაღალი ფასები მკვეთრად ზრდის "ბრიტიშ პეტროლიუმის" მოგებებს და კომპანია კვლავ აგრძელებს აქციათა შესყიდვას, რის შედეგადაც მომავალში საშუალება ექნება, კიდევ მეტი თანხები დააბანდოს განვითარებასა და გაფართოებაში.

დღეს "ბრიტიშ პეტროლიუმის" ყოველდღიური წარმოების მოცულობა 3,88 მილიონ ბარელს აღწევს. წლის ბოლოსთვის ამ მაჩვენებლის 10 პროცენტით გაზრდაა მოსალოდნელი. თავად კომპანიის განმარტებით, ეს ზრდა, ძირითადად, "ბრიტიშ პეტროლიუმის" მიერ რუსულ "ტეენკაში" განხორციელებული ახალი ინვესტიციის დამსახურებაა. "ტეენკა-ბიპის" ერთობლივი საწარმოს მიერ ნავთობი რომ გამოვრიცხოთ, თავად "ბრიტიშ პეტროლიუმის" მოპოვება 3,08 მილიონიდან 2,93 მილიონ ბარელზე ჩამოვიდა. ამის მიზეზად იქცა დაგეგმილი პროფილაქტიკური სამუშაოები ჩრდილოეთის ზღვასა და ალიასკაზე. რაც შეეხება მექსიკის ყურეში ქარიშხალ "ივანეს" მიერ მიყენებულ ზარალს, ეს უკანასკნელი ალჟირისა და ანგოლას ახალი საბადოებიდან ამოღებული ნავთობით დაკომპენსირდა.

რაც შეეხება მოგებას, კომპანია ვარაუდობს, რომ ეს მაჩვენებელი, სულ მცირე, 750 მილიონი დოლარით გაიზრდება გასულ წელიწადთან შედარებით. სულ რამდენი იქნება მოგება, ეს მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ იმ მონაცემის გათვალისწინებით, რომ პირველ კვარტალში "ბრიტიშ პეტროლიუმმა" 4,7 მილიარდი დოლარი მოიგო.

"ბრიტიშ პეტროლიუმის" მონაცემები: კომპანია დაარსებულია 1909 წელს; მისი საბაზრო კაპიტალიზაცია 182 მილიარდ დოლარს შეადგენს; ასაქმებს 103 700 თანამშრომელს; ჰყავს 1,2 მილიონზე მეტი აქციონერი.

## საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა:

### ქართველი მეწარმეების და პროფესიონალების სტაჟირება აშშ-ში

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიურო (ECA), აშშ-ს საელჩო საქართველოში და ამერიკული არამომგებიანი ორგანიზაცია პროექტი ჰარმონია გთავაზობთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამაში მონაწილეობის მიღებას. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა ითვალისწინებს ქართველი მეწარმეებისა და პროფესიონალების აშშ-ში 3-5 კვირიან სტაჟირებას. პროგრამის მიზანია მონაწილეებს გააცნოს ამერიკის ბიზნეს და პროფესიული გარემო, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და კავშირების დამყარებას აშშ-სა და საქართველოს რეგიონებს შორის. აშშ-ს მთავრობა თავის თავზე იღებს ყველა ხარჯს, როგორიცაა მგზავრობის ღირებულება, დაზღვევა, პროფესიული და კულტურული პროგრამები, საცხოვრებელი ადგილი და კვება აშშ-ში. პროგრამის მონაწილეები იცხოვრებენ ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში. 2004 წლის შემოდგომაზე შეირჩევა ოთხი ჯგუფი, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2005 წელს გაივლიან:

**ბიზნეს ჯგუფები:**

- **თბილისის ბიზნეს (10 კაციანი) ჯგუფი**
- **ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს (10 კაციანი) ჯგუფი**
- **ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს (10 კაციანი) ჯგუფი**

საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამა ქართველ მეწარმეებს აშშ-ში ინდივიდუალური სტაჟირებით უზრუნველყოფს და თავის კოლეგებთან მუშაობის საშუალებას აძლევს. საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს:

- იყოთ საქართველოს მოქალაქე
- მონაწილეობა არ გქონდეთ მიღებული მწვანე ბარათის გათამაშებაში
- ცხოვრობდეთ და მუშაობდეთ საქართველოში
- თავისუფლად ფლობდეთ სასაუბრო და პროფესიულ ინგლისურ ენას
- ბიზნესში საპასუხისმგებლო, მმართველობით თანამდებობაზე მუშაობდეთ (კომპანიის გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იღებდეთ აქტიურ მონაწილეობას)
- შეავსოთ ანკეტა (აპლიკაცია) წერილობით და ჩააბაროთ იგი **29 ოქტომბრამდე** პროექტ ჰარმონიის ოფისში
- მიიღოთ მონაწილეობა პროექტ ჰარმონიის წარმომადგენლების მიერ დანიშულ გასაუბრებაში.

**პროფესიული ჯგუფი:**

- **ტურიზმის და დასვენების (10 კაციანი) ჯგუფი**

საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამა ქართველ პროფესიონალებს და დარგის წარმომადგენლებს აშშ-ში ჯგუფური სტაჟირებით უზრუნველყოფს და თავის კოლეგებთან მუშაობის და გამოცდილების გაზიარების საშუალებას აძლევს. საზოგადოებრივი კავშირების პროფესიულ პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს:

- იყოთ საქართველოს მოქალაქე
- ცხოვრობდეთ და მუშაობდეთ საქართველოში
- იყოთ ტურიზმის სფეროში მომუშავე სპეციალისტი (რეგიონის ტურიზმის და კურორტების განყოფილების ხელმძღვანელი, სასტუმროს / კურორტის / სანახაობების მენეჯერი და ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელი)
- აპირებდეთ მომავალი 10 წლის განმავლობაში თქვენს სფეროში მუშაობას
- შეავსოთ ანკეტა (აპლიკაცია) წერილობით და ჩააბაროთ იგი **24 ნოემბრამდე** პროექტ ჰარმონიის ოფისში
- მიიღოთ მონაწილეობა პროექტ ჰარმონიის წარმომადგენლების მიერ დანიშულ გასაუბრებაში
- ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულო არ არის.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

**პროექტი ჰარმონია.** თბილისი, ვ. ანჯაფარიძის ქ.N7, II სადარბაზო, II სართული (ფიქრის გორა)

ტელ: (8 22) 223847; 250071 ფაქსი: (8 22) 227941 ელ.ფოსტა: ccgeorgia@projectharmony.ge

ბიზნეს და პროფესიული ანკეტების აღება შესაძლებელია ორგანიზაციის ოფისში, ასევე შესაძლებელია მათი ჩამოტვირთვა საზოგადოებრივი კავშირების ვებგვერდიდან: www.projectharmony.ge/cc.htm

# საპარლამენტო ასამბლეის მთავარი თემები: ტერორიზმი და ჩეჩნეთი

პირველი გვერდიდან

რუსეთი სერიოზული ინიციატივებით წარდგა ევროპელ კანონმდებელთა თავყრილობის წინაშე. პირველ რიგში, ეს არის ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საერთო ევროპული კონვენციის მიღების საკითხი. "დღემდე ამ ორგანიზაციის ეგიდით ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ 27 რეზოლუცია, სპეციალური კონვენცია და მისი ოქმია მიღებული, თუმცა, მათ ვერ უზრუნველყვეს ამ ბოროტების წინააღმდეგ ეფექტური და წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობა," - აცხადებს ამ თემაზე მთავარი მომხსენებელი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩევი. მისივე განცხადებით, რუსეთის დელეგაცია შეეცდება, რომ ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემები ევროსაბჭოს ქვეყნების მეთაურთა მომავალი წლის მაისში დაგეგმილი ვარშავის სამიტის ერთ-ერთი მთავარი თემა გახდეს.



ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე პირველი ქართულ-რუსული დებატები გაიმართება.

ეს რაც შეეხება რუსეთის სურვილებს. თავად საპარლამენტო ასამბლეის კულუარებში კი უკვე აქტიურად მსჯელობენ (უმეტესად ნეგატიური დამოკიდებულებით) რუსეთის მიერ ინიცირებულ ადმინისტრაციულ რეფორმებზე. ევროპელ პარლამენტართა დამოკიდებულება პუტინის რეფორმისადმი თავშეკავებულია, თუმცა, უნდა ითქვას, მთლიანობაში ნეგატიური შეფასებების ტენდენცია შეიმჩნევა. ევროპის საბჭოს კულუარებში ღიად საუბრობენ, რომ არ შეიძლება არჩეული რეგიონული მმართველების დანიშნულებით ჩანაცვლება. ამავდროულად, აღინიშნა, რომ თუ პუტინის ინიციატივა კანონის სახეს მიიღებს, საპარლამენტო ასამბლეა ამ საკითხს აუცილებლად განიხილავს იანვრის თუ არა, მარტის სესიაზე მაინც.

ყველაზე ხმაურიანი დღე, ალბათ, 7 ოქტომბერი იქნება. ამ დღესაა დაგეგმილი ჩეჩნეთის საკითხზე დებატების გამართვა. მართალია, რუსეთის მხარის აზრით სამი მოხსენებიდან ორი, ანდრეას გროსის (პოლიტიკურ საკითხებზე) და თადეუშ ივინსკის (იძულებით გადაადგილებულ პირებზე) "ობიექტურია", ანუ რუსეთის კრიტიკას ნაკლებად შეიცავს, მთავარი მაინც ჩეჩნეთში ადამიანთა უფლებების მდგომარეობაზე რუდოლფ ბინდიგის მიერ მომზადებული მოხსენებაა. რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის თქმით, ეს უკანასკნელი "არაადეკვატურად და დაუსაბუთებლად მკაცრია". 7 ოქტომბერს დებატებზე ჩეჩნეთის ახლადარჩეული პრეზიდენტის ალუ ალხანოვის გამოსვლაა დაგეგმილი. ამავე დღეს ევროსაბჭოს წევრ-სახელმწიფოთა საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისრის ალვარო ხილ-რობლესის მოხსენებასაც მოისმენენ. უკანასკნელი, ისევე როგორც საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე პიტერ შიდერი, იმყოფებოდნენ რეგიონში და საკმაოდ სრული ინფორმაცია აქვთ იქაურ სიტუაციაზე.

ჯერჯერობით ნაადრევია პროგნოზების კეთება იმის შესახებ, თუ რით დასრულდება ევროპის პარლამენტართა თავყრილობა, თუმცა, საერთო განწყობა საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის გუშინდელ გამოსვლამაც ცხადი გახადა. "ტერორიზმი უმიზეზოდ არ ჩნდება, მას თავისი წინაპირობები, ნოყიერი ნიადაგი და საბაბი აქვს. თუმცა, არ არსებობს, აბსოლუტურად არ არსებობს უდანაშაულო ბავშვების მძევლად აყვანის და დახოცვის რაიმე მიზეზით გამართლება, - აღნიშნავს პიტერ შიდერი, - ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს კამათი ტერორიზმის წინააღმდეგ მკაცრი, ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. ბევრი მარჩიელობს, ზუსტად რას გულისხმობს ეს. აქ, ევროპის საბჭოში, ჩვენ ვიცით, რომ ეს არ ნიშნავს: ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას; დემოკრატიული ინსიტიტუტების გაუქმებას; ოპოზიციის ჩახშობას; სიკვდილით დასჯის აღდგენას; პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ცენზურას; მე ადრეც მითქვამს ეს, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ: თუ ტერორიზმი ჩვენ მსგავსი ზომების გამოყენებისაკენ გვიბიძგებს, მაშინ ჩვენ ვერ დავამარცხებთ მას."

# სტივენ სესტანოვიჩი: პრეზიდენტი კერი უფრო თავშეკავებული იქნება

*გასულ კვირას პუტინის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოქვეყნებული ღია წერილის ერთ-ერთი ავტორი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, წარსულში კი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის სპეციალური მრჩეველი და საგანგებო დავალებათა ელჩი დსთ-ს საკითხებში, სტივენ სესტანოვიჩი მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატთა გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები აუცილებლად შეიცვლება და განსხვავებულ ხასიათს შეიძენს.*



*სტივენ სესტანოვიჩის აზრით, არჩევნების შემდეგ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები აუცილებლად შეიცვლება.*

115 ცნობილი პოლიტიკოს-პოლიტოლოგის ღია წერილს ეფექტი მაინც ჰქონდა. და ეს ნათლად წარმოჩინდა აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატების პირველ დებატებში - პრეტენდენტებმა ერთ-ერთ თემად სწორედ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები განიხილეს.

თუ რა გავლენას მოახდენს არჩევნების შედეგები ორი ქვეყნის ურთიერთობებზე, რუსულ სააგენტო "გრანი.რუ"-ს კლინტონის ადმინისტრაციის დროინდელი ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა, საქართველოშიც კარგად ცნობილი პიროვნება სტივენ სესტანოვიჩი ესაუბრა.

სესტანოვიჩის თქმით, "საკმაოდ რთულია იწინასწარმეტყველო, თუ რა პოლიტიკას გაატარებს გამარჯვების შემთხვევაში რომელიმე კანდიდატი რუსეთთან. ეს ეხება იმ საკითხებსაც კი, რომლებზეც ბუში და კერი ყოველდღიურად კამათობენ, მაგალითად, ერაყის თემა. რუსეთთან დაკავშირებით კი, ძალიან, ძალიან ნაკლებს საუბრობენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მე არც ის მახსენდება, რომ რუსეთში არჩევნების დროს აშშ-ს თემა წინა პლანზე წამოწეულიყო".

რაც შეეხება ღია წერილს, პოლიტიკოსი აცხადებს, რომ იგი "პუტინის მიერ არჩეული პოლიტიკური კურსის გამო მზარდ შეშფოთებას ასახავს. მისმა უკანასკნელმა წინადადებამ ატლანტის ოკეანის ორივე ნაპირზე მცხოვრები ბევრი ადამიანი აიძულა, დაფიქრებულიყო რუსეთთან დაკავშირებით ჩვენი პოლიტიკის გადახედვის შესახებ. საერთო აზრია, რომ ამ საკითხებზე უნდა დავფიქრდეთ და უფრო ღრმად გავაანალიზოთ, ვიდრე აქამდე ვაკეთებდით".

ყოფილი მრჩეველი კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უსვამს ხაზს: "ჩვეულებრივ, დიდი სახელმწიფოების ლიდერები კეთილგანწყობილი პირადი ურითერთობების დამყარებისკენ ისწრაფვიან, - აღნიშნავს ამერიკელი პოლიტიკოსი, - თუმცა, ამასთანავე დარწმუნებული ვარ, რომ თუ კერი პრეზიდენტი გახდება, იგი გაცილებით თავშეკავებული იქნება პუტინთან პირად ურთიერთობებში, მით უმეტეს დასაწყისში. და ეჭვგარეშეა, გაცილებით ნაკლები იქნება საუბარი "ერთმანეთისთვის თვალის გასწორებაზე", "სულში ჩახედვაზე" და ა.შ. მართალია, ბოლო დროს, პრეზიდენტი ბუშიც, გარკვეულად, დისტანცირებას ახდენს პუტინისგან. შესაძლოა, ეს დისტანცია ასევე შენარჩუნდეს".

სტივენ სესტანოვიჩმა კომენტარი გაუკეთა პუტინის მიერ უკანასკნელ ხანებში დაწყებულ ადმინისტრაციულ რეფორმასაც. კერძოდ, იგი აღნიშნავს: "როდესაც ქვეყნის მეთაური არსებული სისტემის შეცვლის წინადადებით გამოდის, ყოველთვის მართებულია კითხვა: რატომ აკეთებს იგი ამას? ხოლო შემდეგ გავარკვიოთ, - ის მიზეზები, რომლებსაც იგი ამ ნაბიჯის ასახსნელად იყენებს, ნამდვილად შეეფერება თუ არა სიმართლეს. როცა ამერიკელები, ისევე როგორც რუსები, აკრიტიკებენ პრეზიდენტ პუტინის წინადადებას, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ, მათი აზრით, პუტინი დემოკრატიის გზიდან უხვევს, არამედ იმიტომ, რომ ხალხი ფიქრობს: შესაძლოა, იგი სრულიად საპირისპირო მიმართულებით მიდის".

*24 საათი*

# ალ-ქაიდა ატომურ ბომბს ამზადებდა

ამერიკელები დარწმუნებული არიან, რომ ალ-ქაიდას შეუძლია "ბინძური" ატომური ბომბის შექმნა. ჟურნალი "თაიმ"-ი იუწყება, რომ ტერორისტები რადიაქტიულ აქტინოიდს - ამერიციუმ-241-ს მცირე დოზებით ყიდულობდნენ და შემდეგ მის ხალხმრავალ ადგილას მოთავსებას აპირებდნენ.

ჟურნალი მიმდინარე წლის ზაფხულში დიდ ბრიტანეთში ალ-ქაიდას ე. წ. "მძინარე ქსელის" დაკავების გარემოებებთან დაკავშირებით გამოძიებას აგრძელებს. ზაფხულში ინგლისურმა და ამერიკულმა სეცსამსახურებმა ლონდონში რამდენიმე არაბული წარმოშობის ბრიტანელი დააკავეს, რომლებიც ალ-ქაიდასთან კავშირში იყვნენ ეჭვმიტანილნი. იმავდროულად მათ პორტატულ კომპიუტერებში აშშ-ს ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული ობიექტების დეტალური გეგმები და ამერიკის სამხედრო საზღვაო ფლოტის საბრძოლო გემების მოძრაობის რუკები აღმოაჩინეს.

ოპერაცია, სახელწოდებით "ნათება" ორი დღე-ღამის მანძილზე გაგრძელდა. შედეგი საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. სპეცსამსახურების ხელში "მძინარე ქსელის" ხელმძღვანელი დირენ ბაროთი, იგივე ისა ალ-ჰინდი აღმოჩნდა. ინგლისში დაკავებების პარალელურად ანტიტერორისტული ოპერაცია განხორციელდა პაკისტანშიც, საიდანაც დაპატიმრებულთა უმრავლესობა ლონდონში ჩადიოდა. პაკისტანში შედეგი გაცილებით შთამბეჭდავი იყო. შეიპყრეს ალ-ქაიდას დამშიფრველი, რომელიც დაჯგუფებაში ქსელებს შორის ელექტრონულ მიმოწერაზე იყო პასუხისმგებელი.

დაპატიმრების მომენტიდან ლონდონური დაჯგუფების საქმე თითქოსდა მიჩუმდა. სპეცსამსახურები ატარებდნენ გამოძიებას, რომლის დეტალებზეც პრესისათვის თითქმის არაფერი იყო ცნობილი.

თუმცა, ჟურნალმა "თაიმ"-მა გამომძიებლებისაგან პირველი სენსაციური სიახლის გაგება მოახერხა. ინგლისელი ტერორისტები თვითნაკეთ ატომურ ბომბს ამზადებდნენ. რაღა თქმა უნდა - "ბინძურს".

როგორც ცნობილია, "ბინძურ ატომურ ბომბს" უწოდებენ მოწყობილობას, რომელიც ჩვეულებრივ თერმობირთვული აფეთქების მეშვეობით გარკვეულ ტერიტორიას რადიაქტიული ნივთიერებებით აბინძურებს. "ბინძურ ბომბებში" შემავსებლების სახით, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო და სამხედრო წარმოებებში არსებული რადიქატიული იზოტოპები.

ზუსტად იგივე მოხდა ლონდონის შემთხვევაშიც. ამერიკული სპეცსამსახურების ერთ-ერთ თანამშრომელთან საუბრის შედეგად, რომელმაც ანონიმურობა არჩია, ჟურნალისათვის ცნობილი გახდა, რომ ტერორისტები ყიდულობდნენ და ინახავდნენ საკმაოდ დიდი რაოდენობის კვამლის ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებს, სადაც ანალიზატორის შემადგენლობაში რადიაქტიული ნივთიერება "ამერიციუმ-241" გამოიყენება (ამერიციუმი (Am) - აქტინოიდი, რომელიც მენდელეევის პერიოდულ ტაბულაში 95-ე ნომრად არის. ქიმიური ნივთიერების სახელწოდება სიტყვა "ამერიკიდან" მოდის). ჟურნალის რესპონდენტი ირწმუნება, რომ ტერორისტები შესყიდულ დეტექტორებს შლიდნენ და იქიდან ამერიციუმს იღებდნენ.

როგორც ჩანს, იზოტოპის გამოყენების კონკრეტული გეგმების თაობაზე ტერორისტებისაგან, ჯერჯერობით, ვერაფერი გაიგეს. ჟურნალის წყაროები ეყრდნობიან მხოლოდ მასმედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ეჭვმიტანილთა კომპიუტერებში აღმოაჩინეს ფაილები შემდეგი შინაარსის ფრაზებით - "ტრანსნაციონალური კომპანიების შენობებისა და ცათამბჯენების აფეთქება". თუმცაღა, რაც შეეხება "ბინძურ ბომბს", ის ამგვარი სახის დივერსიისათვის ნაკლებად გამოსაყენებელია. "თაიმის" კორესპონდენტებმა გამოკითხეს ექსპერტები რადიოლოგიური უსაფრთხოების დარგში, რომლებიც აცხადებენ, რომ ამერიციუმის შემცველობის მქონე "ბინძური ბომბი" (თუკი ტერორისტები მისი საკმარისი რაოდენობის შეგროვებას შეძლებდნენ), უფრო მოსალოდნელია, რომ ხალხის მასობრივი თავშეყრის ადგილებში მოეთავსებინათ, მაგალითად სტადიონზე. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამერიციუმის გაფრქვევის შედეგად გამოწვეულ დასხივებას სასიკვდილო სხივური ავადმყოფობა გამოეწვია, თუმცა, "ბინძური ბომბის" აფეთქებას დანამდვილებით შეიძლებოდა პანიკის დათესვა და დიდი ტერიტორიის დაბინძურება მოჰყოლოდა.

## ორი სიტყვით

**სამხრეთი აფრიკა.** სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იმ ქვეყნების სიაში ირიცხება, რომლებიც, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, საერთაშორისო ტერორისტული ქსელის "ალ ქაიდას" ლიდერებს მფარველობენ. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში დაჯგუფების 29 ახალი ლიდერია დასახელებული, რომლებიც "ალ ქაიდას" იერარქიაში რიგით "მეორე და მესამე ხელმძღვანელებად" განიხილებიან. ამერიკელები ვარაუდობენ, რომ მათი მოქმედების არეალი მხოლოდ პაკისტანითა და ირანით არ შემოიფარგლება და იგი სამხრეთ აფრიკასაც მოიცავს. როგორც სამხრეთ აფრიკის დაზვერვის სამინისტროს წარმომადგენელმა ლორნა დენიელსმა განაცხადა, სამხრეთ აფრიკის ნაციონალური სადაზვერვო სამსახური, ჯერჯერობით, არ აპირებს ზემოაღნიშნული მტკიცებისთვის კომენტარის გაკეთებას. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, აბუ მუსაბ აზ ზარქავისთან დაკავშირებულნი არიან შედარებით დაბალი რანგის სამხრეთ აფრიკელი ტერორისტები. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ეს ბოევიკები კეიპტაუნში, დურბანში და, ასევე, აღმოსავლეთ კეიპის პროვინციებსა და ჰაუტენგში მოქმედებენ. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**მოლდოვა.** დღეს მოლდოვაში მოსახლეობის აღწერა იწყება, მაგრამ მასში მონაწილეობას არ მიიღებს დნესტრისპირეთი. დე ფაქტო დნესტრისპირეთის ეკონომიკის მინისტრის ელენა ჩერნენკოს განცხადებით, ოფიციალური ტირასპოლის გადაწყვეტილებით, დნესტრისპირეთი თვითონ ჩაატარებს საკუთარი მოსახლეობის აღწერას მიმდინარე წლის ბოლოს. მოლდოვაში უკანასკნელი აღწერა ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, 1989 წელს ჩატარდა. დნესტრისპირეთში არაერთხელ იქნა დანიშნული აღწერის ვადები, თუმცა არასაკმარისი ფულადი სახსრების გამო, გამუდმებით ხდებოდა მათი გადადება. უკანასკნელად აღწერის ჩატარება თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მოლდოვის პარალელურად სურდათ, ანუ მიმდინარე წლის 5-12 ოქტომბერს. მოლდოვაში აღწერის ჩასატარებლად გამოყოფილია 27 მლნ ლეი (2.25 მლნ აშშ დოლარი), რომლის ნახევარსაც დონორი ქვეყნები - შვედეთი და დიდი ბრიტანეთი - ფარავენ. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**დსთ.** სამართლებრივმა ორგანიზაციამ "საერთაშორისო ამნისტია" ბელორუსსა და უზბეკეთში სიკვდილით დასჯის გაუქმებისთვის ახალი სააგიტაციო კამპანია დაიწყო. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ ამ ორ ზემოაღნიშნულ სახელმწიფოს არ გაუუქმებია სიკვდილით დასჯა. "საერთაშორისო ამნისტიის" განცხადებით, ორივე ქვეყანაში ადგილი ჰქონდა ადამიანებისთვის ამგვარი სასჯელის უსამართლოდ მისჯის პრეცედენტებს, რაც ხშირად "აღიარების" შედეგი იყო, რასაც სამართალდამცველები განსასჯელისაგან წამებითა და სასტიკი მოპყრობის შედეგად იღებდნენ. ტრადიციისამებრ, ბელორუსსა და უზბეკეთში ხელისუფლება გასამართლებულებს და მათი ოჯახების წევრებს სასჯელის სისრულეში მოყვანის თარიღს არ ატყობინებდა, ხოლო შემდეგ საიდუმლოდ ტოვებდა მსჯავრდებულთა საფლავებსაც. ოფიციალური მინსკი და ტაშკენტი სააგიტაციო კამპანიის დაწყების მიუხედავად, არ აპირებს დახვრეტილთა შესახებ ამომწურავი ინფორმაციის საჯაროდ გამოაშკარავებას. **ბი-ბი-სი**

■ ■ ■

**ინდონეზია.** გუშინ ინდონეზიამ ქვეყნის 60-წლიანი ისტორიის მანძილზე 20 სექტემბერს ჩატარებული პირველი სახალხო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები შეაჯამა და საარჩევნო მარათონში გამარჯვებულად გადამდგარი გენერალი სუსილო ბამბანგ იუდჰოიონო პრეზიდენტად გამოაცხადა. იუდჰოიონო პრეზიდენტობამდე პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში მინისტრი-კოორდინატორი იყო. არჩევნებში იუდჰოიონომ ხმათა 60.9 პროცენტი აიღო, მაშინ როცა მისი მეტოქე, ინდონეზიის ყოფილი პრეზიდენტი მეგავატი სუკარნოპუტრი ხმათა მხოლოდ 39.1 პროცენტს დასჯერდა. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ერაყი.** ირანის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლის აბდულა რამაზანზადეს განცხადებით, ქვეყანა მზადაა ერაყთან დაკავშირებით დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღოს მონაწილეობა. "ირანი ერაყთან დაკავშირებით საერთაშორისო კონეფერენციაში მიიღებს მონაწილეობას, რომლის ჩატარებაც კაიროშია დაგეგმილი, მაგრამ ჯერ ჩვენ არ განგვიხილავს ამ ფორუმის პროგრამა," - განაცხადა რამაზანზადემ. რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის ალექსანდრ სალტანოვის განცხადებით, აღნიშნული კონფერენციის მოწვევის საკითხი, ჯერჯერობით, განხილვის სტადიაშია, მასში, სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებენ ერაყის გარდამავალი ხელისუფლების წარმომადგენლები, "დიდი რვიანის" წევრები, უშიშროების საბჭოს წევრები და ერაყის მეზობელი სახელმწიფოები. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერაყის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის ინიციატივას და ამჟამად მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს. კონფერენციაზე განხილული იქნება ერაყში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა და საოკუპაციო ჯარების ქვეყანაში დისლოკაციის მიზანშეწონილობის საკითხები. **რია ნოვოსტი**

■ ■ ■

**უკრაინა.** უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის კონსტანტინ გრიშჩენკოს ოფიციალური ვიზიტი დანიაში ევროპული საკითხების საპარლამენტო კომიტეტის წევრებთან შეხვედრით დაიწყო. შეხვედრის მთავარ თემას ევროპასთან უკრაინის ინტეგრაციის პერსპექტივების განხილვა წარმოადგენდა. უკრაინის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მასპინძლებს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების წინ შიდაპოლიტიკური ვითარება და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები გააცნო. გრიშჩენკოს განცხადებით, უკრაინა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სტრატეგიული კურსის განხილვის პარალელურად დიდ ყურადღებას უთმობს საშინაო რეფორმების განხორციელებას, ევროკავშირის სტანდარტებსა და ნორმებთან მიახლოების საკითხებს. "ჩვენთვის დანიის, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ქვეყნის გამოცდილება მნიშვნელოვანია," - აღნიშნა უკრაინის საგარეო უწყების მაღალჩინოსანმა. გარდა დანიისა, გრიშჩენკო ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ლატვიასა და ფინეთსაც, სადაც დაგეგმილია ქვეყნების პირველ პირებთან, პარლამენტისა და საგარეო უწყების ხელმძღვანელებთან შეხვედრები. ვიზიტების მიზანს ჩრდილოეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებთან არსებული პოლიტიკური დიალოგის აქტივიზაცია წარმოადგენს. **რია ნოვოსტი**

**პატივი გვაქვს გაცნობოთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (NACRES) საქართველოში, ანხორციელებს**

**ბაქო - თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კომპანიის(btc) და ბი - პი ექსპლორეიშენი(კასპიის ზღვა)- საქართველოს(scp) ბრიტიშ პეტროლიუმის (BP) მიერ დაფინანსებულ "მურა დათვის კონსერვაციის" პროგრამას.**

**სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (NACRES) "მურა დათვის კონსერვაციის" პროგრამის ფარგლებში აცხადებს კონკურსს სოციო - ეკონომიკური კვლევის ჩატარებაზე** და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის კვლევით ინსტიტუტებს/კომპანიებს/საინიციატივო ჯგუფებს. საკვლევი ტერიტორია მოიცავს პროექტით გათვალისწინებული სამი რაიონის 24 სოფელს (გორი, ბორჯომი, თეთრი წყაროს რაიონი - თითო რაინში 8 სოფელი).

კვლევის მიზანია ნადირობის/ბრაკონიერობის და ტყის ჭრის გამომწვევი სოციო-ეკონომიკური მიზეზების დადგენა და ანალიზი ზემოთხსენებულ რაიონებში.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე და უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ნაწილებს:

1. ფონური ინფორმაცია საკვლევი ტერიტორიის შესახებ (დემოგრაფია, მიწათსარგებლობა, ეკონომიკა, ტყითსარგებლობა, არასამთავრობო სექტორი, ადგილობრივი მასმედია)
2. კვლევის შედეგეგების ანალიზი, ტყის დეგრადაციის დონეს, ბრაკონიერობასა და სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებს შორის შესაძლო კავშირების გამოსავლენად;
3. ადგილობრივი მოსახლეობის შეხედულებები და დამოკიდებულება ტყეების განადგურებისა და ბრაკონიერობის მიმართ;
4. კვლევის განმავლობაში მოპოვებული დაუმუშავებელი მასალა.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

■ ორგანიზაციის CV
■ საკონკურსო წინადადება
■ კვლევის ჩატარების მეთოდიკა
■ დეტალურად გაწერილი ბიუჯეტი: (აშშ დოლარში/ექვივალენტი ლარში)

დამატებითი ინფორმაციიისათვის (დეტალური TOR-ის მისაღებად) გთხოვთ დაუკავშირდეთ ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს, კახა არცივაძეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით
director@nacres.org

განაცხადები მიიღება ორგანიზაციის ოფისში
*2004 წლის 14 ოქტომბრის 18:00 სთ - მდე* შემდებ მისამართზე:
*საქართველო, თბილისი, 0179,*
*გამრეკელის ქ. 34*
*საფოსტო ყუთი 20*



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

# იქ, სადაც თავდება ასფალტი

იღბალი არ გინდა? ზოგი, თავს რომ მიარტყამს რამეს, ან ხატვას იწყებს, ან სწრაფი ანგარიშის ნიჭი აღმოაჩნდება, ანდა სულაც სიცოცხლის ბოლომდე უდარდელ, ბედნიერ ცხოვრებას გაანაღდებს ხოლმე. მე რამდენიმე წვეთ სისხლსა და კარგა მოზრდილ კოპს გამოვრჩი.

ისე, ერთხანს ეჭვი მაინც მღრღნიდა. საბედნიეროდ, არც ხატვა დამიწყია, საანგარიშო და ისეთი ისედაც არაფერი მაქვს, პრობლემები კი იქით დამიტანა. ყოველი შემთხვევისთვის ბავშობაში ნასწავლი ლექსები გავიმეორე, ზედ ანდაზები და აფორიზმებიც მივაყოლე და, სხვათა შორის, არც ფრთიანი გამოთქმები დამვიწყებია, განსაკუთრებით კი ორი. ერთი საერთაშორისო - ყველა გზა რომისკენ რომ მიდის, მეორე კი, მართალი გითხრათ, ძალიან ადამიანური - ფეხით მოსიარულეებს უნდა გაუფრთხილდეთო.

იმას, თუ რატომ ამეკვიატა ეს ორი ფრაზა, თავისი მიზეზი აქვს. ცხადია, იმასაც ვიტყვი, როგორ, რა მანქანებით მოხვდა ეს ორი თითქმის დაუკავშირებელი გამოთქმა ერთ წერილში; რატომ უნდა გამახსენებოდა მე, ვეძისში გაზრდილ კაცს, რომისკენ მიმავალი გზები და ელადიუსოტოკიდან გამოსული და მოსკოვის მისადგომების გაჭყლეტილი კაცის ამბავი.

ილფისა და პეტროვის გმირი, თუ არ ვცდები, ასფალტის სატკეპნმა მანქანამ გაჭყლიტა. ჰოდა, პოლიტიკის ნაცვლად დღეს სწორედ ასფალტი იქნება ჩვენი თემა. უფრო ზუსტად ის, რაც სათაურად აქვს წერილს წამძღვარებული.

იყო ასეთი ფილმი. მერე ამ ფილმის სათაურს სხვა ფილმების სათაურებიც მიაბეს და რაღაც მოთხრობის მაგვარს დაამსგავსეს: "იქ, სადაც ასფალტი მთავრდება და იწყება წელინდის სიგრძის გზა, დგას სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ. ჩემი ცოლი მშვენიერი ამერიკელი ქალბატონია" და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

მოხდა ისე, რომ ძველისძველი ფილმების სათაურებით შეთხზული ამბავი საოცრად დაემსგავსა ჩემსას. ჩემი სახლი მართლა დგას იმ არემარეში, იქ მართლა თავდება ასფალტი, ოღონდ ეს არის, ცოლი ამერიკელი ვერ არის და წელინდის სიგრძის გზისთავისაც სულ იოლად შეიძლებოდა ტანჯვით გზა გავწყდებოდით. თუმცა, ყველაფერ ამაზე ცოტათი ქვემოთ.

მოკლედ, საყოფაცხოვრებო ტალღაზე გადავერთე, რადგან პოლიტიკა, როგორც ვატყობ, თავისი გზით მიდის, დავითაშვილებივით და გამგურელიძეებივით უტარო კოვზივით ყველა ქვაბში ჩავარდნას კი ნამდვილად არ ვაპირებ.

ერთი სიტყვით, მოქმედების ადგილია ვეძისი, დაკვეთა კი აქაურების, ესე იგი, აბორიგენი მოსახლეობის.

არ ყოფილა ძნელი. რამდენიმე საათით დეპუტატად, არა, პარლამენტარად, არა, კაცო, რა ჰქვია იმას, ჰო, ხალხის მსახურად ვიქცეი და სულ მალე დავრწმუნდი, რომ მართლა არ ყოფილა ძნელი.

მოკლედ, როგორც ერთ დროს რადიო იტყოდა ხოლმე: თქვენი თხოვნით, ძვირფასო ვეძისელებო!

ვეძისი ზვარე ადგილია. განსაკუთრებით მიმზიდველი კი მგალობლიშვილისა და ყოფილი "როზა ბაბოს" (ასე ვეძახით როზა ლუქსემბურგის ქუჩას) ქუჩებს შორის მოქცეული უბნები. არ დამითვლია, მაგრამ საელჩოებს გარდა, აქ ორსართულიანი კერძო სახლები ელჩებს, კონსულებს, ატაშეებსა და სხვა ათასი ჯურის ხალხს აქვს დაქირავებული. დანარჩენი სახლებიც ფულიანმა ბიძიებმა შეისყიდეს. ერთი სიტყვით, ვეძისსაც იგივე დაემართა, რაც თავის დროზე ამერიკასა და ავსტრალიას - აბორიგენი მოსახლეობა რეზერვაციაში არ შეუშვიათ, მაგრამ მილიონნახევრიან ქალაქში ისე დაფანტეს, რომ კვალიც აღარ დარჩა.

დარჩენილებს ისღა დაგვრჩა იმედად, რომ ინვესტიციები შემოვა და, როგორც ვინმე წერეთელი მოიქცა, - მინებიანი ლურჯი ფირმა ააშენა და გარშემო გზებიც მოაწესრიგა, - იმას მაინც იზამენ, ქუჩებს მოუვლიანო.

შენც არ მომიკვდე. საელჩოებსა და სასტუმროებს შუა კი ამოდის ეს როზა ბაბოს ქუჩა, მაგრამ... როგორ გითხრათ, ტაქსს გავურიგდები, მერე როზას აღმართს ნება-ნება ამოვივლით და რადგან ამორტიზატორებს რძე მაინცდამაინც ვერ შველის, გარიგებულ თანხას ერთ ლარს დავამატებ ხოლმე.

ეს, თუ ტაქსით მოდიხარ შინ. ტაქსს იმიტომ ვამბობ, რომ საკუთარ ავტომობილს, როგორი მობეზრებულიც არ უნდა გქონდეს, წესიერი კაცი ამ გზაზე სასიარულოდ ვერ გაიმეტებ. ნამდვილი უბედურება კი მაშინ იწყება, როცა არც საკუთარი ავტომობილი გაქვს და არც ტაქსის ფული. მაშინ ამ კომფორტულ შენობებს შორის ფეხით სეირნობა სიცოცხლისთვის საშიში ხდება. როზა ბაბოს ქუჩას ტროტუარი არა აქვს! უფრო სწორად, აღარა აქვს. სულ მაინტერესებდა, მაინც როგორ გაჭყლიტა ილფისა და პეტროვის გმირი ასფალტის სატკეპნმა მანქანამ-მეთქი. ახლა უკვე ვიცი პასუხი: იმ ქუჩაზე ტროტუარი არ იქნებოდა. წერილის თავში რამდენიმე წვეთ სისხლსა და კოპზე რომ გიყვებოდით, სწორედ იქ დამემართა. ჩემთვის მოვდიოდი და ვფიქრობდი. მართალია, იშვიათად ხდება, მაგრამ რაღაც კარგი ფიქრები მომეძალა და უცებ... მოკლედ, თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდა. ტვინის შერყევას რომ გადავურჩი, იმითაც მივხვდი, რომ სულ იოლად გავიხსენე - გუშინ აქ, როზასა და ოდესის ქუჩების გადაკვეთაზე, აი, სასტუმროდ რომ აშენებენ და ციხეს რომ ჰგავს, აი, იმ სახლთან გუშინ ჯერ კიდევ იყო ტროტუარი. ახლა რკინის ღობეა. ისე, ყველაზე ცუდ მოვლენასაც კი რაღაც კარგი აუცილებლად მოჰყვება ხოლმე. თუ ბედმა ამ ქუჩაზე შემოგაგდოთ და მოულოდნელად თავზეხელაღებულ ანდა სულაც მთვრალ შოფერს გადაეყარეთ, გაქცევით, ცხადია, ვერსად გაიქცევით, გირჩევთ, ზემოხსენებულ ღობეზე აძვრეთ - კაპიტალურია, აუცილებლად დაგიმაგრებთ.

აი, ეგრე. ხომ გაგიგონიათ, გორელი ხომ არა ხარ, შუა ქუჩაში რომ დადიხარო, ახლა ეს ჩვენზეც ვრცელდება.

ამ წინადადებით ილფისა და პეტროვის საასფალტო-სატროტუარო, უფრო სწორად, ფეხით მოსიარულეთა თემა ამოვწურე და ახლა წმინდა საასფალტო საკითხზე უნდა გადავიდე.

ალბათ, გინახავთ ქუჩა, რომლის ერთი მონაკვეთი (დასაწყისი ან ბოლო) მოასფალტებულია, დანარჩენი კი - არა. მაგრამ, გნებავთ, ნაძლევს ჩამოვალ, თუ ნანახი გექნებათ ორი ერთმანეთის პერპენდიკულარული ქუჩა, რომლებიც გადაკვეთის წერტილამდეა მოასფალტებული, იმის იქით კი - აღარ.

არის ასეთი ორი ქუჩა და ასეთი გადაკვეთის წერტილი. ყველა გზა, რომისა არ იყოს, სწორედ ამ წერტილში იყრის თავს (ცხადია, ასფალტს ვგულისხმობ).

ეგეთი რა წერტილიაო, იფიქრებს მკითხველი. ესა, ძმებო, ან ქალაქის მერიის სამსახურს უნდა ჰკითხოთ, ან ამ მხარის თუ რაიონის გამგებელს. ერთი სიტყვით, იმას, ვინც ასე თვალსაჩინოდ, მე კი ვიტყოდი, საჭორაოდ აქცია ეს წერტილი.

აი, ამ აბზაციდან საყოფაცხოვრებო ინტრიგა პოლიტიკურში გადადის. გადადის და გადავიდეს! ღმერთი, რჯული, მე ასეთი განზრახვა არ მქონია. ეტყობა, იმას ჰქონდა, ვინც ამგვარი საშუალებით ასიამოვნა პრეზიდენტს.

ოჰო! პრეზიდენტი რაღა შუაშია! იმ შუაშია, რომ გადაკვეთის წერტილში რომი არა, მაგრამ ალასანიების სახლი კი დგას, ესე იგი, პრეზიდენტის ბებიის და ბაბუის.

ალალად ვიტყვი: ეს ყველაფერი საქართველოს პირველი პირისგან დამალულად, უჩუმრად გაკეთდა. ესე იგი, ვინც ეს გააკეთა, ვინც აი, ასე, "რიკოშეტით" გადაწყვიტა შეძრომა, ფაქტობრივად, პრეზიდენტი საჭორაოდ გაწირა.

დღეს ვეძისში, ამ ზვარე, საელჩოებისა და სასტუმროების მხარეში, აღარც ფეხბურთზე ლაპარაკობენ, აღარც ქალებზე, არც ცხინვალის ამბები აინტერესებთ. დიდი და პატარა ერთადერთ კითხვას სვამს:

მართლა მგალობლიშვილისა და ყოფილი ვაზისუბნის ქუჩების გადაკვეთაზე გადმოიტანეს რომი?

# "დეზერტირების ბაზრის" დახურვა 20 ოქტომბრამდე გადაიდო

*თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის დადგენილებით, ცენტრალური სუპერმარკეტი პირველ ოქტომბერს უნდა დახურულიყო. თუმცა, საკრებულოს თავმჯდომარის წყალობით, ბაზარი ექსპლუატაციის შეჩერებასაც გადაურჩა (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) და სანიტარიული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად მიცემული ვადაც 20 ოქტომბრამდე გაუგრძელდა.*



ბესო გულაშვილის ფოტო

*"ლაბორატორია მთლიანად უნდა გადავაკეთოთ, კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი გამოვცვალოთ... გამწარებულები ვმუშაობთ და როდის დავასრულებთ, ჯერ ვერ გეტყვით," - აცხადებს ბაზრის დირექტორი თემურ პაპუაშვილი.*

"დეზერტირების ბაზარი", არსებობის 35 წლის მანძილზე, დახურვის საფრთხის წინაშე წელს პირველად დადგა. თუმცა, ის დარღვევები, რამაც ინსპექციას ასეთი გადაწყვეტილება მიაღებინა, გუშინ და დღეს არ წარმოქმნილა. ერთი წელია, ქალაქის საკრებულო ბაზრის ხელმძღვანელობას "უკანასკნელ გაფრთხილებას" აძლევს და სანიტარიული მდგომარეობის მოწესრიგებას სთხოვს, მაგრამ უშედეგოდ. უბრალო გაფრთხილებებმა და საკრებულოს სხდომებზე გალანძღვამ ბაზრის დირექცია ვერ შეაშინა. საკრებულოს ხელმძღვანელობა, როგორც იქნა, მიხვდა, რომ უფრო სერიოზული სანქციის გატარება იყო საჭირო და სანიტარიულ ინსპექციას ცენტრალური სუპერმარკეტის დახურვა მოსთხოვა. ზაზა ბეგაშვილმა 10 სექტემბერს ჩატარებულ სხდომაზე ეს გადაწყვეტილება ისეთი აღშფოთებული ტონით გამოიტანა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე დღეში აზრს შეიცვლიდა.

სანიტარიულმა ინსპექციამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოთხოვნითა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ბაზრის ექსპლუატაციის შეჩერების შესახებ დადგენილება ერთ კვირაში გამოიტანა, მაგრამ მეორე დღესვე აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად უშრომია. ბეგაშვილმა ბაზრის დახურვა გადაიფიქრა და ინსპექციას სუპერმარკეტის ხელმძღვანელობისთვის სანიტარიული მდგომარეობის გამოსასწორებლად ვადის მიცემა მოსთხოვა. დირექცია ბაზრის სანიტარიული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად ღამღამობით იმუშავებს და პირველ ოქტომბრამდე ყველაფერს მოასწრებსო, თავი იმართლა საკრებულოს ხელმძღვანელმა. თუმცა, სანიტარიული ინსპექცია ირწმუნებოდა, რომ სუპერმარკეტის ხელმძღვანელობა სანიტარიული მდგომარეობის მოწესრიგებას ერთ კვირაში ვერ მოასწრებდა. **"ბაზარში თითქმის ყველაფერი შესაცვლელია. ზედა სართულის ჭერიდან და კედლებიდან ბათქაშია ჩამოშლილი, იატაკი კი დაზიანებული, რის გამოც, ნარეცხი ჭუჭყიანი წყალი პირველ სართულზე ჩადის; პირველი სართულის აყრილ იატაკზე კი ორმოებია გაკეთებული და ჭუჭყი გროვდება; ონკანებისა და საკანალიზაციო ტრაპების უკმარისობის გამო, ხარისხიანი დასუფთავება ვერ ხერხდება; პირველ სართულზე მოშლილია ვენტილაციის სისტემა. ჭერსა და კედლებზე ობია მოკიდებული; ამორტიზებულია დახლები... ამ ყველაფრის გაკეთებას ერთ კვირაში როგორ მოასწრებენ",** - აცხადებდა ინსპექცია. მისი ვარაუდი გამართლდა კიდეც. პირველი ოქტომბერიც დადგა, მაგრამ სუპერმარკეტში ჯერ კიდევ ბევრი რამეა მოსაწესრიგებელი. **"ერთ კვირაში რას მოვასწრებდით? ლაბორატორია მთლიანად უნდა გადავაკეთოთ, კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი გამოვცვალოთ... გამწარებულები ვმუშაობთ და როდის დავასრულებთ, ჯერ ვერ გეტყვით,"** - აცხადებს ბაზრის დირექტორი თემურ პაპუაშვილი.

სანიტარიულმა ინსპექციამ პაპუაშვილს ბაზრის მოსაწესრიგებლად ბოლო ვადა 20 ოქტომბრამდე მისცა. **"საკრებულოს თხოვნაზე უარი ვერ ვუთხარით და ბაზრის დახურვა გადავდეთ. თანაც, თვითონაც ვხედავთ, რომ სუპერმარკეტში სერიოზული სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს - ვენტილაციისა და კანალიზაციის ქსელი გამოცვალეს, ახალი დახლები კეთდება, ავარიული აივანი გამაგრდება, ახალ ლაბორატორიასაც შეიძენენ, ქალაქის ვეტერინარული სამსახური მოლაპარაკებას უკვე აწარმოებს უცხოეთის ფირმებთან. წესით, 20 ოქტომბრამდე ყველაფერი უნდა მოესწროს. თუ 20-მდეც ვერ მოასწრებენ, მაშინ უკვე დავხურავთ,"** - აცხადებს ინსპექციის ხელმძღვანელი კახა ნაჭყებია.

# მერიაში საკადრო წმენდა გრძელდება

*თბილისის მერიაში რამდენიმე თვის წინათ დაწყებულ საკადრო წმენდას ერთი-ორი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი თუ გადაურჩა. ნარკოტიკების მოხმარების გამო გათავისუფლებულ, ექვსი საქალაქო სამსახურის უფროსებს მალე არქიტექტურის სამსახურისა და მერიის შპს "შუქნიშნისა" და "გარეგანათების" ხელმძღვანელობაც მიაყოლეს. ოღონდ, ამჯერად, ნარკოტიკები არაფერ შუაშია. ქალაქის მთავრობა ჯანმრთელ კადრებსაც არ ინდობს, თუკი მათმა საქმიანობამ არ დააკმაყოფილა.*

ნანა ქადაგიშვილი

მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი გიორგი სულაბერიძე თანამდებობიდან ქალაქის მერის ინიციატივით გაათავისუფლეს და სამი მოადგილეც მიაყოლეს. როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილმა ოფიციალურად განაცხადა, სულაბერიძემ დანაპირები არ შეასრულა. თუმცა, როგორც კულუარებში ამბობენ, არქიტექტურის სამსახურის ყოფილი უფროსი კოსტავას ქუჩასა და ვარაზისხევის ტერიტორიაზე მოწყობილ "სამკუთხა" სამარშრუტო სქემას შეეწირა.

სექტემბრის ბოლოს ე.წ "სამკუთხედი" მერიის ხელმძღვანელობამ დიდი ზარზეიმით გახსნა. ქალაქის პრემიერი სიამაყით აცხადებდა, რომ კოსტავას ქუჩასა და ვარაზისხევზე ცალმხრივი მოძრაობა ტრანსპორტის მოძრაობას საგრძნობლად განტვირთავდა. თუმცა, პრემიერის იმედები მთლად ვერ გამართლდა. "სამკუთხედს" მოწინააღმდეგეები ამ იდეის გახმაურებისთანავე გამოუჩნდა, დღეს კი, როცა კოსტავას ქუჩასა და ვარაზისხევს განტვირთვა დიდად არ დასტყობია და მძღოლებს საცობებში ყურყუტი ძველებურად უწევთ, ექსპერტთა ნაწილი "სამკუთხედს" უფრო გაბედულად აკრიტიკებს. ჰოდა, როგორც მერიაში ამბობენ, ამ კრიტიკას გადაჰყვა არქიტექტურის სამსახურის უფროსიც, როგორც "სამკუთხედის" პროექტის ერთ-ერთი ავტორი. თუმცა, თვითონ სულაბერიძე ისეთ კომენტარს აკეთებს, მისი გათავისუფლების რეალური მიზეზის გარჩევა ჭირს. **"ეს ყველაფერი, ალბათ, "სამკუთხედს" მოჰყვა, ოღონდ, მე ამ პროექტის მომხრე კი არა, წინააღმდეგი ვიყავი,"** - აცხადებს სულაბერიძე. ასეა თუ ისე, დღეს ქალაქის არქიტექტურის სამსახურის უფროსის თანამდებობა ვაკანტურია და ახალ ხელმძღვანელს ელის. ამ თანამდებობაზე საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის ექსპერტი მერაბ კურცხალია ივარაუდება. თუმცა, თვითონ კურცხალია ამ ინფორმაციას უარყოფს, ჩემთვის, ჯერჯერობით, არავის არაფერი შემოუთავაზებიაო, აცხადებს.

ქალაქის მერს არც პრემიერი ჩამორჩენია და გუშინ შპს-ების "შუქნიშნისა" და "თბილქალაქგანათების" ხელმძღვანელები თანამდებობიდან გაათავისუფლა. როგორც პრემიერი ბრეგაძე აცხადებს, "შუქნიშნის" გენერალური დირექტორის ზურაბ ბიბილაშვილის გათავისუფლების მიზეზი ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ მიცემული დავალების შეუსრულებლობა გახდა. "შუქნიშანს" დედაქალაქში ახალი შუქნიშნების დამონტაჟება პირველ სექტემბრამდე უნდა მოესწრო, მაგრამ დათქმული ვადა დაარღვია. "თბილქალაქგანათების" გენერალური დირექტორი ამირან ქურცუა კი "ყალთაბანდი" თანამოქალაქეების მიერ გარეგანათების ბოძებიდან ელექტროენერგიის ქურდობას შეეწირა. მისი ადგილი "თბილქალაქგანათების" სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ლადო კვიჭიძემ დაიკავა. ეს უკანასკნელი კი ირაკლი პაპავამ შეცვალა.

# აღნიშვნის ფორმა პრესკონფერენცია

*1931 წელს ფლორენციაში გამართულ გარემოს დამცველთა საერთაშორისო კონგრესზე 4 ოქტომბერი ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. გარემოს დაცვის პრობლემაზე მომუშავე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ამ თარიღს წელს პირველად აღნიშნავენ. აღნიშვნის ფორმა პრესკონფერენციაა.*

თამარ ჭაჭანიძე

"საქართველოში ცხოველთა სამყაროს განადგურებამ და წამებამ არნახული მასშტაბები მიიღო. ველური ცხოველების მრავალი სახეობა გადაშენების პირასაა. 1990 წელთან შედარებით განსაკუთრებით შემცირებულია ირმის, ჯიხვის, არჩვის, შვლის, დათვის რიცხოვნობა," - აღნიშნავს "გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველთა კავშირის" პრეზიდენტი ლაშა ჩხარტიშვილი. იგი ველური ცხოველების პოპულაციების შემცირების მიზეზად ცხოველთა ადგილსამყოფლის განადგურებას, გარემოს დაბინძურებას, ბრაკონიერობას და ცხოველებით არალეგალურ ვაჭრობას ასახელებს.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში თეორიულად ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება იწყება, რეალობაში სისასტიკის დემონსტრირებამ დიდი მასშტაბები მიიღო.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საკანონდებლო ბაზის არასრულფასოვნებას და ადმინისტრირების დაბალ დონეს უჩივიან, გამოსავალს ამ ეტაპზე ვერ პოულობენ.

საქართველოში განსაკუთრებით დაუსჯელია ბრაკონიერობა. ამ ბოლო ხანებში ნადირობა მრავალი მამაკაცის ჰობი გახდა. დაძაბული სამუშაო კვირის შემდეგ ძმაკაცებთან ერთად მანქანით სანადიროდ წასულები არც ერთ სულიერს არ ინდობენ და ამას სამწუხაროდ, ე. წ. კულტურული დასვენებაც კი ჰქვია. უკანონო ნადირობის გამო არავინ ისჯება. მათ, ვინც ელექტროდენისა და დინამიტის საშუალებით ანადგურებს უთვალავ წყლის ბინადარს, არავინ სჯის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ცხოველთა დაცვის სპეციალური კანონიც არსებობს, ცხოველთა წამება კი სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლითაც ისჯება, საქართველოში ცხოველები მაინც დაუცველები არიან. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა მაწანწალა ცხოველების მხრივაა. გლდანის ნაგავსაყრელზე ბეკერის ორმოებში ჩაყრილი უპატრონო ძაღლები, "პატრონიანი" ძაღლების სისხლიანი შერკინებები საკმაოდ გახშირდა.

პრესკონფერენციაზე წარმოადგინეს ფოტომასალა, რომელიც თბილისის და რუსთავის ზოოპარკებში არსებულ ვითარებას ასახავს. გასაცოდავებული ცხოველები მცირე ფართობში და ატრაქციონების ხმაურში იტანჯებიან და თან ელემენტარულ ვეტერინარულ მომსახურებას არიან მოკლებული. ეს ნებისმიერ ცხოველის მოყვარულს ჩააგდებდა შოკში.

თბილისში ბაზრებსა და ზოომაღაზიებში "წითელ წიგნში" შეტანილ ცხოველებსაც ნახავთ, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მოკლე ხანში იღუპება. იშვიათი სახეობის ცხოველები არალეგალური გზით საზღვარგარეთაც გაედინებიან. არასამთავრობოები აღნიშნავენ, რომ შევარდენის, გავაზის, და საქართველოში გავრცელებული იშვიათი სახეობის ამფიბიებით ვაჭრობამ დიდი მასშტაბები მიიღო. ინტერპოლის მონაცემებით კი ცხოველებით არალეგალური ვაჭრობის წლიური ბრუნვა 15 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

## საერთაშორისო კვლევისა და გაცვლებისსაბჭო (IREX)

IREX

DEPARTMENT OF STATE · UNITED STATES OF AMERICA

### აცხადებს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის ბიუროს პროგრამებს:

**ევრაზიის სტუდენტურ გაცვლით პროგრამა** (UGRAD) - პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების პირველი, მეორე და მესამე* (* მხოლოდ ხუთწლიანი პროგრამის) კურსის სტუდენტებს. კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები ისწავლიან აშშ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. პროგრამაში მონაწილეობის შედეგად არ მოხდება აკადემიური ხარისხის მინიჭება. პროგრამა სრულად ფინანსდება აშშ მთავრობის მიერ. Iგი მოიცავს შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: ფინანსები, სოფლის მეურნეობა, ამერიკანისტიკა, ბიზნესი, კომპიუტერული მეცნიერება, სისხლის სამართალი, ეკონომიკა, განათლება, გარემოს დაცვის მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, სამართალი, პოლიტიკური მეცნიერება, ფსიქოლოგია და სოციოლოგია.

**ევრაზიის სტუდენტურ გაცვლით პროგრამის ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 12 ნოემბერი, 5:00.**

ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამა (Mუსკიე) - პროგრამა საშუალებას აძლევს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს, მაგისტრატურის სტუდენტებსა და სხვა პროფესიონალებს ისწავლონ აშშ უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებში ერთი ან ორი წლის მანძილზე (მაგისტრის ხარისხის მიჭებით ან მინიჭების გარეშე). პროგრამა აგრეთვე საშუალებას აძლევს მსურველებს მონაწილეობა მიიღონ სადოქტორო პროგრამაში. (მხოლოდ საქართველოს, ყაზახეთის, რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეებისათვის). Pროგრამა სრულად ფინანსდება აშშ მთავრობის მიერ და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: ბიზნესის მართვა, ეკონომიკა, განათლება, გარემოს დაცვის მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, სამართალი, საბიბლიოთეკო საქმე და საინფორმაციო მეცნიერება, სახელმწიფო მართვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და საზოგადოებრივი პოლიტიკა.

**ედმუნდ მასკის სამაგისტრო პროგრამის ანკეტების ჩაბარების ბოლო ვადაა 2004 წლის 12 ნოემბერი, 5:00.**

აღნიშნული პროგრამების ანკეტების მიღება და ჩაბარება შესაძლებელია საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) ოფისში. ანკეტების ჩამოტვირთვა აგრეთვე შესაძლებელია IREX-ის ვებ-გვერდებიდან www.irex.org ან www.irex.ge. დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით IREX-ის ოფისს: ნუგზარ საჯაიას ქ. N 8. ტელ/ფაქსი: 29 19 05; ელ-ფოსტა: programs@irexonline.ge

# ახალციხის ინციდენტი

### დაზარალებული ჭიჭიკო გელაშვილის ნაამბობი

თამარ კაციტაძე



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ჭიჭიკო გელაშვილი და მისი მეუღლე რიმა გელაშვილი.

ახალციხეში, რესტორან "ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე, "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერმა გოჩა კურტანიძემ, ურთიერთშელაპარაკებისას, "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან გასროლით, სახის არეში გამავალი ჭრილობა მიაყენა ახალციხელ ბიზნესმენს ჭიჭიკო გელაშვილს.

შოკში მყოფი გელაშვილი სასწრაფოოდ გადაიყვანეს ახალციხის რაიონულ საავადმყოფოში. ექიმების განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკული იყო და ყველაფერი კეთდებოდა, რათა პაციენტისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

გავრცელებული ინფორმაციით, გოჩა კურტანიძე შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ, ანგარიშსწორების თავიდან აცილების მიზნით, ქალაქიდან გაიყვანა.

როგორც ახალციხის პროკურორი ალეკო მაისურაძე აცხადებს, კურტანიძე დროებითი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული. პროკურორი მის ზუსტ ადგილსამყოფელს არ აკონკრეტებს.

ამჟამად ახალციხის რაიონულ პროკურატურაში კურტანიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით არის აღძრული, რაც 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ეს ინფორმაცია, ინციდენტიდან მეორე დღესვე გავრცელდა, მაგრამ მას შემდეგ აღნიშნულ დანაშაულზე აღარაფერი თქმულა. ოფიციალურად მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ "ნაციონალური მოძრაობის" ახალციხელ ლიდერს სამი თვით წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული და იგი თბილისის №7 საპყრობილეში იმყოფება.

დაზარალებული ჭიჭიკო გელაშვილი კი, გართულებული მდგომარეობის გამო, თბილისში გადმოიყვანეს, სადაც ორი სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა. როგორც ექიმები აღნიშნავენ, მისი მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია.

მანამდე კი, ჯერ კიდევ ახალციხის საავადმყოფოში მყოფი ჭიჭიკო გელაშვილი ტელეფონით დაგვიკავშირდა და მკვლელობის მცდელობის მიზეზი გაგვიმხილა.

გთავაზობთ ჭიჭიკო გელაშვილის და მისი მეუღლის, რიმა გელაშვილის ნაამბობს.

**ჭიჭიკო გელაშვილი:** მართალია, გოჩა კურტანიძე ახალციხელი იყო, მაგრამ მასთან არანაირი შეხება არ მქონდა, სანამ ჩემი შვილი - გელა გელაშვილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პროკურატურამ არ დააპატიმრა. გელას დაპატიმრება კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სწორედ ფულის გამოძალვის მიზნით მოხდა.

ჩემი შვილის დაპატიმრების ისტორია ასე დაიწყო: როგორც შევიტყვე, დაკავებამდე რამდენიმე თვით ადრე გელას სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა ვინმე მერაბ ხორავასთან, რომელიც რესტორანში ახალციხელებს აგინებდა.

12 ივნისს გელა ჩემი მეორე შვილის კუთვნილ ავტოსადგომთან მდებარე სასადილოში მიდიოდა ლუდის დასალევად. იქვე, ავტოსამრეცხაოსთან დაუნახავს მერაბ ხორავა, რომელსაც ხმამაღლა დაუყვირა - აქ რას აკეთებო. ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ, გელა იმ სამმა ახალციხელმა დააწყნარა, რომლებიც ხორავას ახლდნენ. ამ დროს ხორავა მანქანაში ჩამჯდარა და წასვლას აპირებდა. მანქანით გავიდა გელაც. გელამ მეორე დღეს შეიტყო, რომ ხორავას მანქანის კარი გაუკაწრავს. ბიჭები მეორე დღესვე შერიგდნენ და არავის პრეტენზია აღარ ჰქონია. ასე გავიდა რამდენიმე დღე. 18 ივნისს გელა გერმანიაში გაფრინდა. სწორედ ამ დროს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პროკურორმა დავით ნარიმანიშვილმა დამიბარა და მითხრა: გელას წინააღმდეგ ხულიგნობის მუხლით საქმე არის აღძრულიო და მაშინვე დამამშვიდა, საშიში არაფერია, გელა ჩამოვიდეს, ერთ დღით დავაკავებთ. ხომ იცი, ახალი კანონია, პრობლემები რომ აღარ იყოს, ბიუჯეტში 10-15 ათასი დოლარი გადაიხადე და მეორე დღესვე გავუშვებთო.

როგორც გაირკვა, სამი პიროვნება და მერაბ ხორავა თურმე ფინანსურ პოლიციაში მუშაობდნენ და იმ ადგილას, სადაც გელას ინციდენტი მოუხდა, ვიღაცის დიზელით დატვირთული მანქანის შესამოწმებლად იყვნენ მისულები. გელამ არ იცოდა, თუ სად მუშაობდა ხორავა; ამას თავად ისიც ადასტურებს. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, ახალციხის ფინანსური პოლიციის უფროსს ალექსანდრე ქურდაძეს ოთხივე თანამშრომელი დაუბარებია და დამუქრებია - დაეწერათ, თითქოს გელამ ხორავას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მანქანა განგებ დაუზიანა და მუშაობაში ხელი შეუშალა. სამმა პიროვნებამ ამ ტყუილის დაწერაზე მაშინვე უარი განაცხადა და სიმართლე დაწერა, ანუ ის, რომ გელას და ხორავას შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა არ მომხდარა. ხორავამ კი ყველაფერი დაწერა ისე, როგორც უკარნახეს. ამასთან, ინციდენტის დროს მან დაასახელა ისეთი პიროვნებები, რომლებიც იქ საერთოდ არ ყოფილან. სწორედ მისი ჩვენება გახდა გელას და მისი ორი მეგობრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი.

გელას გერმანიაში დავურეკე და 5 ივლისს მართლაც ჩამოვიდა. მეორე დღეს პროკურატურიდან დამირეკეს და მითხრეს: გელა რუსთაველის ძეგლთან მოვიდეს, სპეცრაზმი მოვა და ხალხმა რომ დაინახოს, ისე დააკავებენო. გამიკვირდა, გერმანიიდან აქ ჩამოვიდა და თავის ფეხით ვერ მოვა-მეთქი? მაგრამ ტელეფონი დამიკიდეს. იმავე წუთებში შევიტყვე, რომ ჩემი მეორე შვილი - კობა გელაშვილი და ჩვენი ახლობელი ზორბოიანიც დააკავეს. გელა სამ მეგობართან ერთად მეზობლის ბინაში დაიჭირეს, ქალაქშივე აიყვანეს კიდევ ერთი მეგობარი ოსეპიანი. ამ ოპერაციაში უშიშროების სამინისტროს 80 თანამშრომელი იღებდა მონაწილეობას. სამი პიროვნება მაშინვე გაუშვეს, კობა კი მეორე დღეს გაათავისუფლეს. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ზორბოიანი და ოსეპიანი იმიტომ დაიჭირეს, რომ ჯგუფური დანაშაულის იმიტაცია შეექმნათ და მუხლი დაემძიმებინათ.

ბიჭების დაკავებისთანავე პროკურორთან მივედი და ვუთხრი: ბიუჯეტში ხვალვე შევიტან ფულს და, როგორც მოვილაპარაკეთ, გელა გაათავისუფლეთ-მეთქი. მაგრამ ამ დროს საქმეში ჩაერია გოჩა კურტანიძე, რომელიც პროკურატურაში მივიდა და ყველაფერი აირია.

ზორბოიანი ავადმყოფი ბიჭია. მათი ოჯახური მდგომარეობა რომ გაიგეს, კურტანიძე მივიდა მამამისთან და უთხრა: 10 ათასი დოლარი მოგვეცით და შენს შვილს გავათავისუფლებთ, თუ არადა, გელაშვილის გზას გავუყენებთო. საბოლოოდ, 7 ათას დოლარზე შეთანხმდნენ. კურტანიძემ გააფრთხილა - თანხის შესახებ თუ ვინმეს ეტყვით, ისევ დავიჭერთო. ზორბოიანებმა ფული რომ გადაიხადეს, ჩვენ მოგვადგნენ - რაც გადავიხადეთ, აგვინაზღაურეთო. მე ვუთხარი: მიდით და პროკურატურაში ყველაფერი დაწერეთ-მეთქი. მაგრამ შეშინებულნი იყვნენ.

ზორბოიანს შინაპატიმრობა შეუფარდეს, გელას და ოსეპიანს კი - სამი თვით წინასწარი პატიმრობა და თბილისში გადაიყვანეს. სამივე ხულიგნობაში, სხვისი ნივთის დაზიანებასა და სამართალდამცველისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ცნეს ბრალდებულად.

წინასწარი პატიმრობის შეფარდების მეორე დღეს კურტანიძე ქალაქში შემხვდა და მითხრა, 50 ათასი დოლარი გადაიხადე და შენს შვილს გავათავისუფლებთო. მთელმა ქალაქმა იცის, კურტანიძე რომ ფულს გვთხოვდა. ამის შემდეგ პირდაპირ პროკურორთან მივედი, კურტანიძის ნათქვამი ვუთხარი და ქრთამის გამოძალვის ფაქტზე რეაგირების მოხდენა მოვითხოვე. პროკურორი დამპირდა - ზომებს მივიღებო, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. რა ზომებზე იყო საუბარი, კურტანიძე სულ მის კაბინეტში იჯდა. მე დასახელებული თანხის გადახდის საშუალება არ მქონდა, თუმცა ვამბობდი, რომ თანახმა ვიყავი, ბიუჯეტში 20 ათასი ლარი შემეტანა.

მართალია, პროკურორი უშუალოდ ფულს არ ითხოვდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ერთად იყვნენ. ქურდაძე თანამშრომელს იყენებდა, კურტანიძე ფულს ითხოვდა, პროკურორი კი საქმეს აკეთებდა.

კურტანიძე 20 ათას ლარზე არ დაგვთანხმდა. თბილისში უშიშროების მინისტრის მოადგილესთან - ამირან მესხელთან არის შეთანხმებული და იმან თქვა, ზედმეტი ლაპარაკი არ იყოს, 50 ათას დოლარს თუ არ გადაიხდიან, არ გავათავისუფლებთო.

ასეთ ვითარებაში, თვენახევრიანი გამოძიების შემდეგ, საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო. გელა და ოსეპიანი ახალციხეში ჩამოიყვანეს. პროცესზე სამმა მოწმემ კიდევ ერთხელ დაადასტურა პირველი ჩვენება და ხორავამაც უკვე ღიად დააფიქსირა - გელამ არ იცოდა, რომ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ვიყავით და მასთან არც ფიზიკური ჩხუბი მომსვლიაო. რამდენიმე საათიანი სასამართლო პროცესის შემდეგ პროკურორმა სიტყვის თქმამდე შესვენება მოითხოვა. წინააღმდეგობის გაწევის და ხულიგნობის მუხლები თვითონ მოხსნა და სამივეს მხოლოდ სხვის ქონების დაზიანების ბრალდება დაუტოვა, რისთვისაც გელასა და ოსეპიანისთვის ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ზორბოიანისთვის პირობითი სასჯელის შეეფარდა მოითხოვა. განაჩენის გამოცხადება მეორე დღისთვის გადაიდო. როგორც გაირკვა, იმავე დღეს ქურდაძემ ოთხივე თანამშრომელი პროკურორის კაბინეტში მიიყვანა და სასამართლო ჩვენებების შეცვლის შესახებ განცხადებები მუქარით დააწერინა. თუმცა, ხელახალი დაკითხვის მიუხედავად, სამივე მოწმემ პირველი ჩვენება გაიმეორა. ხორავა კი აღარ დაკითხეს და სასამართლოც ხელოვნურად ორი კვირით გადადეს. ბიჭები დანიშნულ დროს ისევ ჩამოიყვანეს. ორი დღე სასამართლოში გვატარეს, მაგრამ პროცესი არ ჩატარებულა და ახლა 21 სექტემბრისთვის გადადეს.

18 სექტემბრეს ქორწილში ვიყავი. იქ იყვნენ პროკურორი, პოლიციის უფროსი, თავისი თანამშრომლებით, ქურდაძე და კურტანიძე, რომელსაც "მაკაროვი" ჰქონდა. ახლა ამბობენ, ნაციონალების ლიდერი იარაღს უკანონოდ ატარებდაო, მაშინ ვერ ხედავდნენ? გადავწყვიტე, ქორწილიდან მალე წამოვსულიყავი. ჩემი ნათესავი მაცილებდა. მოულოდნელად ნასვამი კურტანიძე მომიახლოვდა და მკითხა, ფული რატომ არ მოგაქვსო? მე ვუპასუხე - შენთან საქმე არ მაქვს, ამ ყველაფერს პრეზიდენტს მივწერ და მერე მელაპარაკე-მეთქი. მერე რა მოხდა, არაფერი მახსოვს.

**რიმა გელაშვილი** - როგორც ნათესავმა გვითხრა, კურტანიძემ ჯერ ჭიჭიკოს, შემდეგ კი მას ესროლა. ხალხი კურტანიძისკენ გაიქცა, მაგრამ იგი პოლიციამ გააპარა. რამდენიმე საათში კი დაგვირეკეს, დავაკავეთო.

21 სექტემბრის ნაცვლად, ახალციხის მოსამართლე და პროკურორი თბილისში წინა დღეს ჩავიდნენ - გელას და ოსეპიანის პროცესი იქ ჩაატარეს. მართალია, ვიცოდით, რომ ბიჭებს ერთ მუხლშიღა ედებოდათ ბრალი, მაგრამ, როგორც გაირკვა, ისევ სამი მუხლით აღმოჩნდნენ ბრალდებულნი. როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანეს ხორავაც. უთქვამთ - მამამისის დაჭრის შემდეგ რამე რომ არ მოხდეს, არ გვინდა ჯერჯერობით გამოშვება, ამიტომ პირველი ჩვენება ნაწილობრივ აღიარე და ორ კვირაში გავათავისუფლებთო. მართლაც, პროკურორმა ხუთი თვით პატიმრობა მოითხოვა, სასამართლომ კი გელას საბოლოოდ სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა. ოსეპიანი კი მაშინვე გაუშვეს.

განაჩენი ძალაში 4 ოქტომბერს შედიოდა, გელა მეორე დღეს უნდა გამოსულიყო. მაგრამ 2 ოქტომბერს გავიგეთ, რომ პროკურატურამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა და პატიმრობის კიდევ ორი თვით გაგრძელება მოითხოვა. რაში სჭირდებათ ეს ორი თვე, გაუგებარია.

გელაშვილების ნაამბობის გადასამოწმებლად კომენტარი უშიშროების მინისტრის მოადგილეს ამირან მესხელს და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პროკურორს დავით ნარიმანიშვილს ვთხოვეთ.

**სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პროკურორი დავით ნარიმანიშვილი**: გელა გელაშვილის დაპატიმრების შემდეგ ჭიჭიკო გელაშვილი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ, შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, ბიუჯეტში 20 ათას დოლარს გადაიხდიდა.

მაგრამ ამ საკითხზე პროკურატურას ჩამოყალიბებული პოზიცია ჰქონდა: ვინაიდან ეს უბრალო ხულიგნობა იყო, საპროცესო გარიგებაზე ვერ წავიდოდით; ამიტომ უარი განვუცხადე არა მარტო მას, არამედ მის მიერ გამოგზავნილ ადვოკატსაც.

რაც შეეხება კურტანიძის მიერ თანხის მოთხოვნის ფაქტს, ჭიჭიკო გელაშვილმა ეს ფაქტი მართლაც შეგვატყობინა, მაგრამ განცხადების დაწერაზე უარი თქვა. მიუხედავად ამისა, ზეპირი შეტყობინების ოქმი შევადგინეთ და გვინდოდა, მოკვლევა დაგვეწყო. გელაშვილი რამდენჯერმე გამოვიძახეთ, მაგრამ პროკურატურაში აღარ მოდიოდა. თავად გოჩა კურტანიძე კი ქრთამის გამოძალვის ფაქტს კატეგორიულად უარყოფდა. ის, რომ მე თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით საქმის კურსში ვიყავი, ჭიჭიკო გელაშვილის ნააზრევია და სიმართლეს არ შეეფერება.

გელაშვილმა და მისმა მეგობრებმა იმდენი ამტკიცეს, რომ უდანაშაულოები არიან, თვითონვე დაიჯერეს. მაგ საქმეში რამე შეთითხნული, პირადული ან გამორჩენა არ ყოფილა. ჩვენ გავითვალისწინეთ ოჯახური მდგომარეობა, თუმცა ვერ გაიგეს, ადამიანურად რომ მივუდექი.

**უშიშროების მინისტრის მოადგილე ამირან მესხელი:** ექვსი წელი ახალციხეში ვმუშაობდი და, რა თქმა უნდა, გელაშვილებსაც ვიცნობდი და კურტანიძესაც. ახალციხეში რაც ხდება, ხშირად ჩემი სახელი ერქმევა. ეს საქმე და მსგავსი საქმეებიც პროკურატურის ქვემდებარეა და უშიშროების სამინისტრო არ ერევა. კობა გელაშვილი ჩემი კლასელია, გელაც ჩვენს სკოლაში სწავლობდა და რა თანხაზე შეიძლებოდა საუბარი. თანხასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ინფორმაცია მქონდა, მაგრამ ჩავთვალე, რომ ეს არასერიოზული თემა იყო და არ შეიძლებოდა ასეთი ინციდენტი მოჰყოლოდა. ჭიჭიკო გელაშვილის დაჭრის ფაქტიც გავიგე, მაგრამ რა და რატომ მოხდა, არ ვიცი.

## მოკლედ

### მოსამართლეთა რაოდენობის შემცირებას პრეზიდენტი, ჯერჯერობით, ხელს არ აწერს

საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების თაობაზე შესაბამის დოკუმენტს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ჯერჯერობით, ხელი არ აწერს. შესაბამისად, ჯერჯერობით, არ გაერთიანებულა რაიონული სასამართლოები. ის 27 მოსამართლე, რომელიც შემცირების კანდიდატია, ისევ აგრძელებს მუშაობას. სასამართლოთა გაერთიანებასა და მოსამართლეთა რაოდენობის შემცირებაზე პრეზიდენტის ბრძანებულება 24 აგვისტოს გამოიცა და ეს პროცესი 20 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, თუმცა, როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განაცხადეს, ტექნიკური მიზეზის გამო ერთი თვით გადაიდო. იუსტიციის საბჭოში არ გამორიცხავენ, რომ მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების საკითხი პრეზიდენტმა უარყოფითად გადაწყვიტოს. როგორც მოსამართლეები აცხადებენ, საქმეთა სწრაფად განხილვას ისინი დღესაც ვერ ახერხებენ და ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება, თუ მოსამართლეთა რაოდენობა შემცირდება. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კემულარიამ ორი დღის წინათ მოსამართლეებთან გამართულ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ დღის წესრიგში არ დგას უზენაეს და საოლქო სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობის შემცირება. **მედია-ნიუსი**

### კოდორის ხეობა თარგამაძეს დაუპირისპირდა

"პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადება რაზმ "მონადირის" გაუქმებასთან დაკავშირებით აბსოლუტური სიბეცისა და დილეტანტობის გამომჟღავნებაა," - ნათქვამია კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. მასში ასევე აღნიშნულია, რომ კოდორის ხეობის მოსახლეობა აღშფოთებულია თარგამაძის გამოხტომით. მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი და დაღუპული გმირების მიმართ, გივი თარგამაძე აფხაზეთის ომის, კოდორის ხეობის გმირებს, თანაც დაუმარცხებელ გმირებს, "მკვდარ თხუნელებს" უწოდებს. ერთადერთი შეფასება, რომელიც შეიძლება თარგამაძის განცხადებას მიეცეს, "სამშობლოს ღალატია" და "ომში დაღუპული გმირების და მათი ახლობლების სულში ჩაფურთხება", - ასეთია განცხადების პათოსი. კოდორის ხეობის რწმუნებულის წარმომადგენლობა, რომელიც შესაბამისად რწმუნებულის პოზიციას გამოხატავს, იმედოვნებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი შესაბამის შეფასებას მისცემს თარგამაძის განცხადებას. **მედია-ნიუსი**

### ევროსასამართლომ მირცხულავას საცხოვრებელი პირობების ამსახველი ფოტომასალა მოითხოვა

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას ადვოკატმა ეკა ბესელიამ სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლოდან კიდევ ერთი წერილი მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ სასამართლო მირცხულავას საცხოვრებელი პირობების ამსახველი ფოტომასალის მიღების შემდეგ მისი პატიმრობის საკითხს გადაწყვეტს. ეკა ბესელიას განცხადებით, ევროსასამართლომ მირცხულავას ყოფითი პირობების გასარკვევად ფოტომასალის გაგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოსთხოვა. დავით მირცხულავა ამჟამად მსჯავრდებულთა და პატიმართა საავადმყოფოში იმყოფება. მისმა ადვოკატმა სტრასბურგის სასამართლოს სამი თვის წინათ მიმართა და, სხვა მოთხოვნებთან ერთად, პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხიც დასვა. გასულ კვირას ადვოკატმა ეკა ბესელიამ მირცხულავას საქმის რაიონული სასამართლოდან უზენაეს სასამართლოში გადატანა მოითხოვა. ამ შუამდგომლობაზე პასუხი თბილისის კრწანისი - მთაწმინდის რაიონული სასამართლოდან ადვოკატმა ორ დღეში უნდა მიიღოს. **მედია-ნიუსი**

### ქართველ პოლიციელებს დემოკრატიას ასწავლიან

შსს პოლიციის აკადემიის ხელმძღვანელობის, არასამთავრობო ორგანიზაცია "ალპესა" და ბრიტანეთის საბჭოს თაოსნობით, ევროკავშირის ექსპერტმა ანდრეა ჰოპკინსმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე: "პოლიცია დემოკრატიულ სახელმწიფოში". "ტრენინგი, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვას ეხება, სასარგებლოა სამართალდამცველებისთვის, მით უმეტეს, როცა სახელმწიფოში პოლიციის რეფორმა მიმდინარეობს", - განაცხადა ჰოპკინსმა. ტრენინგი აკადემიაში მიმდინარე რეფორმების ეტაპს ემთხვევა. აკადემიის ხელმძღვანელობის განცხადებით, მილიონ დოლარამდე რეფორმისთვის გამოყოფილი თანხა აკადემიის ბალანსზე დარიცხული შენობების რეკონსტრუქციასაც ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

### "ორმოცდაათიანელების" პასტორის სარჩელის თაობაზე გამწესრიგებელი სხდომა გაიმართა

საკონსტიტუციო სასამართლოში რელიგიური გაერთიანება "ორმოცდაათიანელების" პასტორის ნიკოლაი კალუცკის სარჩელის თაობაზე გამწესრიგებელი სხდომა გაიმართა. მოსარჩელე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამოქალაქო კოდექსების რამდენიმე მუხლის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვს. სადავო ნორმათა თანახმად, რელიგიური უმცირესობები მაინცდამაინც საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად უნდა დარეგისტრირდნენ. მოსარჩელე კი მოითხოვს, რომ რელიგიურ გაერთიანენებს რეგისტრაციის მომენტში შეზღუდვა მოეხსნათ და უმცირესობებს კერძო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების შესაძლებლობა მიეცეთ. პროცესზე გაერთიანების წარმომადგენლად არასამთავრობო გაერთიანება "თავისუფლების ინსტიტუტი" გამოდის. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა გიორგი მელაძემ განაცხადა, საქართველოში რელიგიური გაერთიანებებისთვის რეგისტრაციის უფლება შეზღუდულია, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ნორმებს სიტყვის, აზრის გამოხატვისა და რწმენის თავისუფლების თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია სარჩელის მიღება-არმიღების შესახებ გადაწყვეტილებას 7 ოქტომბერს გამოაცხადებს. **ინტერ-პრესი**


GEGI Georgia Enterprise Growth Initiative

USAID

UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT

**აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID/Caucasus) / საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი (GEGI)**

**განცხადება**

**გრანტების საკონკურსო პროგრამის II რაუნდის შესახებ**

საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი (GEGI) აცხადებს გრანტების საკონკურსო პროგრამის მეორე რაუნდს. პროგრამის დაფინანსება ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ "უცხოური დახმარების შესახებ აქტის" შესაბამისად და განიხილება როგორც საქართველოში კერძო სექტორის განვითარებისთვის გათვალისწინებული დახმარება. საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი მიზნად ისახავს თანამშრომლობას კერძო სექტორთან, ბიზნესასოციაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებთან საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა სფეროებში არსებული ბარიერების გამოსავლენად და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დახმარების გაწევას რეფორმების გატარებაში, რაც, თავის მხრივ, საქართველოში ხელს შეუწყობს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას და ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის (GEGI) გრანტების საკონკურსო პროგრამის მთავარ ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ბიზნესასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნესასოციაციები მიზნად უნდა ისახავდნენ კერძო სექტორის განვითარებას იმ პროექტების განხორციელების მეშვეობით, რომლებიც მთლიანად შეესაბამება პროექტის ძირითად ამოცანებს. ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები შედეგებზე და კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ზემოაღნიშნული გრანტების პროგრამის ფარგლებში მიიღება განაცხადები ექვსთვიან პროექტებზე, რომელთა ბიუჯეტი უნდა შეადგენდეს 8 000 - 30 000 აშშ დოლარს. განაცხადი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს განაცხადის წარმოდგენის ოფიციალურ წესებში განსაზღვრულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი განხილვა არ მოხდება. განაცხადების წარმოდგენის ოფიციალური წესები გამოქვეყნდება 2004 წლის 5 ოქტომბერს და ამ დოკუმენტის ნახვა შესაძლებელი იქნება საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის ვებ-გვერდზე: *www.gegi.ge*

საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი გეგმავს ტრენინგის ჩატარებას განაცხადის შემომტანთათვის ამა წლის 13 ოქტომბერს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, დაუკავშირდეთ ქ-ნ ირინე სალუქვაძეს, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის გრანტების მენეჯერს, ტელეფონებზე: 92-23-55 / 92- 23-74 ან ელ.ფოსტით, მისამართზე: *isalukvadze@gegi.ge*



**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი ....................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ....................

საკონტაქტო ტელეფონი ....................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

5 ოქტომბერი, სამშაბათი, 2004 წელი. №236 24 საათი

# როგორ დავძლიოთ საქართველოში "საგადასახადო სეპარატიზმი"?

*საქართველოს ეკონომიკური განვითარება განახლებული საგადასახადო კანონმდებლობის გარეშე წარმოუდგენელია. მთავრობამ მოამზადა და პარლამენტს გადასცა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც, ღირსებებისა თუ ნაკლოვანებების მიუხედავად, ერთ მნიშვნელოვან მომენტს არ ითვალისწინებს, რომელიც ქართული სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობიდან უნდა გამომდინარეობდეს, ანუ იქიდან - უნიტარული თუ ფედერაციული იქნება ქვეყანა. საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტი (ისევე, როგორ მოქმედი კოდექსი) აგებულია ე.წ. "საგადასახადო სეპარატიზმის" პრინციპზე და ის ხელს ვერ შეუწყობს ქვეყნის გამთლიანების დაწყებული პროცესის განმტკიცებას. ეს პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები პირველად ავტორის მიერ დაყენებულ იქნა 2000 წელს, მაგარამ ის, სამწუხაროდ, პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლების მიერ შეუმჩნეველი დარჩა. დღეს, როცა ქვეყნის გამთლიანების პროცესი რეალურადაა დაწყებული, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მასზე მკითხველის ყურადღების ხელმეორედ შეჩერებას.*

ლადო პაპავა
საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი

## "ცენტრი" და "რეგიონები"

სახელმწიფოს წინაშე მდგარ ამოცანათა შორის უცვლელთა კატეგორიას ყველა იმ რეზერვის მაქსიმალურად გამოვლენა და გამოყენება წარმოადგენს, რომელიც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ფისკალური სისტემის რეგიონული მოწყობის ისეთი მოდელის შერჩევას ენიჭება, რომელიც მაქსიმალურ საბიუჯეტო შემოსავლებს უზრუნველყოფს. საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაში არსებული სირთულეები კი შესაბამისი საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების შესწავლას განსაკუთრებით აქტუალურს ხდის.

საგადასახადო სისტემა საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ქვესისტემაა. თავის მხრივ, საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ტერიტორიული ასპექტი მნიშვნელოვნად არის განპირობებული სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობით. ეკონომისტები, როგორც წესი, ტერმინს - "საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი" იმისდა მიუხედავად იყენებენ, თუ სახელმწიფო როგორია - ფედერაციული თუ უნიტარული. აქვე იმასაც ალვნიშნავთ, რომ არც იურიდიულ მეცნიერებაში სრულად გადაწყვეტილი არ არის ფედერაციული სახელმწიფოს ცნების ჩამოყალიბების საკითხი.

"საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი" ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო მოწყობის ორივე მხარეს მოიცავს: იგი ქვეყნის ცენტრალურ ("ცენტრსა") და ტერიტორიულ ("რეგიონებს") სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის საგადასახადო შემოსავლებისა და სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი ხარჯების განაწილებას არეგულირებს. ფედერაციული სახელმწიფოს პირობებში "რეგიონებიდან" ფედერაციის სუბიექტები ცალკე გამოიყოფა, რომელთაც პირობითად "ფედერაციული რეგიონები" ვუწოდოთ.

"საგადასახადო ფედერალიზმი", ანუ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა "ცენტრსა" და "რეგიონებს" შორის - უნიტარულ და "ცენტრს", "ფედერაციულ რეგიონებსა" და "რეგიონებს" შორის - ფედერაციულ სახელმწიფოში ეკონომიკური მეცნიერების ურთულესი პრობლემაა და, შეიძლება ითქვას, რომ მისი ერთიანი (ამავე დროს - ყველასთვის ერთნაირად მისაღები), ამდენად - უნაკლო მოდელი არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას საგადასახადო უფლებამოსილებათა ოპტიმალური გამიჯვნის შესახებ მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტები არ გააჩნია, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დასავლეთის უნიტარულ სახელმწიფოებში საგადასახადო ფუნქციათა "ცენტრსა" და "რეგიონებს" შორის განაწილების შესაძლო მიდგომების ნაკლები ნაირსახეობაა, ვიდრე "ცენტრს", "ფედერაციულ რეგიონებსა" და "რეგიონებს" შორის - ფედერაციულ სახელმწიფოებში. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ "საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი" და, კერძოდ, "საგადასახადო ფედერალიზმი", რატომ არის უფრო საინტერესო ფედერაციულ, ვიდრე უნიტარულ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

"საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის" ამა თუ იმ მოდელის არჩევა იმაზეა დამოკიდებული, თავად ცენტრალური ხელისუფლება რა ფუნქციების შესრულებას აპირებს და ფედერაციის სუბიექტებზე რა ფუნქციების დელეგირება ხდება.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად ცენტრალური ხელისუფლების ამოსავალი იმ "მინიმალურ ფუნქციათა" განსაზღვრაა, რომლის გარეშეც ერთიანი სახელმწიფო ვერ იარსებებს.

ამ "მინიმალურ ფუნქციათა" რიცხვს ქვეყნის თავდაცვა, ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნა, საგარეო ურთიერთობების წარმართვა, საგარეო ვაჭრობის ერთიანი რეჟიმის დამყარება, ერთიანი ვალუტის ემისია და მის ბრუნვაზე კონტროლის განხორციელება, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა, რეგიონთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების უზრუნველმყოფი ღონისძიებების გატარება განეკუთვნება. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ნებისმიერი "სხვა ფუნქცია" სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება (და ზოგჯერ უმჯობესია კიდეც) ფედერაციის სუბიექტებმა განახორციელონ.

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლების მიერ, როგორც წესი, დეკლარირებულია მისი მზადყოფნა, რომ ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანოებს რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მისცეს, ანუ "მეტი ფუნქციების" დელეგირება მოახდინოს მათზე, და ზუსტად ასევე - ეს უკანასკნელნი ხშირად საჯაროდ აფიქსირებენ თავის ერთგულებას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და მისწრაფებას ერთიანი სახელმწიფოს გასაძლიერებლად. მიუხედავად ამისა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, საჯაროდ დეკლარირებული ხსენებული განცხადებები თითქმის არც ერთ ფედერაციულ სახელმწიფოში იდეალურად რეალიზებული არ არის: ყოველთვის რჩება პრობლემათა ის წრე, რომელიც "ცენტრსა" და "რეგიონებს" (განსაკუთრებით, "ფედერაციულ რეგიონებს") შორის სახელმწიფო უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ გამართულ დისკუსიებში მეტ-ნაკლები სიმწვავით განიხილება.

"ცენტრსა" და "რეგიონებს" შორის ხსენებულ დაპირისპირებაში, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, შემდეგი სახეობის პრინციპული მიდგომები გამოიყენება: "ცენტრი", როგორც წესი, პრაქტიკულად არ სჯერდება მხოლოდ "მინიმალურ ფუნქციათა" განხორციელებას (თუმცა იგი ამას ხმამაღლა, რა თქმა უნდა, არ აცხადებს) და ცდილობს, სახელმწიფო მართვის დამატებითი ბერკეტები შეინარჩუნოს. ამ მიზნით "ცენტრის" ხელში ისეთი მექანიზმია, როგორიც მთლიანად ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში არსებული პრობლემების დასარეგულირებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან განხორციელებული ტრანსფერტებია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ "ცენტრი" ხშირად "სატრანსფერტო" სისტემის გააფართოებას ცდილობს.

"რეგიონები" (განსაკუთრებით, "ფედერაციული რეგიონები") პრინციპულად განსხვავებული მექანიზმით მოქმედებენ. ისინი ითხოვენ საგადასახადო შემოსავლების რეგიონში დასატოვებელი ნაწილის გაზრდას გადასახადის ყველა სახეობის, ხოლო საგადასახადო შემოსავლების განაწილების პროპორციის მათ სასარგებლოდ გადიდების ხარჯზე. ეს, თავის მხრივ, სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ ფუნქციათა რეგიონულ დონეზე "გადაქაჩვას" იწვევს. ამ ლეგალური მეთოდების გარდა "რეგიონები" (როგორც წესი, "ფედერაციული რეგიონები") ცალკეულ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო მექანიზმებსაც იყენებენ. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ განმაზოგადებელ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ ფედერაციულ სახელმწიფოში, სადაც ფედერაციის სუბიექტები შესაბამისი კანონების დაცვით ცენტრალურ ბიუჯეტში თავიანთ წილს სრულად და დროულად რიცხავენ, ხშირად ფედერაციის ისეთი ერთი სუბიექტი მაინც გამოჩნდება, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილ საშემოსავლო თანხებს კანონის დარღვევით ადგილზე იტოვებს; ამ შემთხვევაში "ცენტრი" ამ ურჩ "ფედერაციულ რეგიონს" ტრანსფერტებს შესაბამისი ოდენობით უმცირებს, მაგრამ ამ დაპირისპირებაში მოგებული ხშირ შემთხვევაში მაინც "ფედერაციული რეგიონი" რჩება, რადგანაც ამგვარი ქმედებით მას "ცენტრის" მიერ გატარებულ პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის ძლიერი საფინანსო ბერკეტი აქვს; ამის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ, ერთიანი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, "ცენტრს" შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გადასახადები ფედერაციის სუბიექტებიდან თანხმობის მიღების გარეშე, უშუალოდ ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთაგან აკრიფოს.



ლადო პაპავა: "როგორც ვხედავთ საქართველო, სამწუხაროდ, "კენიის მოდელს" ირჩევს."

ბესო გულაშვილის ფოტო

თეორიაში ცნობილი და საერთაშორისო გამოცდილებით დადასტურებული ეს დებულებები არც თუ დიდი ხნის წინ საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის გართულებული საბიუჯეტო ურთიერთობითაც ვლინდებოდა და ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ 2004 წლის 6 მაისის აჭარაში მომხდარი რევოლუციის შედეგად გახდა შესაძლებელი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც მოქმედი საგადასახადო კოდექსი და არც მისი ახალი პროექტი საგადასახადო კუთხით არავითარ განსხვავებას არ ანიჭებს ავტონომიურ რესპუბლიკას, მაგალითად, ხულოს ან თერჯოლის რაიონთან შედარებით.

## გადასახადების "იერარქიული" ბუნება: მითი და რეალობა

ეკონომიკურ მეცნიერებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ გააჩნია მკაცრი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც მკაფიოდ იქნებოდა ჩამოყალიბებული, თუ რომელი სახეობის გადასახადი არის თავისი ბუნებით ფედერალური და რომელი - ადგილობრივი,. ერთადერთი, რაც ამ მიმართულებით შეიძლება ითქვას ის არის, რომ გადასახადის მხოლოდ ორ სახეობაზე მოიძებნება მეტ-ნაკლები სიმკაცრის თეორიული მტკიცება მათი "იერარქიული" ბუნების შესახებ; კერძოდ, ესენია - გადასახადი საკუთრებაზე (მიწასთან ერთად) და საბაჟო გადასახადი. პირველი მათგანი ითვლება ადგილობრივ (რადგანაც საკუთრების დაგროვება გარკვეულ ტერიტორიაზე ხდება), ხოლო მეორე კი - ფედერალურ გადასახადად (რადგანაც საბაჟო გააჩნია მთლიანად სახელმწიფოს და არა მის ცალკეულ რეგიონებს). ხშირია იმის ლოგიკური დასაბუთების მცდელობა, რომ ფედერალურ გადასახადად უნდა ჩაითვალოს დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი, თუმცა ამის თეორიული არგუმენტაცია იმდენად ხელოვნურია, რომ ის ნამდვილად არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში, რომელთაც სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა აქვთ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნის სხვადასხვა სქემა გამოიყენება და რაიმე კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მათ შორის საუკეთესო (ეფექტიანობის თვალსაზრისით) შეირჩეს, უბრალოდ - არ არსებობს; ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასევე არ არსებობს რაიმე ეკონომიკური არგუმენტაცია იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ შეიძლება ნებისმიერი გადასახადის "ერთდროული ამოღება" "ცენტრსა" და "რეგიონში".

## "საგადასახადო სეპარატიზმის" ფენომენი

საერთაშორისო გამოცდილებისა და ეკონომიკური მეცნიერების რეკომენდაციებზე დაყრდნობით განვიხილოთ საქართველოში შექმნილი კონკრეტული სიტუაცია. კერძოდ, ჩვენს პოლიტიკურ წრეებსა და სამთავრობო სტრუქტურებში სულ უფრო მეტად პოპულარულია მიდგომა, რომლის თანახმადაც, გადასახადები სახელმწიფო იერარქიის მიხედვით მკაცრად უნდა გაიმიჯნოს, როცა, დავუშვათ, დამატებული ღირებულების გადასახადი ფედერალურ გადასახადად ჩაითვლება და ასივე პროცენტით ცენტრალურ ბიუჯეტში იქნება ამოღებული, ხოლო, მაგალითად, საშემოსავლო ან მოგების გადასახადი ადგილობრივ გადასახადად ჩაითვლება და, შესაბამისად, ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ასი პროცენტით იქნება ამოღებული. სწორედ ამ პრინციპზე არის აგებული როგორც მოქმედი საგადასახადო კოდექსი, ისე მისი ახალი პროექტიც.

ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, არაერთ ფედერაციულ და უნიტარულ სახელმწიფოში საშემოსავლო გადასახადი ასივე პროცენტით ფედერაციულია (და არა ადგილობრივი), ხოლო ზოგიერთ მათგანში ის "ცენტრსა" და "რეგიონებს" შორისაა განაწილებული (იხ. ცხრილი 1).

ხსენებული მიდგომა, რომლის თანახმადაც გადასახადის თითოეული სახეობა "იერარქიულად" ერთმნიშვნელოვნად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან, ჩვენი აზრით, **"საგადასახადო ფედერალიზმის"** უმარტივესი მოდელის საფუძველს წარმოადგენს. ის, ერთი შეხედვით, ერთობ მიმზიდველია, რამეთუ საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნის სქემა საკმაოდ გამარტივებულია, რაც მეტ-ნაკლებად იმის საფუძველს ქმნის, რომ ფედერაციის სუბიექტის მიერ ცენტრალურ ბიუჯეტში გადასარიცხი საგადასახადო შემოსავლის ადგილზე უკანონოდ დატოვების, "დამალვის" ობიექტური შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოირიცხოს: თუკი ბოლო (კერძოდ, აჭარის 2004 წლის მაისის რევოლუციამდელი) პერიოდის გამოცდილება ცხადყოფდა, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის ერთ-ერთი სადავო საკითხი გადასახადის ყოველი სახეობის მიხედვით ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხული თანხების კანონით დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობა იყო, ზემოთ მოყვანილი მიდგომის პირობებში კამათის ობიექტი უნდა "ქრებოდეს", რადგანაც კანონით დადგენილი ამა თუ იმ გადასახადით მიღებული შემოსავლები ან ასივე პროცენტით უნდა გადაირიცხოს, ან საერთოდ არ გადაირიცხოს ცენტრალურ ბიუჯეტში. ის, რომ ამ შემთხვევაში კამათის ობიექტი "ქრება" და "ფედერაციული რეგიონის" ქმედება ძალზე გამჭვირვალე ხდება, ეს იმის გარანტიას სულაც არ იძლევა, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ფედერაციის სუბიექტს "ცენტრზე" ზემოხსენებული პოლიტიკური ზეგავლენის მიზნით კანონის დარღვევის შესაძლებლობა არ დარჩება.

ამავე დროს, აღნიშნული მიდგომა, როცა საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა პინციპით - "ან სულ, ან არაფერი" თავად გადასახადების სახეობათა მიხედვით ხდება, საბოლოო ჯამში, "**საგადასახადო სეპარატიზმამდე**" მიგვიყვანს, როცა ფედერაციის სუბიექტების "საგადასახადო ინტერესები" საერთო-სახელმწიფო "საგადასახადო ინტერესებისგან" სრულად იქნება იზოლირებული, რაც ფედერაციული სახელმწიფოს მთლიანობაზე უარყოფითად აისახება.

საკითხის სრულად დახასიათებისათვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ "საგადასახადო სეპარატიზმი", ხსენებული ნაკლის გარდა, პრაქტიკულად რთულად რეალიზებადიცაა მისი ბუნებიდან გამომდინარე. საქმე იმაშია, რომ სინამდვილეში ნებისმიერი ქვეყნის რეგიონები სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არათანაბრად არიან განვითარებულნი, რის შედეგადაც თითოეული სახეობის გადასახადის ამოღების მიხედვით სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული მდგომარეობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადასახადის რამდენიმე სახეობისადმი "რეგიონული" "ტიტულის" მინიჭებისას სავსებით შესაძლებელია რომელიმე რეგიონში იმდენად მცირე თანხა იქნეს ამოღებული და დატოვებული, რომ იგი შევსებას ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერტის სახით მოითხოვდეს, ხოლო რომელიმე სხვა რეგიონში კი გადასახადის იმავე სახეობის მიხედვით იმდენად დიდი თანხა იქნეს ამოღებული, რომ ამ რეგიონის მოთხოვნას მიმდინარე საბიუჯეტო ხარჯებზე გადააჭარბებს და ამ ნამეტი ოდენობით მისი გამოყენება ცენტრალური ბიუჯეტიდან ზემოხსენებული ტრანსფერტის განსახორციელებლად იყოს მიზანშეწონილი. ასე რომ, პრინციპი - "ან სულ, ან არაფერი" ქვეყნის სახელმწიფოებრივი ერთიანობის შენარჩუნება-განვითარებასთან პრაქტიკულადაც შეიძლება აშკარა წინააღმდეგობაში მოვიდეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ "საგადასახადო სეპარატიზმი" ნებისმიერი ფედერაციული სახელმწიფოსათვის და, კონკრეტულად, საქართველოსათვისაც მიზანშეუწონელია.

## რად გვინდა საქართველოში "კენიის მოდელი"?

საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობის საკითხი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ვერ წყდება, ძალიან დიდი მნიშვნელობა იმ ეკონომიკურ ბერკეტებს ენიჭება, რომლებიც "რეგიონებს" სტიმულს ე.წ. "**რეგიონული თანხმობისაკენ**" შეუქმნიან, როცა ისინი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს განმტკიცებაში, მის სიძლიერეში, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურად იქნებიან დაინტერესებულნი.

ამგვარი ბერკეტების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადასახადების ერთდროული მობილიზაცია როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტებში.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში რაიმე, თუნდაც მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტაცია იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არ შეიძლება ამოღებულ იქნეს გადასახადის ესა თუ ის სახეობა სახელმწიფოებრივი იერარქიის ამა თუ იმ დონეზე, უბრალოდ არ არსებობს.

ზემოთ აღინიშნა, რომ ყველაზე უფრო "შთამბეჭდავი" დასაბუთება საკუთრებაზე გადასახადს (როგორც - ადგილობრივს და საბაჟო გადასახადს, როგორც - ფედერალურს) გააჩნია. მაგრამ საკმარისია გავითვალისწინოთ, რომ ფიზიკური ან იურიდიული პირი უძრავ ქონებას შეიძლება ქვეყნის (და არა მარტო მის შიგნით) სხვადასხვა რეგიონში ფლობდეს, უკვე ძნელია ამ გადასახადის ადგილობრივ თუ ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზაციის საკითხი ერთმნიშვნელოვნად გადაწყდეს: საკუთრების ადგილმდებარეობის მიხედვით გადასახადი ლოგიკურია, ადგილობრივ ბიუჯეტში იქნეს გადახდილი, მაგრამ რადგანაც ეს საკუთრება ან ფიზიკური პირისაა, რომელიც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადაადგილდება, ან იურიდიული პირისა, რომელიც შეიძლება ერთდროულად რამოდენიმე რეგიონში ფუნქციონირებდეს, არანაკლებ არგუმენტირებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეს გადასახადი ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა იყოს მობილიზებული. როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, საკუთრებაზე გადასახადი ასივე პროცენტით ფედერალური მხოლოდ ზოგიერთ უნიტარულ სახელმწიფოშია, სხვაგან (კენიის გარდა, სადაც ასივე პროცენტით ადგილობრივია) ის განაწილებულია ხელისუფლების იერარქიულ დონეებს შორის (იხ. ცხრილი 2). როგორც ვხედავთ საქართველო, სამწუხაროდ, **"კენიის მოდელს"** ირჩევს (თუმცა, შეიძლება ეს ბოლომდე არც კი გვაქვს გაცნობიერებული).

ანალოგიური მსჯელობა საბაჟო გადასახადის მიმართაცაა შესაძლებელი. კერძოდ, რადგანაც საბაჟო მთლიანად ქვეყნისაა და არა მისი რომელიმე რეგიონის, ამიტომ საბაჟო გადასახადის მობილიზება მხოლოდ ცენტრალურ ბიუჯეტში თეორიულად საკმაოდ არგუმენტირებულად ჩანს, მაგრამ საბაჟო-გამშვები პუნქტები ცალკეულ რეგიონებში (უშუალოდ ქვეყნის ტერიტორიულ საზღვართან, საზღვაო პორტებსა თუ აეროპორტებში) არიან განლაგებულნი, რაც ამ რეგიონებს დამატებით "დატვირთვას" უქმნის, ამიტომ არანაკლები წარმატებით იმის მტკიცებაცაა შესაძლებელი, თუ საბაჟო გადასახადიდან მიღებული შემოსავლის თუნდაც მცირედი ნაწილი შესაბამისი რეგიონის ადგილობრივ ბიუჯეტში რატომ უნდა დარჩეს.

მაშასადამე, ფედერაციულ სახელმწიფოში "რეგიონული თანხმობის" მიღწევის ქმედით ეკონომიკურ მექანიზმს ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ყველა სახეობის გადასახადის ერთდროული მობილიზება წარმოადგენს; მათ შორის განაწილების პროპორციის დასადგენად, უწინარეს ყოვლისა, ფედერაციის სუბიექტის სტატუსისა და ამავე დროს თითოეულ რეგიონში გადასახადის ამა თუ იმ სახეობის ამოღების ობიექტურად შესაძლებელი ოდენობის "ცენტრსა" და "რეგიონებს" შორის საბიუჯეტო ხარჯების განაწილებასთან თანაფარდობის გათვალისწინებაა საჭირო.

ქვეყნის თითოეულ რეგიონს საგადასახადო შემოსავლების დამატებითი რეზერვების მობილიზების მიზნით, შესაბამის ბიუჯეტში ანარიცხების ბიუჯეტით განსაზღვრულ ნორმატივებთან ერთად, გაზრდილი ნორმატივებიც უნდა დაუმტკიცდეთ, რომლებიც საბუჯეტო შემოსავლების გეგმის გადაჭარბების შემთხვევაში იქნება გამოყენებული.

განხილული მიდგომა (როცა პრაქტიკულად ყველა სახეობის გადასახადის მიხედვით ამოღებული საგადასახადო შემოსავლების "ცენტრსა" და "რეგიონებს" შორის განაწილება დასაშვებია ქვეყანაში) "**საგადასახადო თანხმობის**" ამსახველია. მას შეუძლია, საქართველოს ფედერაციული მოწყობის პროცესში ერთიანი სახელმწიფოებრივი საწყისის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. აქვე აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის პრობლემათა მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში "საგადასახადო თანხმობის" პრინციპების გამოყენების მნიშვნელობაცაა მხედველობაში მისაღები.

აღსანიშნავია, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფო "საგადასახადო თანხმობის" სრულფასოვანი მოდელის რეალიზებისათვის მზად არ არის. ამას, უწინარეს ყოვლისა, ხელს უშლის ის, რომ ჯერჯერობით საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის პროცესის დასრულება ობიექტურად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ "საგადასახადო თანხმობის " ელემენტები საქართველოს ყველა რეგიონის მიხედვით ნაბიჯ-ნაბიჯ იქნეს რეალიზებული, რაც, თავის მხრივ, ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის მომავალს მეტ სინათლეს მოჰფენს. სწორედ ამ კუთხით უნდა დაიხვეწოს საგადასახადო კოდექსის პროექტი.

ყნოსვის საიდუმლო

B3

ჟირესმა უკრაინას ხმალი მოუღერა

B4

ინტერპოლი, როგორც ფერწერის შემფასებელი

B7

# მტაცებელთა მტაცებლები





თამარ დვალი

ფრინველების თბილი ქვეყნებისკენ გადაფრენა აგვისტოს თვეში იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში ასობით ადამიანი ტყეში მტაცებელი ფრინველების დასაჭერად გადის. ბაზიერები და, უმეტეს შემთხვევაში, ფრინველებით მოვაჭრეები დიდი ბადის უკან რამდენიმე პროჟექტორს ამაგრებენ და მტაცებელ ფრინველს ლაჟოს მეშვეობით იტყუებენ. ლაჟო თავადაც ფრინველია. თვალებზე მას შავ ტყავს აკრავენ და თოკით ჯოხზე ამაგრებენ. როგორც კი მტაცებელი ფრინველი გამოჩნდება, ამ ცოცხალ სატყუარას ზევითააფრენენ და ქორი იქნება ის, მიმინო თუ სხვა ფრინველი, ბადეში აბამენ.

სანადირო ფრინველებად მიმინო, ქორი, შევარდენი, გავაზი და არწივი მიიჩნევა. თუმცა, საქართველოში, ძირითადად, ქორით და მიმინოთი ნადირობენ. კარგად გაწვრთნილი მიმინო ბაზიერებს მხოლოდ ხუთი წლის განმავლობაში ემსახურება, შემდეგ ბერდება და ნადირობისთვის აღარ გამოდგება. ბაზიერების თქმით, მამალი მიმინო დედალისაგან განსხვავებით, პატარაა და მწყერებზე ვერ ნადირობს. ამიტომ, მას დედალი მიმინოების გამოსაკვებად იყენებენ. ბაზიერები, ასევე, ასხვავებენ თეთრგულიან და შავგულიან მიმინოსაც. გადმოცემის თანახმად, თეთრგულიანი მიმინო საუკეთესო მონადირედ ითვლება. რაც შეეხება ყველაზე იშვიათ ფრინველ მარჯანს: იგი იმდენად სწრაფია, რომ მერცხლის დაჭერასაც კი ახერხებს.



საქართველოში ბაზიერების საუკუნოვანი ტრადიცია არსებობს, თუმცა დღეს მათ გვერდით ფრინველით მოვაჭრეებიც გამოჩნდნენ. ტყეში საგანგებოდ მოწყობილ ქოხებში ჩასაფრებული ადამიანები ფრინველის სახეობას ვერ ასხვავებენ და, ხშირად, საერთაშორისო წითელ წიგნში შეტანილ ფრინველებს კლავენ. მაგალითად, ველის ძერქორს, დიდ მყივანა არწივს, სხვებს. დაახლოებითი გამოთვლით, მიგრაციის პერიოდში საქართველოში 100 ათასამდე ფრინველს კლავენ. თუ ასე გაგრძელდა, მტაცებელი ფრინველების იშვიათ სახეობებს გადაშენების საფრთხე ემუქრება.

გზებზე გასაყიდად გამოყვანილი მიმინოები დილით 15-20 ლარად ფასობს, საღამოს კი ფასს საგრძნობლად აკლებენ. როცა ფრინველი ვერ იყიდება, დღის ბოლოს დანარჩენების გამოსაკვებად იყენებენ. მტაცებელი ფრინველის შენახვა დღეში რვა-ცხრა ლარი ჯდება, ამის შესაძლებლობა კი ბევრს არა აქვს. ფრინველთა შეძენის მსურველები, ძირითადად, უცხოელები არიან. იშვიათი სახეობის ფრინველები მათ უპრობლემოდ გადაჰყავთ საქართველოს საზღვარზე. არსებობს CITE-ს საერთაშორისო კონვენცია "გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ", რომელიც კრძალავს ფრინველებისა და ცხოველების უნებართვოდ გადაყვანას ნებისმიერი ქვეყნის საზღვარზე. საქართველო ამ დოკუმენტს 1996 წელს შეუერთდა, თუმცა მის მოთხოვნებს დღემდე ვერ ასრულებს.

"საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრში" აცხადებენ, რომ შექმნილი სიტუაცია საგანგაშოა და პრობლემის მოსაგვარებლად ინტენსიური მუშაობის დაწყებაა საჭირო. **"ყველა ქვეყანაში მტაცებელი ფრინველისა თუ ცხოველის დაჭერა მხოლოდ ლიცენზიის მოპოვების შემთხვევაშია შესაძლებელი,** - ამბობს ცენტრის წარმომადგენელი ზურაბ ჯავახიშვილი, - **ასევეა საქართველოშიც, თუმცა, ამის შესახებ ბევრმა არ იცის. პირველი, რისი გაკეთებაც ახლავე უნდა დავიწყოთ, გზებზე ფრინველებით ვაჭრობის აკრძალვაა. რაც შეეხება ლიცენზიების საკითხს, იგი ექსპერტთა საბჭოს შეთანხმებით უნდა გაიცეს. საქართველოში არსებობს ბაზიერთა ასოციაცია, სადაც ხუთი ათასამდე ადამიანია გაწევრიანებული. მათ და ამ საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს უფლება აქვთ, ლიცენზია კანონიერად მოიპოვონ. ჩვენმა სამსახურმა ცოტა ხნის წინათ გამოუშვა ბროშურა, სადაც აღნიშნულია, თუ რომელი სახეობის ფრინველი წარმოადგენს იშვიათობას. ბროშურები თითქმის ყველა მიზნობრივ სოფელში დავარიგეთ. მისი წაკითხვის შემთხვევაში, მონადირეს ეცოდინება, თუ რომელი სახეობის ფრინველი არ უნდა მოკლას. თუმცა, არა მგონია, პრობლემის მოგვარება მხოლოდ ამით შევძლოთ."**



"საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრში" მიიჩნევენ, რომ კარგი იქნება, თუკი ფრინველებით ვაჭრობას ტურიზმის შესაბამისი სახეობით ჩავანაცვლებთ. საქმე იმაშია, რომ ფრინველების მიგრაციის სანახავად ჩვენს ქვეყანაში დღესაც ბევრი ტურისტი ჩამოდის. თუკი სათანადო რეკლამა იქნება, მათი რაოდენობაც მოიმატებს. ამით სოფელში მცხოვრებ გლეხებს დამატებითი შემოსავლის წყაროც გაუჩნდებათ და ნაკლებად მომგებიან ბიზნესსაც თავს დაანებებენ. ამერიკაში, პენსილვარიის შტატში იყო სპეციალური ადგილი, სადაც გადაფრენის დროს, ათასობით ფრინველს თოფით ხოცავდნენ. 1934 წელს ერთმა ადამიანმა ეს ტერიტორია შეისყიდა და ნაკრძალად გადააკეთა და, როგორც იტყვიან, ორი კურდღელიც დაიჭირა - დაიცვა ფაუნის იშვიათი წარმომადგენლები და მშვენიერი ბიზნესიც ააწყო - ფრთოსანი მიგრანტების სანახავად, მის ნაკრძალში ყოველ წელს 60 ათასამდე ტურისტი ჩადის.





გოგიტა ბუხაიძის ფოტოები



## აფიშა

### კონცერტები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა 2004"
დას: 19:00 სთ

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
არტურ შნიცლერის "წრის" მიხედვით
"პიესა ათ ინტიმურ აქტად"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ

### გამოფენები

**თბილისის გოეთეს ინსტიტუტი**
L`ART POUR L`ART
პიერ მენდელისა და მენდელი&ობერერის ბიუროს პლაკატების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
საშემოდგომო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება)

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
თბილისის მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნა
"25-ე საათი"
რეჟისორი: სპაიკ ლი (აშშ)

**თბილისის გოეთეს ინსტიტუტი**
მუნჯი ფილმები ცოცხალი მუსიკის თანხლებით
კარლ ვალენტინის ფილმების რეტროსპექტივა
კინოფესტივალის - "პრომეთეოსი" ფარგლებში
"მხიარული მაწანწალები", "ახალი საწერი მაგიდა", "ოქტომბრის ზეიმზე",
"სადალაქოს მისტერიები".
დასწრება თავისუფალია
დას: 17:00 საათი

**ამირანი**
"შრეკი 2"
ფასი: 6-8 ლარი
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

"ბორნის იდენტიფიკაცია"
ფასი: 9 ლარი
დას: 20:00; 22:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge




თბილისის მე-5 საერთაშორისო
კინოფესტივალი
5 - 10 ოქტომბერი 2004


## ნობელის სეზონი

ნობელის პრიზი უკვე 103 წლისაა. მიმდინარე კვირა კი შეიძლება ამ მეტად პრესტიჟული ჯილდოს კვირეულადაც შევრაცხოთ. ალფრედ ნობელის ფონდი ხომ ამ დღეებში გამოაცხადებს იმ ექვსი იღბლიანის გვარს, რომლებიც წლევანდელ პრიზს იმსახურებენ. თითოეული ჯილდო 1.4 მილიონ დოლარს უდრის. პრიზები საზეიმო ვითარებაში 10 დეკემბერს, ნობელის გარდაცვალების დღეს სტოკჰოლმში გაიცემა. დიდი ფილანტროპი და დინამიტის გამომგონებელი მეცნიერი 1896 წელს გარდაიცვალა.



| | |
|---|---|
| ნობელის პრიზი მედიცინაში - | სტოკჰოლმი, შვედეთი, 4 ოქტომბერი |
| ფიზიკა | სტოკჰოლმი: 5 ოქტომბერი |
| ლიტერატურა სტოკჰოლმი: | 7 ოქტომბერი |
| მშვიდობა | ოსლო, ნორვეგია: 8 ოქტომბერი |
| შვედეთის ბანკის პრიზი ეკონომიკურ მეცნიერებებში | სტოკჰოლმი: 11 ოქტომბერი |

ტრადიციის მიხედვით, ლიტერატურული პრიზის მფლობელის ვინაობის თარიღს ნობელის ინსტიტუტი მოგვიანებით აცხადებს ხოლმე. თუმცა, სავარაუდოდ, ეს დღე ხუთშაბათი უნდა იყოს.

© GRAPHIC NEWS

მასალა იხილეთ ბ3 გვერდზე

*რეცენზია*

# იყო მხატვარი და იყო პედაგოგი

თეა პაიჭაძე

შემოდგომა, თუმცა თავიდან საკმაოდ შეგვაშინა და ბოლო ორი დღის მანძილზეც ერთბაშად გვაგრძნობინა მოახლოებული ზამთრის სუნთქვა, მთლიანობაში კარგი გამოგვადგა: მშრალი, თბილი, მოკლედ, ერთობ საამო. ამ ნამდვილ, ძველებურ, თბილისურ შემოდგომაზე ყველაფერი გახარებს და გახალისებს ადამიანს, - მეგობრების ხილვა, სწავლის დაწყებაც კი, რომელიც ისე გადადეს წელს, ყველაზე ზარმაცსაც კი მონატრეს და მოაწყურეს (იქნებ ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო!?), აღარაფერს ვამბობ სიარულზე თეატრებში, საგამოფენო, საკონცერტო დარბაზებში, სადაც ორმაგ სიამოვნებას იღებ: ესთეტიკურსა და ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობის.

თბილისურ ვერნისაჟებზე იმან, რაც გამოფენისთვის პირველადია - ესთეტიკურმა მხარემ ხშირად შეიძლება მოიკოჭლოს კიდეც. აი, მეორე, "შეხვედრების" "ნაწილი" კი, ქართულ სინამდვილეში უპირველესად რომ ქცეულა, აქ ყველაზე უკეთ "ხორციელდება".

ამ ვითარებაში განსაკუთრებით გასახარია მოხვდე გამოფენაზე, სადაც მონატრებულ ძველ მეგობრებთან ერთად მათ ისეთ ახალ ნამუშევრებსაც იხილავ, გულს ხელოვნებასთან ზიარების სასიამოვნო გრძნობით რომ აგივსებს და სიხარულითაც, ახალგაზრდა თაობები სწორედ ასეთ ხელოვანთა დახმარებით რომ იკვალავენ გზას ფერების, ხაზების, ფორმების ჯადოსნურ სამყაროში.

სწორედ ამგვარი გამოფენა გაიხსნა ორიოდ დღის წინ გალერეა "უნივერსში", რომელზეც თავიანთი ნამუშევრები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების კათედრის პედაგოგებმა გამოფინეს.

სასწავლო წლის დასწყისში უნებურად, სწორედ მომავალ თაობაზე და მის აღზრდაზე გეფიქრება ადამიანს, მით უმეტეს, რომ განათლების რეფორმის საჯარო და აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობის გამო ხმაურიანი განხილვის წყალობით ეს სფერო დღეს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია მოქცეული (თუმცა, თემასთან, შესაძლოა, უშუალო კავშირში არც იყოს, მაგრამ რაკი ეს რეფორმა ვახსენე, აქვე მისდამი ჩემი დამოკიდებულების დაფიქსირებასაც ვისურვებდი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად დადებითია).

ეს საინტერესო გამოფენა ამ მხრივაც - მომავალ თაობებზე ზრუნვისა და მათ წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერების კუთხითაც ნიშანდობლივი მეჩვენა: თბილისელების, ქართული ხელოვნების მოყვარულების და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაში - საკუთარი სტუდენტების წინაშე "უნივერსში" ამჯერად პედაგოგები წარდგნენ.

პირადი მაგალითი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საუკეთესოდ მოქმედებს. ერთია, კომპოზიციური განაწილების პრინციპი ახსნა, სხვადასხვაგვარი ხაზის, ფერადოვანი გამის მნიშვნელოვნებაზე, ბლიკებსა თუ დაცემულ ჩრდილებზე ისაუბრო, ან, თუნდაც, შეჩერდე სტუდენტის მოლბერტთან და დაჯერებული ხელით ერთიორი მონასმი გააკეთო მის ტილოზე და მეორე - წარუდგინო მას საბოლოო მიზანმიღწეული - მაყურებლის სამსჯავროზე გამოტანილი დასრულებული სურათი: ნამუშევარი, რომელშიც ყველა პრინციპი, რაზეც მასთან გისაუბრია და მოგითხოვია შეესრულებინა, შენს მიერაა განხორციელებული, ერთ მთლიანობაში თავმოყრილი; საჭვრეტად შესთავაზო მას (ხელოვანი, თუნდაც მხოლოდ "დამწყები", ჯერ სტუდენტი, ხომ თვალით აღიქვამს სამყაროს, ანუ მისი ინტელექტი ვიზუალურია და, შესაბამისად, სწავლის გზაც) ნამუშევრებად ქცეული ლექციათა ციკლი.

გალერეა "უნივერსში" წარმოდგენილი პედაგოგები ქართველ ხელოვანთა სხვადასხვა პლეადას ეკუთვნიან. აქ იხილავთ უფროსი თაობის, ღვაწლმოსილი პედაგოგების ნამუშევრებს, როგორებიც არიან კათედრის გამგე რობერტ ჩოჩელი, ირაკლი ოჩიაური, ოთარ სეხნიაშვილი, ალიოშა ნაზარიშვილი, მათ გვერდით კი ახალგაზრდა, მაგრამ ინდივიდუალურობით გამორჩეული ნიჭიერი მხატვრების მაკა გოცირიძის, გიორგი ჩაჩანიძის, დათო ტაბატაძის, ზურა პაპელიშვილის და სხვათა შემოქმედებასაც.

ჩემთვის, მაგალითად, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, როცა დარბაზში შესულმა პირველივე, რაც დავინახე, ბავშვობიდან კარგად ნაცნობი და საყვარელი გრაფიკული ხატები აღმოჩნდა მოგრძო, თხელსახიანი, ნუშისთვალება, სწორ ცხვირიანი, ტუჩხორციანი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალებისა. გული სითბოთი და ნოსტალგიის სევდანარევი, საამო გრძნობით ამევსო, ჭედურობაში გაცოცხლებული სახეები რომ გამახსენდა დიდი ოსტატის, ირაკლი ოჩიაურის ხელით შექმნილი. ახლა მისი განუმეორებელი მანერით, სტილით ბეჭედდასმული სახეები იმავე სათქმელს მკაფიოდ დატანილი ხაზებით ამბობდნენ.

მათ გვერდზე სრულიად განსხვავებულ, მაგრამ ძალინ საამურ განწყობილებას ქმნიდა მაკა გოცირიძის აკვარელები. სრულიად სხვა მასალითა და ტექნიკით შესრულებული ეს ნამუშევრები მჩქეფარე, მშვიდსახიანი, მაგრამ შინაგანი, დაუოკებელი ენერგიით მძაფრად დამუხტული გამოსახულებების საპირისპიროდ ჰაეროვნების, სიმსუბუქის, სინაზის, გამჭვირვალობის და ამვდროულად სიამაყისა და ღირსების გრძნობას ბადებდა.

თაობათა სიმრავლის გარდა, გამოფენას სტილისტური, მასალის და თვით სახვითი ხელოვნების დარგების მარავალფეროვნებაც გამოარჩევს. აქ წარმოდგენილია ზეთში, აკვარელში შესრულებული ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, გამოყენებითდეკორატიული ხელოვნების ნიმუშები: მინა (მაია სეხნიაშვილი), მედალიონები (მურმან მიქაბერიძე), ქსოვილი: ბატიკა, თექა, აბრეშუმი (მაია მაღლაკელიძე), ხეში, ლითონში შესრულებული მცირე ფორმები (დათო ტაბატაძე).

არქიტექტურის ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების კათედრის პედაგოგებს - ვერნისაჟის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, სურთ ახალ ტრადიციას ჩაუყარონ საფუძველი და, სავარაუდოდ, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, თბილისური შემოდგომის თბილ დღეებში საკუთარი სტუდენტებისა და ფართო აუდიტორიის წინაშე მონაცვლეობით სხვადასხვა კათედრები წარდგნენ.



*გალერეა "უნივერსში" თავიანთი ნამუშევრები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების კათედრის პედაგოგებმა გამოფინეს.*

# შავ-თეთრი კინოს აბსურდი

## "პრომეთეს" ფესტივალის გერმანული წილი

ვერა ნეფარიძე

*თბილისის მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალში "პრომეთე", რომელიც კინოთეატრ "რუსთაველში" დღეს გაიხსნება, თბილისის გოეთეს ინსტიტუტიც მონაწილეობს. დღესვე გოეთეს ინსტიტუტში კინოს გერმანელი პიონერის კარლ ვალენტინის ფილმების რეტროსპექტივა ცოცხალი მუსიკის თანხლებით გაიხსნება.*

რეტროსპექტივა ფესტივალის უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია. თანამედროვე კინოს მოყვარულები, ალბათ, აქტიურად ივლიან შავ-თეთრი, "აბსურდული კინოს" სანახავად, ახალგაზრდა, "კინოშნიკები" კი - ოთხი დღის განმავლობაში კინოს ისტორიის გაკვეთილებს გაივლიან. რესტროსპექტივა ხვალიდან კინოს სახლში გადაინაცვლებს.

"მწერალი თეატრის, კინოს, გაზეთისა და რადიოსათვის", - ამგვარად განსაზღვრავდა თურმე თავად კარლ ვალენტინი საკუთარ თავს. მისი დებიუტი კინოში ეკრანზე ჩაპლინის გამოჩენამდე შედგა. 1912 წელს ბავარიაში პირველმა გახსნა კინოატელიე ხელოვნური განათებით. დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი "ჩემი კინოჩავარდნა კინოში". მაგრამ, ეს ყველაფერი როდია კარლ ვალენტინის შესახებ. მის მშობლიურ ქალაქ მიუნხენში გახსნილია "ვალენტინის მუზეუმი", სადაც ინახება "გერმანელი ჩაპლინის" შექმნილი სიმღერები, დოკუმენტები, ფოტოები და მოზრდილი საგნები სახელგანთქმული კლოუნის სარდაფიდან.

მიუნხენელი სახალხო კომიკოსი და კინოს პიონერი კარლ ვალენტინი (მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი) 1882 წელს მიუნხენში დაიბადა. ხშირად ამბობენ, რომ მისი სურათები გერმანული და მსოფლიო კომედიური კინოს ეპოქაა. ევროპული აბსურდის თეატრის მეტრი, ბერტოლდ ბრეხტი ვალენტინის კომედიებით აღფრთოვანებული იყო. სხვათა შორის, ბრეხტს ეკუთვნის სცენარი ვალენტინის 1923 წელს შექმნილი ფილმისთვის - "სადალაქოს მისტერიები". "ვალენტინი გაიძულებს არა მარტო იცინო, არამედ უთანაგრძნო კიდეც მის მარტოსულ გმირებს", - ამბობენ კინოს კრიტიკოსები.

ვალენტინის სურათები 10-20-30იანი წლების უნიკალური დოკუმენტური მასალაა. ვალენტინს უყვარდა მის მიერვე დადგმულ პატარ-პატარა სცენებსა თუ კომედიებში ეჩვენებინა ადამიანთა უსუსურობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამიტომაც, მოჭარბებული გროტესკულობის გამო, რაც ასე დამახასიათებელია გერმანული კინოს პიონერისთვის, თანამედროვეები ვალენტინს რეალიზმის დამძიმებაში "ამხელდნენ". სხვათა შორის, ვალენტინის ფილმების მნიშვნელობასა და როლზე მსოფლიო კინოს ისტორიაში, თბილისის კინოფესტივალზე კინოს კრიტიკოსები ისაუბრებენ. რაც შეეხება რეტროსპექტივას, ოთხი დღის განმავლობაში ნაჩვენები იქნება თორმეტი (მათ შორის: "სადალაქოს მისტერიები", "მხიარული მაწანწალები", "კარლ ვალენტინი - ექსცენტრიკოსი", "კონფორმირებული" და ა.შ.) ნამუშევარი.

6 ოქტომბერს კინოს სახლში ვალენტინის ფილმებს წარადგენს კლაუს ედერი FIPRESCI-ის (კინოს კრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაცია) გენერალური მდივანი. ამას გარდა, დაგეგმილია ედერის შეხვედრა ქართველ კინემატოგრაფისტებთან. შეხვედრის მიზანია საქართველოს "ფიპრესში" გაწევრიანება.

წლევანდელი წელი თბილისის გოეთეს ინსტიტუტისათვის საიუბილეოა. დაარსებიდან 10 წლის აღსანიშნავად 7 ოქტომბერს ინსტიტუტში 11-დან 16 საათამდე დაგეგმილია ღია კარის დღე. ამ დღეს დაგეგმილია საინფორმაციო ცენტრის, ენისა და პროგრამების განყოფილებების, სახელმძღვანელოების, ლექსიკონების პრეზენტაცია, გერმანული ენის მოკლე კურსი, ვიქტორინა გერმანიის შესახებ, რომლის გამარჯვებულიც მიიღებს სტიპენდიას (გერმანული ენის ერთი კურსი) თბილისის გოეთეს ინსტიტუტში და ა. შ. საღამოს კი ინსტიტუტში საპატიო სტუმრებს მიიღებენ. დაბოლოს, ინსტიტუტის წლევანდელი კულტურული აქტივობები ამით არ ამოიწურება. თუმცა, ამ ყველაფრის შესახებ მოგვიანებით, გზადაგზა მოგახსენებთ.



*დღეს თბილისში კარლ ვალენტინის ფილმების რეტროსპექტივა იწყება.*

ნობელის პრემია

# ყნოსვის საიდუმლო



დაძაბეთ ყნოსვა და გაიხსენეთ იმ ვარდების სურნელი, 2003 წლის ნოემბერში რომ გცემდათ. შეიძლება იმ დღიდან გამოყოლილი ვნებათაღელვა უკვე დიდი ხანია, ჩაცხრა, ისიც შეიძლება, რომ ემოციებიც გაუფასურდა, მაგრამ ვერ უარყოფთ, რომ შემოდგომის რევოლუციური ვარდების ფრიად არარევოლუციური და სრულიად ვარდული სურნელი ახლაც მძაფრად გახსენდებათ. ახლა კი, ისევ დაივიწყეთ ნოემბერში იმ ვარდების გამოჩენის მიზეზი, ოდნავ მარჯვნივ, მეცნიერების სფეროში გადაუხვიეთ და დასვით კითხვა - როგორ? როგორ, რა მანქანებით გახსენდებათ ნოემბერში შესუნთქული ვარდის სურნელი თითქმის ერთი წლის თავზე, ოქტომბერში? ანუ, როგორ იმახსოვრებს ადამიანი ათასობით სხვადასხვა არომატს ხანგრძლივი დროის განმავლობაში?

სწორედ ამ კითხვაზე პასუხის პოვნის გამო გუშინ დილას ნობელის ინსტიტუტმა ორი ამერიკელი მეცნიერი დააჯილდოვა. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ აქსელი და ჰაჩინსონის კიბოს კვლევითი ცენტრის (სიეტლი) პროფესორი ლინდა ბაკი თავიანთ კუთვნილ ფულად პრიზს 10 დეკემბერს, სტოკჰოლმში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე მიიღებენ. მანამდე კი მათ ერთობლივ კვლევას არომატების სამყაროში მთელი მსოფლიო გაეცნობა.

ბაკმა და აქსელმა ყნოსვის გენი პირველად 1991 წელს აღმოაჩინეს და მას შემდეგ ყნოსვის სისტემის საიდუმლოებები უკვე დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ გახსნეს.

მათ აღმოაჩინეს გენების დიდი ოჯახი, რომელშიც ათასამდე სხვადასხვა გენია გაერთიანებული. ისინი აკონტროლებენ პროტეინების სპეციალური რეცეპტორების წარმოშობის პროცესს. ეს რეცეპტორები განლაგდებიან ცხვირის ზედა ნაწილის უჯრედებში და იმახსოვრებენ სხვადასხვა არომატებს. თუმცა, თითოეულ უჯრედს მხოლოდ რამდენიმე გვარი სურნელის "აღმოჩენა"-დამახსოვრება შეუძლია. სწორედ ამ უჯრედებიდან წვრილი, პაწაწკინტელა ნერვული ქსოვილების გავლით არომატები ტვინის იმ ნაწილს გადაეცემა, რომელიც ყნოსვის შეგრძნებას აკონტროლებს, იგივე ყნოსვით კვანძს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თითოეული უჯრედი სხვადასხვა ნაწილს უერთდება. აქედან კი მიღებული ინფორმაცია უკვე ტვინის სხვა ნაწილებზე ვრცელდება, ხდება სხვადასხვა ყნოსვითი რეცეპტორებიდან მიღებული ინფორმაციის კომბინირება და იქმნება ყოველი ინდივიდუალური სურნელის ქსოვილი.

"სანამ ალექსისა და ბაკის კვლევები გამოქვეყნდებოდა, ყნოსვის შეგრძნება საიდუმლოებით მოცული სფერო იყო", - აღნიშნავს პროფესორი სტენ გრილნერი - ჟიურის ერთ-ერთი წევრი. ხოლო ნობელის ინსტიტუტის ოფიციალურ პრეს-რელიზში კი ნათქვამია: "ყნოსვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანის შეგრძნებებიდან ყველაზე გამოუცნობი იყო. გაუგებარი და აუხსნელი რჩებოდა ძირითადი პრინციპი, რითაც ადამიანი 10 ათასამდე სხვადასხვა სურნელის დამახსოვრებას ახერხებდა".

ამერიკელი მეცნიერების დაჯილდოება შვედეთის კაროლინსკას უნივერსიტეტის ეგიდით შედგენილმა ექსპერტთა საბჭომ გადაწყვიტა. უნივერსიტეტმა, როგორც წესი, მსჯელობის პროცესში ჩართო წინა წლების ლაურეატები, მედიცინის დარგის პროფესორები და სხვა წონიანი მოღვაწეები. საბოლოო გადაწყვეტილება კი არჩევანის გაკეთებიდან რამდენიმე წუთში - ძალიან ოპერატიულად უკვე ნობელის ინტერნეტ-გვერდზე გამოფინეს.

ალექსი და ბაკი ნახევარზე გაიყოფენ ფულად პრიზს, რომელიც მედიცინისა და ფსიქოლოგიის დარგში 1.3 მილიონ დოლარს უდრის. მათი დამსახურება უფრო ლაკონიურად ასე ჟღერს - ამერიკელმა მეცნიერებმა შეძლეს შეძლეს ყნოსვითი სისტემის ახსნა მოლეკულური დონიდან უჯრედების ფორმირებამდე.

შარშან იმავე დარგში პრიზი ბრიტანელ სერ პიტერ მენსფილდსა და ამერიკელ პოლ ლაუტერბერს გადაეცათ. ისინი დაჯილდოვდნენ ე.წ. MRI-ის შექმნის გამო, რომელიც ექიმებს პაციენტების სხეულის დეტალურად დათვალიერების საშუალებას აძლევს.

რაც შეეხება ბაკსა და ალექსს, როგორც უკვე მოგახსენეთ, მათ იმას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ახლაც გვახსოვს შარშანდელი შემოდგომის ვარდების სურნელი.

# ინდიელი ბელადის ქანდაკება - ყველაზე დიდი მსოფლიოში

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ





კრეიზი ჰორსის მაკეტი ქანდაკების ფონზე

ყველაფერი შედარებითია და მოქანდაკე კორჟაკ ციოლკოვსკისთან შედარებით, ჩემი ძველი მეგობარი ზურაბ წერეთელი მონუმენტალისტად კი არა, მინიმალისტადაც კი მოგეჩვენებათ. თავისი სახელგანთქმული მოგვარის მსგავსად, კორჟაკ ციოლკოვსკიც ვარსკვლავებისკენ იწევდა, თუმცა მიზნისკენ გზას რაკეტით კი არ იკვლევდა, არამედ შეერთებულ შტატებში, სამხრეთ დაკოტაში მდგარი გრანიტის კლდეზე მიიწევდა ზევით და ზევით. ჯერ იყო და ბლექ-ჰილზში, მაუნთ-რაშმორზე გამოკვეთილ, ამერიკის დიად პრეზიდენტთა გიგანტური სკულპტურული პორტრეტების რესტავრაციაზე მუშაობდა, მაგრამ 1948 წლიდან სულ სხვა პროექტმა გაიტაცა

იმ საბედისწერო წელს სახელგანთქმულმა ინდიელმა ბელადმა ჰენრი სტენდინგ ბეარმა, ანუ ფეხზე (უკანა თათებზე) მდგომმა დათვმა, გადაწყვიტა უკვდავეყო ლეგენდარული ინდიელი მებრძოლის, ბელად ქრეიზი ჰორსის (გადარეული ცხენი) სახელი. სიუს ტომის ბელადმა, ქრეიზი ჰორსმა ლიტლ ბიგჰორნთან ბრძოლაში დაამარცხა და მოკლა გენერალი ჯორჯ არმსტრონგი. ქრეიზი ჰორსის შესახებ ამბობდნენ, ტყვიისგან შელოცილია, მაგრამ ასეთი რამ არ არსებობს და 1877 წელს გადარეული ცხენი ნებრასკას ციხესთან ჩვეულებრივმა ჯარისკაცმა მოკლა. ჰენრი სთენდინგ ბეარმა ციოლკოვსკის ქრეიზი ჰორსის სკულპტურის გაკეთება შესთავაზა. წერილში ბელადი მოქანდაკეს სწერდა: "მე და სხვა ინდიელ ბელადებს გვსურს, თეთრკანიანებმა იცოდნენ, რომ წითელკანიანებს შორისაც არიან გმირები". ბელადს სურდა შექმნილიყო რაიმე გრანდიოზული, რომელიც მაუნთ-რაშმორზე გამოკვეთილ პრეზიდენტების სკულპტურებსაც კი დაჩრდილავდა. ციოლკოვსკისაც, ისედაც შეშლილს გიგანტომანიაზე, სწორედ ეს უნდოდა. მან იდეა აიტაცა და მთელი ცხოვრება ამ პროექტის განხორციელებას მიუძღვნა.

კორჟაკი კიდევ უფრო გადარეული იყო, ვიდრე მისი ნატურა (სხვათა შორის, რადგანაც ქრეიზი ჰორსის ფოტოგრაფია არ არსებობდა, სკულპტორს თავისი ფანტაზიისთვის ფრთების გაშლის საშუალება მიეცა). მანდერჰედ მაუნთინზე დინამიტმა იფეთქა. მანამდე, სანამ მონუმენტის პირველი ნაკვთები გამოჩნდა, იქიდან რვანახევარი მილიონი ტონა გრანიტი გაიტანეს. თავად ციოლკოვსკი 1982 წელს ისე გარდაიცვალა, თავისი ოცნებისთვის ფრთების შესხმა ვერ მოასწრო. სამაგიეროდ დატოვა დარჩენილი სამუშაოების დეტალური გეგმა. სკულპტორის სიკვდილის შემდეგ მონუმენტზე მუშაობა სწორედ ამ გეგმის მიხედვით გაგრძელდა და დღემდე არ დასრულებულა. მიუხედავად ამისა, როდესაც 16/385 ავტოსტრადიდან კასტერში (სამხრეთ დაკოტა) ბელადების ავენიუზე გადაუხვევ, დაუსრულებელი მონუმენტიც კი გაგაოგნებთ თავისი მასშტაბებით. სკულპტურა - ყველა სფინქსზე უფრო სფინქსი! უსფინქესი!

სიკვდილის მოახლოვება რომ იგრძნო, ციოლკოვსკიმ მთლიანად კრეიზი ჰორსის სკულპტურისთვის მიძღვნილი ნეოპროფიტული ფონდი შექმნა. ამჟამად ფონდს სათავეში მისი მეუღლე რუთი და მათი შვიდი შვილი უდგანან (სულ მათ ათი შვილი ჰყავდათ). 1998 წელს ინდიელი ბელადის სკულპტურის თავის გახსნა მოეწყო. გახსნის თარიღი ბელადის სიკვდილის დღეს - 6 სექტემბერს დაამთხვიეს. სიმბოლური დამთხვევაა - თავად ციოლკოვსკი სწორედ ამ დღეს იყო დაბადებული.

სკულპტურის დასრულების დასაჩქარებლად ოფიციალურმა ვაშინგტონმა ორჯერ შესთავაზა მოქანდაკეს პროექტის დაფინანსება 10 მილიონი დოლარით. მაგრამ ციოლკოვსკიმ ორჯერვე უარი თქვა, მან ამორალურად მიიჩნია ინდიელი ბელადის მონუმენტის დაფინანსება მისი მეციხოვნეებისა და მკვლელების მიერ. ამჟამად პროექტის დაფინასება ცალკეული შემოწირულობებითა და იმ გალაქული გრანიტის სუვენირების გაყიდვით მიღებული შემოსავლიდან ხდება, რომლიდანაც ბელადის სკულპტურას აქანდაკებენ.

სკულპტურა, როდესაც იგი დასრულებულ სახეს მიიღებს, ყველაზე დიდი იქნება მსოფლიოში. მისი საბოლოო პარამეტრები ასეთი იქნება: სიმაღლე 563 ფუტი, სიგრძე 641.

მაგრამ მთავარი ის არის, როდის დასრულდება. რადგანაც ამ კითხვით ქალბატონ ციოლკოვსკის ძალზე ხშირად აწუხებენ, მან პასუხი ვიდეოაპარატურით ჩაიწერა და ცნობისმოყვარეებს ამ ჩანაწერს აჩვენებს ხოლმე. პასუხი კი ასე ჟღერს: "სამუშაოს დასრულების ვადას მნიშვნელობა არ ჰქონია კორჟაკისთვის, არ აქვს არც ჩემთვის. დაჭირდება იმდენი დრო, რამდენიც დაჭირდება". რას იზამ, რადგანაც არსებობს "სფინქსი", უნდა არსებობდეს სფინქსის საიდუმლოც!

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირიდან უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ესტუმრა პონომარიოვის ხელმძღვანელობით. იგი ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახლდათ, საგარეო საქმეებზე პასუხისმგებელი. დელეგაციის მარშრუტზე სამხრეთ დაკოტაც იყო აღნიშნული. ცხადია, საბჭოთა პარლამენტარები იმ ადგილზეც წაიყვანეს, საიდანაც ბინოკლებით პრეზეიდენტების სკულპტურებს უმზერენ. აი, ქრეიზი ჰორსის მონუმენტის მშენებლობაზე ისინი არ წაუყვანიათ, თავად მათ კი ასეთი რამის არსებობის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. საღამოს კი მასპინძლებმა - სამხრეთ დაკოტის კონგრესის წევრებმა საბჭოელი კოლეგების პატივსაცემად მიღება მოაწყვეს. მიღების დაწყებამდე ბორის პონომარიოვს ქრეიზი ჰორსის შესახებ ვუამბე (მე დელეგაციას "იზვესტიას" სპეცკორესპონდენტის სახით ვახლდი). და აი, მიღებაზე გამოსვლისას პონომარიოვმა ჩემი ნაამბობი შესანიშნავად გამოიყენა "ამერიკული იმპერიალიზმის ბოროტმოქმედების გამოსააშკარავებლად". მიღების შემდეგ კი შემაქო: "თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძალზე გამომადგა", - სრულიად სერიოზულად მითხრა სკკპ ცკ-ს მდივანმა, რომელიც თავად ჰგავდა სფინქსს, ოღონდ მინიატურულს - არა წერეთლისეულ და, მით უმეტეს, არა კორჟაკისეულ მასშტაბებისას.

პაულო კოელიოს სვეტი

# თვალი გაუსწორე შიშს



ერთ დღეს სულთანმა შეკრიბა ერთგული კარისკაცები, დუბაის პორტში გავიდა და შორეულ ზღვაოსნობაში გაემგზავრა.

როცა გემი ხმელეთს კარგა მანძილზე დაშორდა, ერთ-ერთი დიდგვაროვანი, რომელიც მთებში ცხოვრობდა და ზღვა მანამდე არასდროს არ ენახა, პანიკამ მოიცვა. იჯდა გემის კიჩოზე, სასოწარკვეთილი მოთქვამდა და ცახცახებდა, ბოლოს კი ჭამა და ძილიც აიკრძალა.

თავზარდაცემული დიდგვაროვანის დამშვიდებას თანამგზავრები ამაოდ ცდილობდნენ. არწმუნებდნენ, რომ საზღვაო ვოიაჟი არც ისე საშიში იყო, როგორც მას ეგონა, მაგრამ კარისკაცს არაფერი ესმოდა. სულთანმა აღარ იცოდა, რა ექნა. და ეს მშვენიერი მოგზაურობა ღია ზღვაში, მოწმენდილი, ლურჯი ცის ქვეშ, ყველას, ეკიპაჟსაც და მგზავრებსაც, გაუსაძლის ტანჯვად ექცათ.

გავიდა ორი დღე, მაგრამ თვალზე რული არავის ეკარებოდა. კარისკაცის გამკივანი ღამეული მოთქმები გემზე მყოფებს ძილს უფრთხობდა. ის იყო, სულთანმა გაიფიქრა, კაპიტანს გემის უკან, პორტში მიბრუნებას ვუბრძანებო, როცა მას სიბრძნით განთქმული მრჩეველი მიუახლოვდა და მიუგო:

"თქვენო უდიდებულესობავ, ნება მომეცით, მისი დამშვიდება ვცადო".

სულთანმა კი დაუფიქრებლად უპასუხა, რომ თუ მრჩეველი დაშინებული კარისკაცის დაწყნარებას მართლაც შეძლებდა, მას კარგად დააჯილდოვებდა.

ბრძენმა დიდგვაროვანის წყალში გადაგდება ბრძანა. ეკიპაჟის წევრებმაც იფიქრეს, ესაა და ჩვენი კოშმარი უნდა დასრულდესო და ბრძანება სიხარულით შეასრულეს. მეზღვაურების ძლიერ მკლავებში მოქცეული კაცი უღონოდ ფართხალებდა, მაგრამ ის ციმ-ციმ მიიყვანეს გემის კიჩოსთან და ოკეანის ტალღებში მოისროლეს.

კაცი ძალუმად იქნევდა ხელ-ფეხს, თავზარდაცემული ღრიალებდა, მის ხმას კი ტალღები ახშობდა. ის იძირებოდა, მერე კი სასოწარკვეთილი ფართხალის შემდეგ ისევ ამოტივტივდებოდა ხოლმე წყლის ზედაპირზე, ხან დამძიმებული და მოშვებული სხეულით ფსკერისკენ ეშვებოდა, ხან ისევ ზევით მოიწევდა. ბრძენი, მგზავრებთან ერთად, მის გამალებულ ბრძოლას სიკვდილთან და წყლის სტიქიასთან გემბანიდან ადევნებდა თვალს. ბოლოს მან კაცის გემზე ამოყვანა ბრძანა...

თითქოს, წყლის სტიქიიდან სხვა ადამიანი დაბრუნდაო, კარისკაცის ხმა მას შემდეგ აღარავის გაუგია. მთელი მოგზაურობის განმავლობაში ის მდუმარედ და მშვიდად იჯდა, მხოლოდ ერთადერთხელ გაენდო ერთ-ერთ მგზავრს და აღიარა, რომ, თურმე, არ არსებობს უფრო მეტი მშვენიერება, ვიდრე ჰორიზონტის წვრილი ხაზის ცქერაა; ზოლის, სადაც, თითქოს, ცა და ზღვა ერწყმის ერთმანეთს.

მგზავრობაც, რომელიც თავიდან ყველასთვის კოშმარი იყო, თანდათან მშვენიერი შთაბეჭდილებებით დატვირთულ თავგადასავლად იქცა.

როცა მოგზაურები, ბოლოსდაბოლოს, დუბაის პორტში დაბრუნდნენ, სულთანი მრჩეველს დაეკითხა:

"საიდან იცოდი, რომ ამ საწყალი კაცის დამშვიდება მისი ზღვაში გადაგდებით შეგეძლო?"

"ვიცოდი იმიტომ, რომ მეც ზუსტად ასე დამემართა", - მიუგო ბრძენმა, - "როგორც ეს კაცი იყო შეპყრობილი დახრჩობის შეუცნობელი, ბუნდოვანი შიშით, ასევე მზაფრავდა მე იმის წარმოდგენაც კი, რომ შეიძლება, ჩემს საყვარელ ცოლს მივეტოვებინე. ისე ვეჭვიანობდი, რომ, თქვენი კარისკაცის არ იყოს, მთელ დღეებს ტირილში ვატარებდი. ერთ დღესაც ჩემი ცოლი მიხვდა, რომ ასეთს ველარ ამიტანდა და სახლიდან მართლა წავიდა. ასრულდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა. და სწორედ მაშინ გავიაზრე რეალურად, თუ როგორი აუტანელი და ამაო შეიძლება იყოს ცხოვრება მის გარეშე.

მეუღლე მხოლოდ მას შემდეგ დამიბრუნდა, როცა პირობა მივეცი, რომ ჩემი ეჭვებითა და შიშებით ცხოვრებას აღარ გავუმწარებდი.

თქვენს ხელქვეითსაც ასე დაემართა. ჩემსავით, მასაც არასდროს განეცადა დახრჩობის აგონია და არასდროს გაეგო მლაშე წყლის გემო, როცა იძირები. როცა ეს ყველაფერი გამოსცადა, სწორედ მაშინ დააფასა პირველად მყარი გემბანის შეგრძნება ფეხქვეშ".

"ბრძნული პასუხია", - შენიშნა სულთანმა.

"ქრისტიანების წმინდა წიგნში, ბიბლიაში წერია, რომ ყველაფერი რისიც მეშინოდა, აუცილებლად მთავრდება. ზოგ ადამიანს მართლაც ასე ემართება - საყვარელ ადამიანს და სიცოცხლეს აფასებს მხოლოდ მაშინ, როცა საკუთარ ტყავზე გამოსცდის, მისი დაკარგვის საფრთხეს".



ფეხბურთი

# ჟირესმა უკრაინას ხმალი მოუღერა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ, 4 ოქტომბერს, ტოტალიზატორ "ინტერბეტ plus"-ის დარბაზში საქართველოს ქომაგთა ლიგის ინიციატივით გაიმართა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ალენ ჟირესის შეხვედრა გულშემატკივრებთან. საქართველოს ქომაგთა ლიგა სულ ერთი თვის წინ დაფუძნდა, თუმცა, უკვე ბევრი კარგი საქმის წამოწყება მოასწრო, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

სანამ თავად შეხვედრის დეტალებს გაგაცნობდეთ, წარმოგიდგენთ ქომაგთა ლიგას, რომლის პრეზიდენტიც საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძეა. ლიგის ვიცეპრეზიდენტია ქართულ საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილი ზურაბ პეტრიაშვილი, რომელიც ამავდროულად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრიცაა. ქომაგთა ლიგის მთავარი მიზნებია ქვეყანაში ზოგადად სპორტის და პრიორიტეტულად ფეხბურთის პოპულარიზაცია-განვითარებისთვის ხელშეწყობა, ძველი საქომაგო ტრადიციების აღორძინება, სპორტისა და ფეხბურთისთვის საჭირბოროტო საკითხების, პრობლემების წინა პლანზე წამოწევა და ხელისუფლების ყურამდე მიტანა. როგორც შეხვედრაზე ზურაბ პეტრიაშვილმა აღნიშნა, ერთ-ერთი ასეთი ინიციატივის წყალობით უმოკლეს დროში ეროვნულ სტადიონზე დაიწყება ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება. შესაძლოა, ეს პროცესი 21 ოქტომბრამდე, ანუ უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში "დინამოს" პირველ შეხვედრამდე დასრულდეს. ყოველ შემთხვევაში, თუ ამ დრომდე ვერ მოესწრო, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნოემბრის პირველ რიცხვებამდე სტადიონზე 65 ათასი ინდივიდუალური დასაჯდომი ადგილი იქნება და დანიელებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრაში განახლებულ სტადიონზე დავუხვდებით.

თუმცა, მანამდე უკრაინაა და ჟირესთან ქომაგების გუშინდელ შეხვედრაზე სწორედ ამ თამაშზე გამახვილდა ყურადღება. ფრანგ სპეციალისტთან შეხვედრას დაესწრო თავად სახელმწიფო მინისტრიც, რომელმაც თავის სიტყვაში ფეხბურთი პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანა.

"ქართველი ხალხისთვის ფეხბურთი მხოლოდ სპორტი არ არის, მას გაცილებით დიდი, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით თავმობეზრებული ხალხი სწორედ ფეხბურთში ხედავს და შეიგრძნობს შვებას. საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ბოლოდროინდელმა წარმატებებმა განუზომლად დიდი ემოციური მუხტი შესძინა ჩვენს ხალხს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს გამარჯვებები დიდ როლს ასრულებს ჯგუფებად დახლეჩილი ქართული საზოგადოების გამთლიანებაში. ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, ოღონდ, პროცესმა რომ შეუქცევადი ხასიათი მიიღოს, მხოლოდ გამარჯვებები გვჭირდება. ეროვნული თანხმობისა და შერიგების კომიტეტის თავმჯდომარე ვარ, შესაბამისად, კარგად მესმის, ამ პროცესს რა საფრთხე დაემუქრება, თუ ჩვენი ფეხბურთელები წაიფორხილებენ. დამარცხებებს მე და თქვენ არ გვაპატიებენ, ბატონო ალენ, ამიტომ მხოლოდ გამარჯვებებს ვითხოვთ", - ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად მიმართა აბსანძემ ჟირესს და საჩუქრად ტრადიციული ქართული ძღვენი - ხმალი გადასცა. ჟირესმა ხმალი იშიშვლა და წარმოსახვითი მოწინააღმდეგე ისეთი "ტუშეთი" განგმირა, მის სახელგანთქმულ თანამემამულე დ`არტანიანსაც არ შერცხვებოდა. "ასე დავამარცხებ უკრაინას", - ხმალი მოუღერა მომავალ მეტოქეს ფრანგმა და დაამატა: ამ ძღვენს ლვოვშიც წავიღებდი, მაგრამ უკრაინელი მებაჟეები საზღვარზე იარაღს არ გადამატანინებენო.



ჟირესი ქართულ ფეხბურთში დიდ პოტენციალს ხედავს, თუმცა, მისი თქმით, იმისთვის, რომ ამ პოტენციალის რეალიზება მოხდეს, დიდი შრომაა საჭირო.

საჩუქრის გადაცემის ცერემონიალის შემდეგ ფრანგი მწვრთნელი უფრო სერიოზულ საკითხებს შეეხო და საქართველოს ნაკრების ნაკლოვან მხარეებზე ისაუბრა.

"ჩვენ ჯგუფის ლიდერები ვართ და 2 შეხვედრაში 4 ქულა გვაქვს მოპოვებული. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ეს შედეგი სავსებით მაკმაყოფილებს, რასაც ვერ ვიტყვი ჩემი გუნდის თამაშის ხარისხზე. თუმცა, დამეთანხმებით, მთავარი შედეგია, მაგრამ თავად თამაშის გამოსწორებაზე გამუდმებით უნდა ვიზრუნოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებული თამაშების სერია შეწყდება. არ დავიწყებ საუბარს ტექნიკურ-ტაქტიკურ განსწავლულობაზე. ეს იმდენად მაღალი დონის გვექნება, რამდენად პროფესიონალი ფეხბურთელები და მწვრთნელი გვეყოლება. ქართველი ფეხბურთელების საშემსრულებლო ოსტატობა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ მაღალ შედეგებზე ვიფიქროთ. თუმცა, ახლა ნაკრები ჩამოყალიბების სტადიაშია, ეს კი საკმაოდ მტკივნეული პროცესია. ჩემი გუნდის ყველაზე დიდ ნაკლად ის მიმაჩნია, რომ მოვიკოჭლებთ სათამაშო დისციპლინაში, რაც, თუ მთავარი არა, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია წარმატების მისაღწევად. მართალია, ამ თვალსაზრისით გვაქვს ეპიზოდური ჩავარდნები, მაგრამ ფეხბურთში თამაშის ბედს სწორედ ასეთი ეპიზოდები, ხშირად კი ერთი ეპიზოდი წყვეტს. ჩემი ძირითადი საზრუნავიც ეს გახლავთ - ავტომატიზმამდე დავხვეწოთ სათამაშო დისციპლინა და კოლექტიური თამაში", - ასე დაახასიათა თავისი გუნდის ნაკლოვანი მხარე მუსიე ალენმა.

ჟირესმა მთავარ დადებით მოვლენად ის მიიჩნია, რომ ნაკრებში კოლექტიური სული გაჩნდა და ყველა ერთი მიზნის გარშემო გაერთიანდა.

"საკმაოდ მცირე დროში მოვახერხეთ ის, რომ გუნდი ერთ მუშტად შევკარით და კოლექტიურ ფეხბურთს ვთამაშობთ. დისციპლინის თვალსაზრისით პრობლემებს რომ საბოლოოდ აღმოვფხვრით, დიდი წარმატებების მისაღწევად რეალური საფუძველი გვექნება. 13 ოქტომბერს უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის უკრაინასთან. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ყველა მომდევნო შეხვედრა უმნიშვნელოვანესი იქნება და თითოეულ ქულას ოქროს ფასი დაედება. ჩვენს ქვეჯგუფში 4 ძალიან ძლიერი გუნდია - უკრაინა, საბერძნეთი, დანია და თურქეთი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოვიპოვოთ. კონკრეტულად უკრაინასთან მოსაგებად მივემგზავრებით, თუმცა, არც საყაიმო ანგარიშით ვიქნები უკმაყოფილო", - დიპლომატიურად გაგვანდო თავისი მიზნები ჟირესმა. მისმა თანაშემწემ გია გურულმა კი ისიც გაგვიმხილა, რომ თუ საქართველოს ნაკრებმა, მართლაც, შეძლო სასწაულის მოხდენა და საგზური მოიპოვა, ბატონ ალენს პირობა აქვს დადებული, პარიზში, ელისეს მინდვრებზე, ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა გაისეირნოს.

ჟირესი ქართულ ფეხბურთში დიდ პოტენციალს ხედავს, თუმცა, მისი თქმით, იმისთვის, რომ ამ პოტენციალის რეალიზება მოხდეს, დიდი შრომაა საჭირო.

"საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს რეგულარულად ვესწრები. უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის თამაში რამდენჯერმე მაქვს ნანახი. შემიძლია ვთქვა, რომ ქვეყანაში ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელია. თუმცა, მედალს მეორე მხარეც აქვს. როგორც ვატყობ, ამ ფეხბურთელების უმეტესობას თავი უკვე ნამდვილი ვარსკვლავი ჰგონია, რაც მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაზე ძალიან ცუდად მოქმედებს. თუ ასე გაგრძელდა, ეს ფეხბურთელები ისევე დაიკარგებიან, როგორც მათი მსგავსი მილიონობით ახალგაზრდა მთელ მსოფლიოში, რომლებსაც ნაადრევად შეეყარათ ვარსკვლავური სენი. ამ ავადმყოფობის წამალი სათქმელად ადვილია, შესასრულებლად კი არც ისე იოლი - მუხლჩაუხრელი და დაუღალავი შრომა. სხვა შემთხვევაში მიზანთან ახლოსაც ვერ მივლენ", - გააფრთხილა ჟირესმა "ნიჭიერ თაობად" მონათლული იმ ფეხბურთელთა ჯგუფი, რომლებიც უკვე ვარსკვლავებად მიიჩნევენ თავს.

# ლუიშ ფელიპე სკოლარი: "მომავალ შეხვედრამდე გერმანიაში"

*ორი წლის წინათ ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ის მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ევროპის უკანასკნელ ჩემპიონატზე პორტუგალიის ნაკრები ფინალში გაიყვანა. ახლა ის მომავალი მუნდიალისთვის ემზადება და დარწმუნებულია, რომ პორტუგალიის ნაკრები საკვალიფიკაციო თამაშებს წარმატებით დაძლევს. ლუიშ ფელიპე სკოლარი შეჩვეულია გამარჯვებებს, მეტიც, ის გამარჯვების გარანტია. გერმანული kicker-ის ჟურნალისტი ბრაზილიელ მწვრთნელს ეწვია და მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ ესაუბრა.*

**- ამბობენ, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ორმაგი გამოწვევა გელით. იცით, რას გულისხმობენ?**

- ცხადია. ერთი მხრივ, მე პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი ვარ, მაგრამ ადამიანებისთვის მე 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონი მწვრთნელიც ვარ, რომელმაც ბრაზილიის ნაკრებთან ერთად ტიტული მოიპოვა და რომელსაც ახლა სხვა ქვეყანასთან ერთად იგივეს გამეორება სურს. თუმცა, ამჟამად მხოლოდ პორტუგალიის ნაკრები მაინტერესებს.

**- მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშები ორი გამარჯვებითა და ექვსი უპასუხო გოლით დაიწყეთ. კმაყოფილი ხართ?**

- დიახ, ეს ძალიან კარგი სტარტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ ორი მატჩი ვითამაშეთ, ეს გამარჯვებები დიდ თავდაჯერებულობას გვმატებს მომავალი შეხვედრების წინ.

**- მათ შორის რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ მომავალ მატჩში?**

- შესაძლოა, ეს თამაში გადამწყვეტი აღმოჩნდეს და ჯგუფის საბოლოო გამარჯვებულის ვინაობაც აქ გაირკვეს. მაგრამ უყურადღებოდ არც ეგრეთ წოდებული "პატარები" უნდა დავტოვოთ. ამ პატარა საფეხბურთო ქვეყნებმა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში დიდ პროგრესს მიაღწიეს. ამაზე პირველი ორი წრის მოულოდნელი შედეგებიც მეტყველებს. ლატვიასთან ჩვენი უკანასკნელი მატჩი აიღეთ. ჩვენ 4:0 მოვიგეთ, მაგრამ 75-ე წუთამდე 0:0 იყო.

**- მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩენილი ორი წელი, ალბათ, საკმაოდ დაძაბული იქნება.**

- ცხადია, ერთი მხრივ, მსოფლიო ჩემპიონატი უკვე კარს არის მომდგარი, მეორე მხრივ, ის ჯერ კიდევ შორს არის. გერმანიის გარდა, ჯერ არც ერთი მონაწილე არ გარკვეულა. მერწმუნეთ, კვალიფიცირება არც ისე ადვილი იქნება. გაიხსენეთ, რა პრობლემები ჰქონდა ბრაზილიას 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში. ერთი შეხედვით, პორტუგალიას ახლა იოლი ჯგუფი აქვს, თუმცა, ეს მხოლოდ ქაღალდზე ჩანს ასე.

**- ამჟამად ახალი გუნდის შენება გიწევთ, ლუიშ ფიგუსა და რუი კოშტას გარეშე. რამდენად ძნელია ეს?**

- ადვილი არ არის, თუმცა, მე კმაყოფილი ვარ იმ კონტინგენტით, რომელიც ახლა მყავს. ივნისში დიდებული გუნდი გვყავდა, მაგრამ ახლა ახალი გუნდი გვყავს და ევროპის ჩემპიონატი ყველამ უნდა დაივიწყოს. ახლა ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატისთვის კვალიფიცირება უნდა მოვახერხოთ, რათა პორტუგალიური ფეხბურთი ახალ სიმაღლეზე ავიყვანოთ.

**- როგორ შეაფასებდით გერმანიის ნაკრებს?**

- ბრაზილიის წინააღმდეგ მათი თამაშის ცოცხლად ნახვა ვერ მოვახერხე, რადგან იმავე დღეს ჩვენ ესტონეთს ვეთამაშებოდით. მაგრამ 1:1 კარგი შედეგია ორივე გუნდისთვის, განსაკუთრებით კი იურგენ კლინსმანისთვის.

**- კლინსმანის სახით გერმანიის ნაკრებს ახალბედა მწვრთნელი ჰყავს, ბრაზილიას კი გამოცდილი კარლოს ალბერტო პარეირა უდგას სათავეში. რომელი ვარიანტია უმჯობესი?**

- პარეირა ძალიან კომპეტენტური მწვრთნელია. მისი ერთადერთი ამოცანა საუკეთესო გუნდის შეკრებაა, რომელმაც ბოლომდე უნდა იბრძოლოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაცავად. გერმანია და კლინსმანი კი სულ სხვა ამოცანის წინაშე დგანან. კლინსმანი ფანტასტიკური ფეხბურთელი იყო, მაგრამ სამწვრთნელო გამოცდილება არა აქვს. თუმცა, თავის დროზე ფრანც ბეკენბაუერიც გამოუცდელი იყო, როდესაც 1984 წელს გერმანიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. ექვსი წლის შემდეგ ის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. რატომ ვერ უნდა მოახერხოს იგივე კლინსმანმა?



ლუიშ ფელიპე სკოლარი: "მე ოპტიმისტი ვარ. ხშირად კვალიფიკაცია უფრო ძნელია, ვიდრე თავად ტურნირი. პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, ბრაზილია, არგენტინა - მსოფლიოს საუკეთესო გუნდები მუდამ მოვალეობის წინაშე დგანან, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის კვალიფიცირება მოახერხონ."

**- რას ელით 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისგან?**

- ევროპელთათვის ამჯერად ბევრად უფრო ადვილი იქნება, ვიდრე კორეასა და იაპონიაში. ყველამ იცის, თუ როგორ კარგად მუშაობენ გერმანელები, თუმცა, ორგანიზაციის მხრივ უკანასკნელი ჩემპიონატიც კარგი იყო. ევროპისთვის დამახასიათებელი მოკლე მანძილების გამო მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის უკეთ მოვემზადებით.

**- კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ფეხბურთი უკვე მეცნიერებად იქცა. ეთანხმებით თუ არა ამ აზრს?**

- არა. თუმცა, მეცნიერული მიდგომა ფეხბურთშიც ამართლებს. გერმანია მსოფლიოში ყველაზე მოწესრიგებული და კარგად ორგანიზებული ქვეყანაა. თუ ეს წესრიგი ფეხბურთშიც კარგად იქნა გამოყენებული, ეს უკვე ნახევარი წარმატებაა. მაგრამ არავითარი წესრიგი და არც ერთი ძლიერი მწვრთნელი არ არის დაზღვეული იმისგან, რომ დაცვას არ ჩაეძინება, ან თავდამსხმელი ბურთს არ ააცილებს.

**- ბევრისთვის კომერცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად თამაში.**

- მათ შეხედულებას არ ვიზიარებ. მაგრამ ის, რომ ამ თამაშით ბიზნესის კეთება შეიძლება, ეს ცხადია. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე 60-ზე მეტი მატჩი იქნება, ევროპის ჩემპიონატზე 31 იყო...

**- ნუთუ მდიდარი სპონსორი ისეთივე მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ფეხბურთელი ან მწვრთნელი?**

- ვფიქრობ, FIFA-ც და UEFA-ც წინა პლანზე სწორედ თამაშს აყენებენ. შესაძლოა, ათი წლის წინათ სხვაგვარად იყო. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიისა და ჰოლანდიის მეოთხედფინალური მატჩი დღის 12 საათზე დანიშნეს, 45 გრადუს სიცხეში. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპის ქვეყნებში ტელე-ტრანსლაცია ხელსაყრელ დროს მომხდარიყო. საბედნიეროდ, ახლა ასეთი რამ აღარ შეიძლება.

**- დავუბრუნდეთ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს. ამას წინათ განაცხადეთ, რომ ტურნირზე მოხვედრის შემთხვევაში, პორტუგალიის ნაკრები თავისი ძალის დემონსტრირებას მოახდენს. რატომ ხართ ასე დარწმუნებული?**

- მე ოპტიმისტი ვარ. ხშირად კვალიფიკაცია უფრო ძნელია, ვიდრე თავად ტურნირი. პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი, ბრაზილია, არგენტინა - მსოფლიოს საუკეთესო გუნდები მუდამ მოვალეობის წინაშე დგანან, რომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის კვალიფიცირება მოახერხონ. თუმცა, ჩავარდნა ყოველთვის ხდება. გაიხსენეთ თურქეთი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა. მაგრამ მე ახლავე გეტყვით: მომავალ შეხვედრამდე გერმანიაში 2006 წელს.

რაგბი

# ჩემპიონატი სანახევროდ გაილია

პაატა თოთაძე


ლევან ხერხეულიძის ფოტო

"ლელოს" გამარჯვების შეტევა.

ოფიციალურად კი დასრულდა საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის პირველი წრე, მაგრამ ქუთაისის "აიას" თავს დამტყდარი პრობლემების გამო პირველი წრის ორი მატჩი ჯერაც გასამართია. ქუთაისელებს პირველ ტურში ქვეყნის ჩემპიონისთვის, თბილისის "ლოკომოტივისთვის" უნდა ემასპინძლათ, პირველ წრის ბოლო ტურში კი - ჩემპიონატის ამჟამინდელი ლიდერისთვის, "იმედი L - აკადემიისთვის". უფულობისა და სტადიონთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერც ერთი მატჩის გამართვა ვერ მოხერხდა (ეს მატჩები მომავლისთვის გადაიდო). ასე რომ, პირველი წრე რეალურად მხოლოდ სამმა გუნდმა დაასრულა: "ლელომ", "ყოჩებმა" და ბათუმის "დათვებმა".

პირველი წრე ოფიციალურად სწორედ "ლელო"-"დათვების" თამაშით დასრულდა. სეზონის წინ ზღვისპირელებს ჩემპიონობის კანდიდატებად არავინ ალიქვამდა, თუმცა, რაც დრო გადის, ბათუმელები საპირისპიროს უმტკიცებენ მეტოქეებს. გუშინდელ მატჩამდეც ბათუმელები მხოლოდ ერთი წაგებით მივიდნენ - პირველ ტურში ისინი "იმედი L - აკადემიასთან" დამარცხდნენ (19:21). იქიდან მოყოლებული, ჯერ "აია", შემდეგ კი "ყოჩები" და "ლოკომოტივი" დაამარცხეს. "ლელოსთან" მატჩშიც ბათუმელები მუდმივად წინ იყვნენ, მაგრამ გამარჯვება ბოლო წუთზე მაინც გაუშვეს ხელიდან. პირველი ტაიმი სტუმრებმა 14:3 მოიგეს - ბერიძემ და ღლონტმა გაიტანეს ლელოები. აღსანიშნავია, რომ შერკინებაში ბათუმელებმა პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე. სხვათა შორის, "დათვების" შერკინების ხაზი მუდამ გამორჩეული იყო და გამონაკლისი არც დღევანდელი, ერთი შეხედვით დასუსტებული "დათვებია".

ვითარება მეორე ტაიმში შეიცვალა. "ლელო" გააქტიურდა, თუმცა, მაინც საეჭვო იყო, ასე თუ ისე თანაბარძალოვან გუნდთან ჭიდილში 11-ქულიანი ჩამორჩენა აღმოეფხვრა. ეს კიდევ უფრო საეჭვო გახდა მას შემდეგ, რაც სარდანაშვილის ლელოს ბათუმელებმა გაბუნიას ლელოთი უპასუხეს და 11-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს - 19:8. ყველაფერი მატჩის დასკვნით 15 წუთში გადაწყდა, როცა მასპინძლებმა ორჯერ დაალელოვეს მეტოქე. პირველად ეს ბათუმელთა შეცდომის წყალობით ბარკალაიამ მოახერხა, მეორედ კი - ჯამრულიძემ. გადამწყვეტი ლელო თბილისელებმა მსაჯის მიერ წამატებულ დროში გაიტანეს, თანაც, ბათუმელთა აზრით, "ლელომ" ეს წესების დარღვევით გააკეთა, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა დარღვევა არ დააფიქსირა და, ბუნებრივია, ლელოც ჩაითვალა. ამას ბათუმელთა გაღიზიანება და პროტესტი მოყვა, თუმცა, ყველაფერი მალე ჩაწყნარდა და ბათუმელებისთვისაც სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ანაცვლება, სულ მცირე, მეორე წრემდე გადაიდო.

წლევანდელი ჩემპიონატის ერთი უცნაურობა "ლოკომოტივის" უფერული თამაშია. რკინიგზელებს ადრეც უთამაშიათ უფერულად, მაგრამ ჯერ არ მომხდარა, პირველ სამ მატჩში ჩემპიონს ერთი გამარჯვებაც ვერ მოეპოვებინოს. პირველი ტურის ამბავი უკვე ვთქვით. მას მერე "ლოკომოტივმა" ზედიზედ სამი მატჩი წააგო "ლელოსთან", "იმედი L - აკადემიასთან" და "დათვებთან". ამდენი მარცხით "ლოკომოტივი" ოთხეულს მიღმა დარჩენის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ეს თავადაც კარგად გააცნობიერეს და "ყოჩებს" პირველი წრის ბოლო მატჩში შავი დღე აყარეს.

36:15 - ასეთია ამ შეხვედრის საბოლოო შედეგი და რკინიგზელებსაც ოთხეულში მოხვედრის შესაძლელობა გაუჩნდათ. ტურის კიდევ ერთი მატჩი კი გადაიდო. ქუთაისის "აიამ" მოედნის უქონლობის გამო "იმედი L - აკადემიას" ვერ უმასპინძლა. ქუთაისელებს იმგვარი მდგომარეობა აქვთ, რომ ლიგიდან გავარდნას ვერ გადაურჩებიან. მეორე გუნდი კი, რომელსაც უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა, მეორე წრის ბოლოს გაირკვევა. ჯერჯერობით ამის ყველაზე რეალური კანდიდატი "ლოკომოტივია", თუმცა, ეჭვი არავის ეპარება, რომ მეორე წრეში მეტოქეებს სულ სხვა "ლოკომოტივთან" მოუწევთ პაექრობა. ამდენად, შანსი იმისა, რომ "ლოკომოტივის" ნაცვლად გასავარდნთა ზონაში სხვა გუნდი აღმოჩნდეს, არცთუ მცირეა.

ეროვნული ჩემპიონატიდან ეროვნულ ნაკრებზე გადავერთოთ. ცოტა ხნის წინათ საქართველოს რაგბის კავშირმა განცხადებით მიმართა FIRA-AER-ს და რუსეთთან 20 ნოემბრისთვის დაგეგმილი მატჩის გადატანა ითხოვა. ამის თაობაზე ამ პატივცემულ ორგანიზაციაში დიდხანს არ უფიქრიათ და უარი შემოგვითვალეს. ასე რომ, მატჩი დათქმულ დროს, 20 ნოემბერს კრასნოდარში გაიმართება. ქართველთა არგუმენტი რუსული სიცივე იყო, თუმცა, FIRA-AER-ში იფიქრეს, რომ შუა ნოემბერში რუსული სიცივის ატანა ქართველი მორაგბეებისთვის შესაძლებელი იყო. მოკლედ, ერთა თასსა და მომავალი მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპს წლეულს, ნოემბერში ვიწყებთ.

კალათბურთი

# ეს ბიჭი ამერიკაში ძალიან უყვართ

*მეჯიქ ჯონსონს, ლარი ბიორდს, მაიკლ ჯორდანს და კარლ მელოუნს სკოლა რომ 2004 წელს დაემთავრებინათ და არა ოცი წლის წინათ, ალბათ, კოლეჯში სწავლაზე დროს არ დაკარგავდნენ და თავიანთ კანდიდატურას პირდაპირ დრაფტზე დააყენებდნენ. სწორედ ასეთია ამერიკული კალათბურთის დღევანდელი რეალობა. სკოლადამთავრებული ბავშვები კოლეჯში ან უნივერსიტეტში დროის ფუჭად ფლანგვას პირდაპირ უმაღლეს ლიგაში კალათბურთის თამაშს ამჯობინებენ. ისინი თვლიან, რომ მზად არიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ყოველდღე მოუწევთ. მათ მიაჩნიათ, რომ მზად არიან დიდებისა და დიდი ფულისთვის, ისევე მზად, როგორც ლებრონ ჯეიმსი.*


*დუაიტ ჰოვარდი - ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მომავალი ვარსკვლავი.*

სანდრო ნავერიანი

რა თქმა უნდა, არ შეიძლება წლევანდელი სკოლის მოსწავლეების ნიჭიერების უარყოფა. ამერიკელი სპეციალისტების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ 2004 წლის სკოლადამთავრებულები შეიძლება შევადაროთ 1979 წლის სკოლადამთავრებულებს: აიძია ტომასს, დომინიკ უილკინსს, ჯეიმს უორტის და რალფ სემპსონს. მაგრამ წლევანდელი დრაფტის რვა კანდიდატიდან, რომლებმაც წლეულს დაამთავრეს სკოლა, ოთხმა მაინც თუ შეძლო იმ სახელის მოპოვება, როგორიც 1979 წლის სკოლადამთავრებულებმა შეძლეს, კარგი იქნება.

სებასტიან ტელფეირს და კომპანიას სურთ, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახლავე ათამაშდნენ. კევინ გარნეტი, კობი ბრაიანტი, ტრეისი მაკგრეიდი, ამარე სტაუდმაიერი და ლებრონ ჯეიმსი ხომ პირველივე წელს გახდნენ ვარსკვლავები! თუმცა, აქ შეიძლება პატარა შესწორება შევიტანოთ: ჩამოთვლილი კალათბურთელები ფენომენები არიან. ფენომენი კი წელიწადში რვა ცალი არ ჩნდება. ყველაფერ ამას უარყოფითი მხარეც აქვს. კუომი ბრაუნს ორი წელიც რომ მოეცადა და საუნივერსიტეტო ლიგაში ეთამაშა, შეიძლება რამე სასარგებლო ესწავლა, რაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გამოადგებოდა. თვითონვე გააანალიზებდა თავის დადებით და უარყოფით მხარეებს, მაგრამ მან პირდაპირ ტიტანების ლიგაში მოისურვა თამაში, რაც ძალიან ძნელია.

როგორი ნიჭიერი კალათბურთელებიც არ უნდა იყვნენ ეს ბიჭები, მათი კარიერა უფრო ნათელი და შედეგიანი იქნებოდა, ერთი-ორი წელი კოლეჯის კალათბურთი რომ ეთამაშათ, - ასე ფიქრობს ბევრი წამყვანი სპეციალისტი. ისინი ასევე ამბობენ, რომ არც ერთი მათგანი არ არის მზად ეროვნულ საკალთბურთო ასოციაციაში სათამაშოდ, გარდა ერთისა. ეს ერთადერთი დუაიტ ჰოვარდია, რომელსაც, თუ პროგნოზებს ვენდობით, უმაღლეს ლიგასთან ადაპტაცია არ უნდა გაუჭირდეს. ჰოვარდმა დაამთავრა ატლანტის ქრისტიანული სკოლა (Southwest Atlanta Christian Academy).

**მოკრძალებული ლიდერი**

აი, ეს ბიჭი კი ამერიკაში ძალიან უყვართ. აქვთ კიდეც საამისო მიზეზი. თამაშით ის შეიძლება შევადაროთ გარნეტსა და დანკანს. მისი სიმაღლე 211 სმ-ია, წონა - 110 კგ, თამაშობს ცენტრის ან მძიმე ფორვარდის პოზიციაზე. მისი ფიზიკური მონაცემები სავსებით ჯდება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სტანდარტებში: მაღალია, ძლიერი, ათლეტური, მოძრავი. მაღალი ნახტომი აქვს და "სწრაფი" გრძელი ხელები. დაცვა - ეს მისი ყველაზე ძლიერი მხარეა. შეუძლია ფარიდან ბურთის მოხსნა, მეტოქის გადაცემის ჩაჭრა, ბურთზე დაფარება და პარტნიორების დაზღვევა. უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში სასკოლო კალათბურთში არ ყოფილა ისეთი დომინირებული ცენტრი, როგორიც დუაიტ ჰოვარდია. ის მეტოქე კალათბურთელებისთვის კედელივით არის. ძალიან ძნელია, მას ისე გასცდე, რომ ჯარიმა არ აიკიდო. როგორც ჩანს, ბენ უოლასს ლიგის საუკეთესო ბლოქ-შოთერის სახელის დათმობა უახლოეს მომავალში მოუწევს.

ის, რაც ჰოვარდს განასხვავებს დანარჩენი მაღალი კალათბურთელებისგან - ეს არის მისი ტექნიკურობა, საჭირო მომენტში კარგი გადაცემის გაკეთება, მოედნის ხედვა, როგორც გამთამაშებლის, დაყენებული ტყორცნა საშუალო დისტანციიდან და ასეთი სიმაღლის კალათბურთელისთვის გამორჩეულად კარგი თამაში პერიმეტრზე. საქმე ისაა, რომ ჰოვარდს 4-5 წლის წინათ უწევდა დიდ გუნდებთან თამაში. მაშინ ჰოვარდი 185 სმ იყო, ამიტომაც "პირველ ნომრად" თამაშობდა. ამან გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო. უკვე კარგა ხანია, რაც მისი თამაში გასცდა სასკოლო კალათბურთის დონეს, ის უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალია. საერთოდ, ჰოვარდი, ფლობს ძალიან მაღალ საკალათბურთო ინტელექტს. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიტანოთ ჰოვარდის უკანასკნელი სასკოლო სეზონის სტატისტიკა: 25,5 ქულა, 18,3 მოხსნა, 3,5 გადაცემა, 8,0 ბლოქ-შოტი საშუალოდ ერთ თამაშში. ციფრები იმდენად შთამბეჭდავია, რომ სასკოლო კალათბურთის წლის საუკეთესო კალათბურთელის დასახელებისთვის ზოგიერთ სპორტულ ორგანიზაციას სხვა კანდიდატურები არც კი განუხილავს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჰოვარდმა თავისი გუნდი შტატის ჩემპიონი გახადა. იმ მატჩში მან ტრიპლ-დაბლი გააკეთა (26 ქულა, 20 მოხსნა და 11 ბლოქ-შოტი), ხოლო "ყველა ვარსკვლავის" მატჩში მთელი თავით მაღლა იდგა დანარჩენ კალათბურთელებზე.

**"მე ყოველთვის მინდოდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პირდაპირ სკოლიდან მოხვედრა, - ამბობს ჰოვარდი, - ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინათ მივიღე და ამ მიზნის მისაღწევად ბევრი რამის დათმობა მომიხდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩემთვის, ფაქტობრივად, არ არსებობდა გართობა და დასვენება. ისე, თუ სიმართლე გინდათ, გეტყვით, რომ არასოდეს მინდოდა კოლეჯში სწავლა".**

2004 წლის დრაფტზე თავისი კანდიდატურის წამოყენების შესახებ არავინ არაფერი იცოდა, გარდა თვითონ ჰოვარდის და მისი ოჯახისა. ეს ფაქტი მას განასხვავებს ლებრონ ჯეიმსისგან, რომელსაც ჯერ სკოლა არ ჰქონდა დამთავრებული და უკვე აცხადებდა, რომ პირდაპირ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში წავიდოდა.

დუაიტ ჰოვარდი არ არის ტიპური ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი, რომელიც ყველა სარეკლამო რგოლში და აბრაზეა გამოსახული. ის ძალიან რელიგიური ადამიანია. ნაცნობები კი მას ასე ახასიათებენ: მოკრძალებული, დინჯი, წყნარი, სამართლიანი, უბრალო ბიჭი. მისთვის არ არის მნიშვნელოვანი, პოპულარობა მოიპოვოს და ვილაცვილაცებმა მკერდზე მისი სახე ამოისვირინგონ. მას, უბრალოდ, უნდა, რომ ოჯახი მისით ამაყობდეს. ასეთია ჰოვარდი ცხოვრებაში და, გიგანტური სიმაღლე რომ არა, ის, ალბათ, საერთოდ შეუმჩნეველი იქნებოდა. სამაგიეროდ, მას სურს, გახდეს ამერიკის საუკეთესო კალათბურთელი: "მე ძალიან ბევრს ვმუშაობდი იმაზე, რომ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული კალათბურთელი ვყოფილიყავი. ამაზე გაჩერებას არ ვაპირებ და შევეცდები, გავხდე ამერიკის საუკეთესო კალათბურთელი".

მოკრძალებულობის მიუხედავად, მისი ერთადერთი მიზანია, დაეხმაროს გუნდს, რომელშიც თამაშობს. "მოვაგროვო ქულები, მოვხსნა ფარიდან ბურთი, ჩავჭრა გადაცემები, დავაფარო მეტოქეს. ეს ის არის, რაც მინდა, რომ ჩემს გუნდდთან ერთად მთელი ცხოვრება ვაკეთო". ჯერჯერობით მისი გუნდი "ორლანდო მეჯიქია", მაგრამ ჰოვარდის ყველაზე დიდი ოცნება "ატლანტა ჰოუქსის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაა. ის ხომ ატლანტაში გაიზარდა და სწორედ ატლანტელი ქორების მატჩებზე სიარულმა შეაყვარა კალათბურთი.

მოკლედ

### რომარიო არ აპირებს საფეხბურთო კარიერის დასრულებას



ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი რომარიო არ აპირებს ფეხბურთიდან წასვლას. ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს კონტრაქტის გაგრძელება უნდა საფეხბურთო კლუბ "ფლუმინენსესთან".

"კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა დეკემბერში იწურება. ძალიან მინდა, გუნდს 2005 წელს ლიბერტადორესის თასის გათამაშებისას დავეხმარო," - განაცხადა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ჟურნალისტებთან საუბარში.

### ნარკოტიკი ბოსნიჩზე ძლიერი აღმოჩნდა

როგორც ჩანს, "ასტონ ვილასა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მეკარე მარკ ბოსნიჩი ისევ დაუბრუნდა ნარკოტიკებს.

ავსტრალიელი სპორტსმენი მათ შესაძენად დიდძალ ფულს ხარჯავდა. ერთ დღესაც თავისი ნარკომანობის ამბავი საჯაროდ გამოაცხადა და თავის დანებების პირობაც დადო, მაგრამ ცდუნებას მხოლოდ ექვსი თვე გაუძლო და ნარკოტიკებს ისევ დაუბრუნდა.

ამ დღეებში 32 წლის მეკარე ერთ-ერთ შოუში სტუმრად იყო მიწვეული. მაყურებლების ყურადღება მიიქცია ბოსნიჩის არაადეკვატურმა ქცევამ მთელი შოუს მანძილზე. უცნაურობა ბოსნიჩს ჯერ კიდევ მაშინ ახასიათებდა, სანამ საზოგადოება მისი ნარკომანობის ამბავს გაიგებდა. ბოსნიჩის მეკარეობის დროს მისი თანაგუნდელები უარს აცხადებდნენ მასთან ერთად ოთახში ცხოვრებაზე. მიზეზი მეკარის საკუთარ თავთან ლაპარაკის უცნაური ჩვევა გახლდათ.

როცა ბოსნიჩმა ნარკომანობა საჯაროდ აღიარა, მაშინ კი ყველაფერს აეხადა ფარდა და მის უცნაურსა და არაადეკვატურ საქციელსაც ახსნა მოეძებნა.

### ამერიკელ მაგნატს "მანჩესტერ იუნაიტედის" ყიდვა უნდა

ამერიკელი მაგნატის მალკოლმ გლეიზერის ბანკირმა მეჰმეთ დალმანმა დაადასტურა ხმები იმის შესახებ, რომ ამერიკელ მილიონერს "მანჩესტერ იუნაიტედის" ყიდვა სურს.

"გლეიზერმა გადაწყვიტა, კლუბის ფლობის უფლება აქციების უმეტესი ნაწილის შესყიდვით მიიღოს", - განაცხადა ბანკირმა "სანდი ექსპრესთან" საუბარში.

ივლისში კლუბის აღმასრულებელ დირექტორთან შეხვედრამდე, გლეიზერმა "მანჩესტერ იუნატედში" აქციების თავისი წილი გაზარდა (19.17%-მდე) და ირლანდიელი მაგნატების შემდეგ კლუბის უმსხვილესი აქციონერი გახდა.

ვარაუდობენ, რომ კლუბზე სრული კონტროლის ხელში აღების შემთხვევაში, გლეიზერის პირველი ნაბიჯი ახალი ფეხბურთელების შეძენა და სერ ალექს ფერგიუსონთან კონტრაქტის გაგრძელება იქნება.

### ბელგიურ კლუბს იტალიელი მწვრთნელი აღარ ეყოლება

იტალიელი სერჟიო ბრიო ბელგიური კლუბის "მონსის" მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. როიტერის ცნობით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი ქვეყნის ჩემპიონატზე გუნდის წარუმატებელი თამაში გახდა: "იუვენტუსის" ყოფილი ფეხბურთელის ხელმძღვანელობისას "მონსმა" რვა მატჩში მხოლოდ ხუთი ქულა აიღო.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

**სამშაბათი. 5 ოქტომბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
06:30 NBA TV. სეზონი 2000-2001. "SACRAMENTO KINGS" - "INDIANA PACERS".
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 უკრაინის ჩემპიონატი. "ობოლონი" - "შახტიორი"
14:00 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:50 ინგლისის ჩემპიონატი. "კრისტალ პალასი" - "ფულჰემი"
18:30 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:45 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:45 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი
00:40 00:40-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - NBA შიგნიდან
04:00 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "CONNECTICUT SUN" - "NEW YORK LIBERTY". მე-3 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:30, 21:30 პრესცენტრი
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL. "BALTIMORE RAVENS" - "KANSAS CITY CHIEFS"
13:35 "ორშაბათამდე მივატანთ"
14:05 "ჰოკეი-პლუს"
14:20 საგზატკეცილო ველორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. ვაჟები. ელიტა
16:45 სუპერსეტ-ჩოგბურთი. ლონდონის ტურნირის წარსულისა და აწმყოს ვარსკვლავები. მეორე ნაწილი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 აფროსნობა. საკრეისერო იახტების რბოლა. რუსეთის ჩემპიონატი
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 როდეოს ფესტივალი კალგარიში. მეორე ნაწილი
23:00 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. ვ. კრამნიკი - პ. ლეკო
23:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL. "BALTIMORE RAVENS" - "KANSAS CITY CHIEFS". შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
02:00 "ჰოკეი-პლუს"

**EUROSPORT**
10:30 ოლიმპიური თამაშები. კულტურული პროგრამა
10:45 მულტისპორტი
11:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი
14:30 ჩოგბურთი. Real Life on the WTA Tour
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:45 მულტისპორტი
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
22:00 კრივი
23:00 კრივი
01:00 მულტისპორტი
01:30 ახალი ამბები
01:45 ნასკარის ავტორბოლები
02:45 ინდიკარის ავტორბოლები
03:15 ოლიმპიური თამაშები. კულტურული პროგრამა

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"



საქართველოს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი შეხვდა პროექტში მონაწილე მოსწავლეებს და მათ ესაუბრა. მოსწავლეებმა მინისტრს მათთვის საინტერესო შეკითხვები დაუსვეს.

### გიორგი ცხადაია,
*მე-3 გიმნაზია*

**არასრულწლოვნების ციხე რა მდგომარეობაშია და როგორ ცხოვრობენ იქ მოზარდი პატიმრები?**

**გიორგი პაპუაშვილი**

საერთოდ, საპატიმროების საკითხი ძალიან მძიმეა პენიტენციალურ სისტემაში. მაგალითად, ორთაჭალის ციხეში ათასით უფრო მეტი პატიმარი ზის, ვიდრე ციხეს შეუძლია მოათავსოს და ყოფითი პირობებიც საშინელია. რაც შეეხება არასრულწლოვანთა კოლონიას, იქ კარგი ყოფითი პირობებია. არის საღამოს სკოლა. განათლების მინისტრმა მოინახულა სკოლა და ის სასწავლო პირობებით უზრუნველყოფილი იქნება. უცხოური ორგანიზაცია გვეხმარება და ისინი ინგლისურ ენასაც ისწავლიან. გარდა ამისა გაიხსნება სახელოსნო სკოლაც, სადაც მოზარდები სხვადასხვა ხელობას შეისწავლიან, რომ სასჯელის აღსრულების შემდეგ ეს ადამიანები ჩადგნენ ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმში, უკომპლექსოდ შეუერთდნენ სამოქალაქო საზოგადოებას. ორთაჭალაშიც ჯერ სასჯელმიუსჯელ არასრულწლოვანთა საკნები შევაკეთეთ და შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. საწოლები ყველას აქვს, მაგრამ ვფიქრობთ ცალკე გავიყვანოთ. ... საერთოდ კი მინდა ვთხოვო სასამართლო ხელისუფლებას, საქართველოს მოსამართლეებს და პროკურორებს, რომ რაც შეიძლება ნაკლებ არასრულწლოვანს გამოუტანონ განაჩენი -ციხე. არსებობს სასჯელის სხვა ფორმებიც, რომლებიც არასრულწლოვნებისთვის კანონით არის მისადაგებული.

### თინათინ მურადაშვილი, *მე-9 სკოლა*

**რატომ ხდებიან არასრულწლოვანები დამნაშავეები და რას აკეთებს სამინისტრო მოზარდთა დანაშაულის აღსაკვეთად?**

**გიორგი პაპუაშვილი**

ძირითადად, დღევანდელი სოციალური პირობები ქმნის იმ "ნოყიერ" ნიადაგს, რომელიც მშიერ, ყოფით სიამოვნებებს მოკლებულ მოზარდს იოლად ითრევს დანაშაულში. გარდა ამისა, მორალური კლიმატი - ჩვენს სამყაროში ზნეობრივი ფასეულობები იყო დარღვეული. მოზარდებისთვის ავტორიტეტი კორუმპირებული, მოძალადე, უზნეო ადამიანები იყვნენ, რომლებიც რაც უფრო მეტს მოიპარავდნენ, მოკლავდნენ, მათი ძლიერება მეტი იყო. ასეთ კლიმატში, რა თქმა უნდა, უფრო მეტია დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა.

მოზარდთა დანაშაულის აღკვეთა არ არის ერთი რომელიმე სამინისტროს მოვალეობა და შესაძლებლობა- ეს მთელი სახელმწიფოს, საზოგადოების, ხელისუფლებისა და მთავრობის დამოკიდებულებასა და საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

### ანა ხვედელიანი,
*მე-3 გიმნაზია*

**დაგჭირდათ თუ არა ძალისხმევა მინისტრის თანამდებობის მოსაპოვებლად?**

**გიორგი პაპუაშვილი**

სკოლაში კარგად ვსწავლობდი და თქვენც ამას გირჩევთ. ძალისხმევას რაც შეეხება,უნდა გითხრათ, რომ მე, ისევე როგორც ჩვენი მთავრობის წევრთა უმრავლესობას, მანამ არანაირი თანამდებობა არ გვქონია და მინისტრობა მოულოდნელი იყო. ეს ადრე ხდებოდა, რომ ნათესაობა, ნაცნობ-მეგობრობა იყო ის ძირითადი პარამეტრები, რომელიც ადამიანს თანამდებობას ანიჭებდა. თუმცა, დღესაც არ არის აღმოფხვრილი საზოგადოების აზროვნებიდან. სახლში დაბრუნებულს რამდენჯერ დამიხევია ფურცელი, რომელზეც ვინმეს თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ მთხოვდნენ. დროთა განმავლობაში, ჩვენი ცხოვრებიდან აღმოიფხვრება ე.წ. ჩაწყობის ინსტიტუტი და თქვენ ნამდვილად მოგიწევთ ის დრო, როცა მხოლოდ ცოდნა, უნარები და ღირსებები იქნება ის პარამეტრები, რომელიც ადამიანს თანამდებობრივ კიბეზე აიყვანს.

### თეონა რევიშვილი,
*მე-9 სკოლა,*
### ანი ხვედელიანი
*მე-3 გიმნაზია*

**არიან თუ არა ციხეებში "კანონიერი ქურდები"?**

**რა ეტაპებს გადის ადამიანი, რომ გახდეს "კანონიერი ქურდი"?**

**გიორგი პაპუაშვილი**

მე არ ვიცი, რა ეტაპები ჰქონდათ გასავლელი "კანონიერ ქურდებს", მაგრამ მახსოვს ჩემს ბავშვობაში, რომ ის ავტორიტეტი იყო უბანში. აგვარებდა ათასგვარ პრობლემას, ჰქონდა მანქანა, ყიდულობდა სახლს. მისთვის ხელის გარტყმა არ შეიძლებოდა, ხელშეუხებელი იყო. ისინი ბიზნესშიც, უფრო სწორად, ჩრდილოვან ეკონომიკაშიც იყვნენ გარეულები და უფრო სასამართლოს ალტერნატიული როლი ჰქონდათ აღებული, საქმე მათთან ირჩეოდა. "კანონიერი ქურდის" ინსტიტუტი მხოლოდ საბჭოთა კავშირში იყო. ხელისუფლების დავალებით ციხის ადმინისტრაცია კანონიერ ქურდებს ურიგდებოდა და ციხეში სიმშვიდის გარანტიით ისინი "უმაღლეს" უფლებებს მოიპოვებდნენ. დღეს ციხეში 30-მდე "კანონიერი ქურდია", თავისუფლებაში თითოოროლაღაა და უმეტესობა საზღვარგარეთ ცხოვრობს.

ამასთან ერთად, რეკეტის კანონმაც შეუწყო ხელი მათ "გადაშენებას". როცა კანონით ისჯება უკანონო შემოსავალი, ვერც ერთი ქურდი და მათი ოჯახის წევრი ვერ დაიკანონებს ქონებას. გარდა ამისა, ამ ინსტიტუტის საბოლოო სიკვდილი იქნება, როცა ხელისუფლება თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს, გატაცებულ მანქანას პოლიცია მოძებნის, სადავო ეკონომიკურ თუ სოციალურ საკითხს სასამართლო გადაწყვეტს. ერთი სიტყვით თუ სახელმწიფოს, ხელისუფლებას და მთავრობას ავტორიტეტი აუმაღლდება, მათი სასიცოცხლო ძალა უსარგებლო გახდება და არსებობა საბოლოოდ დაკარგავს აზრს.

### თამარ დორეული,
*115 -ე სკოლა:*

**როცა, გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, გასაჩივრების ყველა ვადა და მეთოდი ამოწურულია. გადაწყვეტილება მიღებულია რეფორმამდელ სასამართლოში კორუმპირებული მოსამართლეების მოსყიდვის გზით. ირღვევა 3000 ადამიანის უფლება. ასეთ შემთხვევაში, ვის უნდა მიმართონ დაზარალებულებმა და როგორ უნდა აღიდგინონ დარღვეული უფლებები?**

**გიორგი პაპუაშვილი**

თუ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, ანუ მას გავლილი აქვს სამივე საფეხური, რჩება სტრასბურგის სასამართლო. არის კიდევ ერთი შემთხვევა, როცა თავიდან შეიძლება დაიწყოს - ახლადაღმოჩენილი მტკიცებულებები.

### დავით ირემაშვილი,
*მე-3 გიმნაზია*

**რა გააკეთა იუსტიციის სამინისტრომ რეკეტიორობის აღმოსაფხვრელად?**

**გიორგი პაპუაშვილი**

იუსტიცია კანონის მიღებაზე მუშაობს, დანარჩენი აღმასრულებლებზეა.

არსებობს რეკეტის ორი სახეობა ე.წ. კრიმინალური და სახელმწიფო, ანუ "კრიშა"-"მე გადამიხადე და რაც გინდა გააკეთე, ხელს ვერავინ გახლებს, იმათ მე გავისტუმრებ".

დღეს პირველი, ფაქტობრივად, კვდება, იშვიათი გამონაკლისია, რომ ბიზნესმენი ქუჩიდან ვინმემ შეაწუხოს. რაც შეეხება სახელმწიფო რეკეტს, გარდა იმისა, რომ სამართალდამცავი პირების დასჯის ფაქტებმა გარკვეული სამაგალითო როლი ითამაშა, არსებობს სხვადასხვა სახელმწიფო მექანიზმი, რომელიც რეკეტს თანდათანობით აღმოფხვრის.

### ნატო კახნიაშვილი,
*192-ე სკოლა*

**კარგი კანონებია ჩვენს სახელმწიფოში?**

**გიორგი პაპუაშვილი**

ძირითადად, კარგი კანონებია, მაგრამ უმნიშვნელოვანესია, როგორ სრულდება ესა თუ ის კანონი.

ვთქვათ, კარგი განათლების კანონია. მაგრამ მისი აღსრულების დროს, ვთქვათ, უმაღლესში შესასვლელი გამოცდების ახალი ფორმა, ტესტირება, როგორ აღსრულდება, ეს არის მნიშვნელოვანი. თუ იქაც კორუფციამ იწყო ფეხის მოკიდება, მაშინ კანონი მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ხელისუფლების ხედვა და საზოგადოების მზადყოფნა- ეს ორი ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. თუ კანონისგან საზოგადოება დისტანცირებულია, ის კანონი ვერ იმუშავებს.

### თამარ ღუტიძე,
*მე-60 სკოლა*

პატიმრებს ციხეებში აწამებენო, რა ზომებს იღებს თქვენი სამინისტრო?

**გიორგი პაპუაშვილი**

პატიმრები, როგორც უკვე გითხარით, ისეთ პირობებში არიან, რომ ეს, ფაქტიურად, წამებაა.

მესმის, რომ ზოგადი კითხვაა და გიპასუხებთ. დაკავების შემდეგ ადამიანი პოლიციაში მიდის, მხოლოდ გარკვეული დროის და სანქციის შემდეგ ის გადაჰყავთ ციხეში. წამების, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები, ძირითადად, პოლიციაში იყო, რადგან აღიარების, დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი ინფორმაციის მიღების სხვა მეთოდები ჩვენში არ მუშაობდა, ირჩევდნენ მარტივს. მაგრამ ციხეშიც არის ფიზიკური ძალადობის ფაქტები. ციხე იუსტიციის სამინისტროს ფუნქციებში გადმოვიდა და მას კი გამოსაძიებელი არაფერი აქვს.

### გიორგი მუკბანიანი,
*68-ე სკოლა*

**"ჩაშვების ინსტიტუტმა" შედეგი გამოიღო თუ არა?**

**გიორგი პაპუაშვილი**

ეს ქურდული სამყაროს ერთ-ერთი წესი იყო - ჩაშვება არაქურდულია. ეს უფრო მენტალიტეტის პრობლემაა, არის თუ არა ჩაშვება "ამორალური".

უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს "ჩაშვება". თუ თქვენ მიერ ფაქტის დამალვა, შესაძლოა, ადამიანისთვის ან მთელი საზოგადოებისთვის მავნე მოვლენა იყოს, შეიძლება თუ არა ამორალურად შევრაცხოთ?!

### მარიამ ლეკვეიშვილი,
### ანა ასტვაცატურიანი
*45-ე სკოლა*

**არ შეიძლება კანონმა აღკვეთოს მოზარდებისთვის ალკოჰოლისა და სიგარეტის მოხმარება?**

**გიორგი პაპუაშვილი**

რა თქმა უნდა, ცალსახაა, რა საჭიროა ამგვარი აკრძალვის ადმინისტრირება. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივია და პრობლემას ვერ გადაწყვეტს, მოზარდი სხვისი დახმარებით შეიძენს. ახალგაზრდების ნაწილს ეს მოთხოვნები, ნარკოტიკების მოხმარებასთან ერთად, გარემო პირობებიდან გამომდინარე უჩნდება. თუ სკოლაში არ არის სწავლა, თუ მის გარემოში არ არის პირობები სპორტით დაკავდეს, ხელოვნებით დაინტერესდეს, მაშინ რა თქმა უნდა, დიდი შანსია, რომ მოწიოს, დალიოს, ნარკოტიკი მიიღოს.

არეული პერიოდი იყო საზოგადოებაში, ამიტომაც მომძლავრდა მოზარდი მწეველების, მსმელები, ნარკომანების ტალღა. რაც უფრო ბევრი და კარგი პროგრამა დაინერგება ახალგაზრდობისთვის, მით ნაკლები იქნება ასეთი მოზარდების რიცხვი.ი..




### ანა სტურუა,
*67-ე სკოლა*

**რა გარანტიას აძლევს სახელმწიფო სასჯელმოხდილ პატიმრებს, რომ ისინი ჩვეულებრივად გააგრძელებენ ცხოვრებას და საზოგადოებაში არ ერქმევათ "ნაციხარი", რაც ყველანაირ კეთილ მოსაზრებებს ჩაკლავს მათში?**

**გიორგი პაპუაშვილი**

დღეს საქართველოში რვა ათასამდე პატიმარია. საპატიმროების და პატიმრების, პენიტენციალური სისტემის პრობლემები საზოგადოებას გათავისებული არა აქვს. ბუნებრივია, დღეს მათთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ექნებათ თუ არა ზამთარში დენი, ან დროულად დაარიგებენ თუ არა პენსიებს... მაგრამ, პატიმრები სასჯელს რომ მოიხდიან, საზოგადოებას უნდა შეუერთდნენ. სამომავლოდ, ყოფითი პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, საპატიმროებში უნდა ამუშავდეს სოციალური პროგრამა, უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, საგანმანათლებლო პროგრამა. პატიმრები იმუშავებენ და გარკვეულად, უჯახებსაც დაეხმარებიან, გარდა ამისა, შესაძლებლობა ექნებათ ისწავლონ -კომპიუტერი, უცხო ენა და ხელობა, რადგან ისინი უნდა გაძლიერდნენ და მოემზადონ ცხოვრების გასაგრძელებლად.

### საბა ფიფია,
*67-ე სკოლა*

**რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენ ვნახოთ საპატიმროები, ვნახოთ რა პირობებია იქ და თუნდაც ამ გზითაც ვნახოთ, რას ნიშნავს ამქვეყნად უმაღლესი სასჯელი - თავისუფლების დაკარგვა?**

**გიორგი პაპუაშვილი**

ჩვენ, მე და განათლების მინისტრს ორთაჭალის საპატიმროში 55-ე სკოლის უფროსკლასელები გვყავდა "მოსანახულებლად". ეს მათთვის ძალიან მძიმე და სერიოზული შთაბეჭდილება იყო. გარდა იმისა, რომ მათ არასდროს არ დაებადებათ იქ მოხვედრის "სურვილი", მათ ისიც ნახეს, რომ იქაც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ისინი მზრუნველობას საჭიროებენ. შესაძლებელია, რომ ამგვარი "ექსკურსიები" ჩატარდეს, კი ბატონო, "გავხსნათ ციხის კარები", განათლების სამინისტროსთან ერთად შევიმუშაოთ პროგრამა.

### გიორგი ყორყოლიანი,
*23-ე სკოლა*

**მეკობრეთა ხანაში ვინ იქნებოდით და რას მოიმოქმედებდით?**

**გიორგი პაპუაშვილი**

ვფიქრობ, მეკობრე არ ვიქნებოდი. უფრო ვიბრძოლებდი მეკობრეობის აღმოსაფხვრელად და მათ დავსჯიდი - ისინი ხომ ხელს უშლიდნენ ადამიანების მშვიდობიან ცხოვრებას, ბიზნესის განვითარებას...ერთი სიტყვით, ნორმალურ ცხოვრებას.

### კარლო ნიკოლეიშვილი,
*171-ე სკოლა*

**შეძლებს თუ არა საქართველოს მოქალაქე, რომ გადაიხადოს, იმ ახალი კანონის მიხედვით, რომელიც ახლა შემოდის, ქონების გადასახადი?**

**გიორგი პაპუაშვილი**

აი, ეს საკითხი საზოგადოებისთვის აქტუალურია, როცა ვთქვი, რომ პენიტენციალური სისტემის საკითხები საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებს-მეთქი.

ახალი საგადასახადო კანონით ბევრი გადასახადი უქმდება, ბევრიც დაწესდება, ან გაიზრდება. ცნობილია, რომ მდიდარი ქალაქების ბიუჯეტი უფრო დიდია, ვიდრე შედარებით "ღარიბების". იმიტომ, რომ იქ გადასახადებია მაღალი.

სულ სხვა სიტუაციაა საქართველოში, თუ ადამიანს ორსართულიანი სახლი აქვს, ბაბუამ დაუტოვა და სხვა , ეს არ ნიშნავს, რომ ის მდიდარია.

ჩვენს სინამდვილეში, თუ ვაკეში სამოთახიანი ბინა გაქვს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შენ მდიდარ, ან საშუალო შემოსავლის მქონე ფენას განეკუთვნები და თავისუფლად გადაიხდი ამ ადგილისა და ფართისთვის დაწესებულ მაღალ გადასახადს. კანონით, საცხოვრებელ ფართზე, როგორც ქონებაზე გადასახადი იქნება ზონებად დაყოფილი და ფართობის გათვალისწინებით, მაგრამ სწორად დიფერენცირებული, რომ არ დააწვეს საშუალო ფენას.

### ავთო თალიაშვილი
*71-ე სკოლა*

**რა ზომებს მიიღებთ პასპორტების გაყალბების წინააღმდეგ?**

**გიორგი პაპუაშვილი**

მალე პასპორტები ჩვენს სისტემაში "გადმოვა" და ყველას გვექნება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პირადობის მოწმობა და პასპორტი. შეიქმნება ერთიანი საპასპორტო ქსელი და გამარტივდება მისი მიღების პროცედურები, რომ კორუფციის მორიგ წყაროდ არ გადაიქცეს. მოქალაქეს პასპორტი სასწრაფოდ, ერთ კვირაში სჭირდებოდა. წესით, მას ერთ თვეზე ადრე ვერ მისცემდნენ, მაგრამ შემდეგ იწყებოდა ჩაწყობა და, ხშირ შემთხვევაში, კანონის და წესის გვერდის ავლით, სათანადო ფასის გადახდის შემდეგ, ის ერთ დღეშიც იღებდა. აი, ეს არის კორუფცია. ახალი წესი ეს ყველაფერი გამარტივებულია და თუ მოქალაქეს, პასპორტის დაჩქარებულ ვადაში მომზადება დასჭირდება, კანონით, ტემპის გადასახადიც გათვალისწინებული იქნება. კანონგარეშე მოქმედება და კორუფციულ გარიგებაში შესვლა აღარ მოუწევს.

### ვანო ბენებაშვილი,
*46-ე სკოლა*

**მას შემდეგ, რაც გააუქმეს მანქანების ტექდათვალიერება, ქალაქში გამოიყარა ჯართი, გაუმართავი მანქანები, რომლებიც ავარიულ სიტუაციებსაც ქმნიან და ქალაქს ეკოლოგიურადაც აბინძურებენ. ამის მოსაწესრიგებლად რას აკეთებს სამინისტრო?**

**გიორგი პაპუაშვილი**

ამ კანონის მიღებით, მთავრობამ ქულები დაიწერა თუ გაჭირვებულ მოსახლეობას დაეხმარა?

### ლიკა გამრეკელი,
### 67-ე სკოლა

**როგორ ფიქრობთ ის, ვისაც არ ჰქონდა საჭმელი და მოიპარა, იმასაც ისევე უნდა ასამართლებდნენ, როგორც "აქლემის" ქურდს?**

**მე ვიცნობ ადამიანს, რომელმაც თავის დროზე მოსამართლეს ფული ვერ გადაუხადა, მოიხადა სასჯელი და ახლა გარეთ გამოსული მთელ ქვეყანაზე გაბრაზებულია?**

**გიორგი პაპუაშვილი**

პირველი, რომ ასეთი მოსამართლე უნდა დავიჭიროთ. მეორე, რომ ყველა არასრულწლოვნის დანაშაულისთვის "ციხის გამოწერა" , არასწორია, არსებობს, შინაპატიმრობა, სხვა მეთოდები. თუ არასრულწლოვანი დამნაშავე საზოგადოებისთვის საშიში არ არის, მის მიმართ სასჯელის სხვა ფორმები უნდა მოიძებნოს. რაც შეიძლება ნაკლები არასრულწლოვანი უნდა მოხვდეს ციხეში. მესამეც, დღევანდელი ციხის პირობებიდან გამომდინარე, ვინც ჩაჯდება ციხეში, ყველა გაბოროტებული გამოვა, თუ პირობები არ შეიცვლება და ისინი თავს საზოგადოებიდან გარიყულებად ჩათვლიან.



პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

შემდეგი გვერდი გამოვა 19 ოქტომბერს

# ჩვენი დროის რომეო და ჯულიეტებისთვის

## ახალი თეატრის უანალოგო პროექტები

ვერა ნეფარიძე

*სიყვარულის ცეცხლი, კონკურსი ჩვენი დროის რომეო და ჯულიეტების გამოსავლენად, დაბოლოს, თეატრი მუდმივი გმირების - მარადიული შეყვარებული წყვილის მონაწილეობით, - ეს ყველაფერი თბილისში ახალი, "სიყვარულის თეატრის" ავტორ-შემსრულებელთა დაპატენტებული პროექტებია, რომელთა განხორციელება სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოდან დაიწყება.*

ერთი სიტყვით, თბილისში ახალი თეატრი იხსნება - "სიყვარულის თეატრი", რომელსაც ალბათ, ანალოგი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში, დამაარსებლები ასეთ პრეცედენტს არ იცნობენ (არც ჩვენ), თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა მათთვის არ აქვს. მთავარია, რომ ფილარმონიის (დიდ საკონცერტო დარბაზში არ აგერიოთ. საუბარია ე.წ. "ძველ ფილარმონიაზე") რეჟისორმა ოთარ მიქელაძემ ათიოდე წლის წინათ დამწვარი არქივი აღადგინა, რაც სიმბოლურად იმას ნიშნავს, რომ ხელოვანი მოღვაწეობის გაგრძელებას განახლებულ ამპლუაში აპირებს. სიყვარულის თეატრი, სიყვარულის კოცონი და კონკურსი "რომეო და ჯულიეტა" ოთარ მიქელაძის, ფილარმონიასთან არსებული თეატრ-სტუდიის ხელმძღვანელის ახალი პროექტებია, რომელთა განხორციელებასაც იგი ფილარმონიის დირექციასთან (მერაბ დონაძე და ზაალ გამყრელიძე) ერთად და საქმიანი პარტნიორების მხარდაჭერით შეეცდება.

ჯერ იქნება სიყვარულის კოცონი. "ასეთი კოცონი დაახლოებით ათი წლის წინათ დავანთე, როდესაც ფილმისთვის სცენარი დავწერე და სპონსორმა მიღალატა. მაშინ მთელი ჩემი არქივი დავწვი", - იხსენებს ოთარ მიქელაძე, რომელმაც ამის შემდეგ არაერთი დღე გაატარა საჯარო ბიბლიოთეკაში ამ აქრივის აღსადგენად. არქივის აღდგენას კი ახალი იდეები მოჰყვა. ერთ-ერთი სწორედ სიყვარულის კოცონია. გაისად ეს ღონისძიება გაცილებით პომპეზური იქნება. უფრო სწორად, იდეის ავტორები იმედოვნებენ, რომ გაისისთვის მოასწრებენ საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულიდან შეაგროვონ სასიყვარულო ბარათები. წლევანდელ "სიყვარულის კოცონს" უფრო სიმბოლური დატვირთვა ექნება (თუმცა, თუ ოქტომბრის ბოლომდე გამოჩნდებიან მსურველები და ასეთ ბარათებს გაუგზავნიან "სიყვარულის თეატრს", სიმბოლოების წილი მინიმალური იქნება). ორდღიანი ღონისძიება, ალბათ, რაჭაში გაიმართება. პირველ დღეს, შაორზე დაინთება კოცონი გაუხსნელი, სასიყვარულო ბარათებით დანთებული, სტუმრები (მსახიობები, მომღერლები, უბრალოდ, მსურველები) საზოგადოებას მოუთხრობენ საკუთარ სასიყვარულო ისტორიებს, იქნება კონცერტი მიწვეული მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით, მეორე დღეს კი ამბროლაურის რაიონში დასრულდება ადგილობრივი კოლექტივების მიერ შედგენილი კულტურული პროგრამით. თუ რატომ შეარჩიეს "სიყავრულის თეატრის" ხელმძღვანელებმა მაინცადამაინც შაორის ტბა, ამაზე პასუხობენ: "მაინც გვგონია, რომ რაჭა ყველაზე უყურადღებოდ არის. ჩვენი პრეზიდენტი, მგონი, ყველა კუთხეში ჩავიდა მის გარდა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქალბატონი სანდრა არ გვეტყვის უარს და შაორზე მოგვითხრობს თავის სიყვარულზე". ორგანიზატორების აზრით, ღონისძიება, სავარაუდოდ, ოქტომბრის ბოლოს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნოემბრის პირველ ნახევარში გაიმართება. ამჟამად ფილარმონიის დირექცია ეძებს საქმიან პარტნიორებს.

რაც შეეხება "სიყვარულის თეატრის" მეორე პროექტს - კონკურსი რომეო და ჯულიეტების გამოსავლენად, ნოემბერში გაიმართება. კონკურსი გამოცხადებულია (13-დან 26 წლამდე ახალგაზრდებისთვის) და გალაკონცერტზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ოთხი გამარჯვებული ("მის ჯულიეტა", "მისტერ რომეო", "უფლისწული რომეო" და "ფერია ჯულიეტა", - ორგანიზატორები ოთხივეს ოქროს გვირგვინს ჰპირდებიან) გამოვლინდება. თუმცა, ორგანიზატორები არც იმას მალავენ, რომ კონკურსს ჩაშლის საშიშროება ელის. "ჯერჯერობით მხოლოდ გოგონები აქტიურობენ. თუ არ გამოჩნდნენ რომეოები, კონკურსს ჩავშლით, სხვაგვარად აზრი არ ექნება", - ამბობს ოთარ მიქელაძე. ნოემბრის ბოლომდე თუ გააქტიურდებიან "რომეოები" და კონკურსი ჩაივლის, ისღა დარჩებათ ორგანიზატორებს საზრუნავად, დაპირებული თეატრის საპრემიერო ჩვენებაზე მიიწვიოს მაყურებელი.

"სიყვარულის თეატრი", სავარაუდოდ, თებერვალში დააგვირგვინებს პროექტებს, რომელთაც იდეის ავტორი სახელმწიფო ფილარმონიის დირექციასთან ერთად ამზადებს. თეატრს ჯერჯერობით მუდმივი სცენა არ აქვს. გააჩნია მხოლოდ სარეპეტიციო და სამუშაო კაბინეტი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისთვის. არსებობს პიესაც, რომლის მიხედვითაც მზადდება პირველი წარმოდგენა, თუმცა სპექტაკლის შესახებ დეტალებზე ჯერჯერობით არ საუბრობენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ თეატრში მხოლოდ სასიყვარულო ამბებს მოვისმენთ და იქნებიან მუდმივი გმირები - რომეო და ჯულიეტას სახით. ასევე, არ იქნება სპექტაკლები ტრადიციული გაგებით. უფრო სწორად, "სიყვარულის თეტარის" სანახაობები ისეთივე უნიკალური უნდა იყოს, როგორც ეს თავად "სიყვარულის თეატრის" იდეაა.

# ინტერპოლი, როგორც ფერწერის შემფასებელი



ყველაზე ძებნადი სურათი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ვინ არ იცის კანონიკური "ათი ყველაზე ძებნადი დამნაშავის" შესახებ, რომელთა გარეგნულ აღწერილობასა და ფოტოებს აქვეყნებს ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიურო? აგერ უკვე რამდენი წელია, ამ ათეულის სათავეში "ალ-ქაიდას" მოუხელთებელი ლიდერი, ოსამა ბინ ლადენი მოქცეულა. FBI-ის (გამოძიების ფედერალური ბიუროს) ათეულში მოხვედრა დამნაშავისთვის ერთგვარი აღიარებაა, რაღაც დამნაშავეობის "ოსკარის" მსგავსი.

ათეულის შემადგენლობა ცვალებადია. ზოგს იჭერენ ან კლავენ, ზოგიც თვითონ კვდება. უფრო საშიში დამნაშავეები ნაკლებ სახიფათოებს ცვლიან და ასე შემდეგ... მოკლედ, ეს ათეული მუდმივ მეტამორფოზას განიცდის.

სამაგიეროდ, საზოგადოება თითქმის არ იცნობს ინტერპოლის ნუსხას, სახელწოდებით "ათი ყველაზე ძებნადი ხელოვნების ნიმუშები". ეს სია ყოველ ექვს თვეში ექვემდებარება განახლებას და ასეთი განახლებული სია წელს დეკემბერში გამოქვეყნდება. რეზერვუარი კი, საიდანაც ინტერპოლი დაუსრულებლად იღებს ამ სიაში განთავსების კანდიდატებს, მართლაც რომ, ამოუწურავია. სპეციალური CD-ROM-ი 20 ათასზე მეტი მოპარული თუ დაკარგული ხელოვნების ნიმუშის დასახელებას იტევს. ექსპერტთა აზრით, ამ "მუზეუმს" შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს მსოფლიოს უმსხვილეს გალერეებს - ლუვრს, ერმიტაჟს, პრადოს... გარდა ამ CD-ROM-ისა, ინტერპოლს თავისი ვებსაიტიც აქვს (www.interpol.int.), რომელიც შედევრების "მიმდინარე" დანაკარგებს აქვეყნებს.

ინტერპოლის ნუსხაში მოხვედრა დაკარგული შედევრის მფლობელი მუზეუმებისა და კერძო პირებისთვის ისევე საპატიოა, როგორც დამნაშავისთვის FBI-ის ათეულში მოხვედრა. ეს ხომ მათი საკუთრების მონეტარულ საფასურს ზრდის. ინტერპოლმა უკანასკნელად ასეთი ნუსხა ივნისში გამოაქვეყნა, ანუ მანამდე, სანამ დღისით, მზისით ოსლოს მუზეუმიდან ედვარდ მუნკის ტილოებს, მათ შორის, სახელგანთქმულ "კივილს" მოიპარავდნენ. არც ქურდებმა და არც მუზეუმის კურატორებმა ჯერ არ იციან, მიაღწევს თუ არა ეს "კივილი" ინტერპოლამდე და შეიყვანენ თუ არა მას სიაში. ცხადია, არც ჩვენ ვიცით. მოგვიწევს დეკემბრამდე ლოდინი. მანამდე კი



ყველაზე ძებნადი დამნაშავე

ჯერჯერობით მხოლოდ ინტერპოლის წარმომადგენლის e-mail-ის შინაარსია ცნობილი: "მორიგი სია 2004 წლის დეკემბერში გამოქვეყნდება. მუნკის ნახატები, ცხადია, სიაში მოხვედრის სერიოზული კანდიდატები არიან, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მას შემდეგ იქნება მიღებული, რაც შევისწავლით 2004 წელს მოპარული ხელოვნების ნაწარმოებების შესახებ სრულ ინფორმაციას". ანუ, თუ დეკემბრამდე უფრო ღირებული შედევრები მოიპარეს, "კივილი", შესაძლოა, ინტერპოლში ვერც გაიგონ.

მოკლედ, რაღა დარჩა დეკემბრამდე და მაშინ კი შევიტყობთ, რომელ გაუჩინარებულ შედევრებს არგუნა ინტერპოლმა ამ სიაში მოხვედრის პატივი.

## TV პროგრამა

4 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "განდგომილი" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "ფოქს კიდსი" **18.45** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **20.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "მებრძოლი თუ მკვლელი". მთ. რ-ში: ლორენცო ლამასი (18). **02.00** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** პროფილაქტიკა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "კარიბის ზღვაზე" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ლოლიტა" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (განმ.) **13.00, 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (განმ.) **20.00** ვიპ-შოუ და კენო **21.00** ტვ-შოპი **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** მ. მშვილდაძის შოუ **23.00** დებატები 202-ზე

### კავკასია

**13.00, 00.30** ქართული მუსიკა **14.00** ინდ. მხ. ფილმი "ოთხი უდარდელი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "სერიოზული საქმე" (გ) **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ვუპი" **11.35** ერთი ჟურნლისტის მზერა. გ. ცხვიტავა. "სნაიპერი" **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "სიამოვნების ქუჩა" (18) (ლეტიცია კასტა)

**18.00** მინისერიალი "გრაფინია დე მონსორო" მე-5ს. **19.10** დოკ. ფილმი **20.20** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "პეპელა მხარზე" (15)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **19.30** "იმღერე რამე" **20.00** "მთავარო როლში"-რ. ჩხიკვიშვილი **20.40** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **21.30** ფორტუნა **22.00** ბასტი-ბუბუ **22.15** მხ. ფილმი "ბერიკაცები" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25, 14.45, 02.55** იმედის მელოდიები **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.25** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "კუკარაჩა" (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "კლონი" **16.40** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **20.00** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" მე-3 ს. **22.45** საქმე ტ **23.10** "არჩევანი თქვენ" **00.25** სპ. პროგრამა "გოლი" **00.50** "აქტიორი" **01.20** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20** Билли Зэйн в фильме **"БРИЛЛИАНТ ДЖЕРУ"** **11.00** Док. детектив "Узник Пермской обители". Дело 2002 г. **11.30** Дисней-клуб: "Алладин". **12.10** Ефим Копелян в детективе **"ОСОБОЕ МНЕНИЕ"** **13.40** Смехопанорама **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ".** **15.20** "Последний герой". Суперигра. **16.30** "Фабрика звезд". **17.00** "Пять вечеров". Понедельник. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00, 00.30** Время **21.30** Сергей Маковецкий в боевике **"72 МЕТРА". 1**-я серия. **22.40** Спецрасследование. "Выжившие в авиакатастрофах". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Искатели. "Последняя ночь великого князя". **00.40** Петр Марченко в программе "Русский экстрим". **01.10** Кетлин Тернер в боевике **"ЧАСТНЫЙ ДЕТЕКТИВ ВАРШАВСКИ" 02.30** Кристофер Ллойд в комедии **"ПРИВИДЕНИЕ ЗА РАБОТОЙ". 04.10** Сериал "Специальное подразделение II". **04.50** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Огненные воды Таити".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"БЕЗ СЛЕДА: ПОДОЗРЕВАЕМЫЙ".** 1-я с. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "модерн": Джек потрошитель. **10.50** Особо опасен! **11.25** Профессия - репортер. **12.00** Сериал **"АДВОКАТ". 13.35** Сериал **"АДВОКАТ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Совершенно секретно: Миша. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 20.50** Остросюжетный сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ". 22.00** "Страна и мир". **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.20** "Школа злословия". Ток-шоу **00.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.45** Джеймс Каан в детективе **"ПУДЛ СПРИНГС"**

## იაპონური ხატვა



## სკანვორდი



1. გეომეტრიული სხეული; 2. საწერი ქაღალდის რაოდენობის ძველებური საზომი ერთეული; 3. პერსონაჟი რომანიდან "დათა თუთაშხია"; 4. პერსონაჟი ტრაგედიიდან "ოტელო"; 5. კოსტიუმირებული მეჯლისი; 6. ცნობილი რუსი ჯამბაზი; 7. უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი; 8. ცოლის დედა; 9. მე-19 საუკუნის კაბის მოდური ფასონი; 10. შტატი აშშ-ს დასავლეთში; 11. "ჩელსის" ფრანგი ლეგიონერი; 12. პრივილეგიური წოდების ქალბატონი; 13. მტაცებელი ფრინველი; 14. ხელშეკრულება ომის შეწყვეტის შესახებ; 15. მე-19 საუკუნის ინგლისელი მწერალი; 16. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში; 17. დიდი ბრიტანეთის ხურდა ფული; 18. პარიზის აეროდრომი; 19. დენის ძაბვის საზომი ერთეული; 20. ხელოვნურად გამოზრდილი ჯუჯა მცენარე; 21. ლეგენდარული უკრაინელი ჭოკით მხტომელი; 22. მხატვრული ნაწარმოების დამოუკიდებელი ნაწყვეტი; 23. ძვირფასი ლითონი; 24. ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი 1970-81 წლებში; 25. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 26. ფაშისტური გერმანიის დაზვერვა; 27. ვ. პუჩინის ოპერა; 28. მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი; 29. უმაღლესი წოდების ფეოდალი მე-9-17 საუკუნეების რუსეთში; 30. ცხვირის წვეთები; 31. მეცნიერება ხანდაზმულობის შესახებ; 32. მონათმფლობელური მონარქიის ფორმა ძველ რომში; 33. ქალაქი გერმანიაში; 34. უნგრელი მხატვარი, "ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციების ავტორი.

ჩარლტონ ჰესტონი - 80

# ეპიკური ამბების მაესტრო

იშვიათად თუ მოიძებნება მსახიობი, რომელმაც ჰოლივუდში ჩარლტონ ჰესტონისთანა ეპიკური კარიერის გაკეთება შეძლო. მსახიობი გუშინ, 4 ოქტომბერს 80 წლის გახდა. წარსული კი მსოფლიო ისტორიიდან ეპიკური გმირების შექმნას შეალია. მას უთამაშია ყველა დიდი მოღვაწის როლი - მოსედან დაწყებული, იოანე ნათლისმცემლით დამთავრებული. პარალელურად კი დღემდე ერთგულად იცავს ცენტრალური აშშ-ს ფასეულობებს.
ჰესტონი, იგივე ჯონ ჩარლზ კარტერი ჩიკაგოს გარეუბანში 1924 წელს დაიბადა, 1941 წელს კი ნორთუესტერნის უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლისთვის საჭირო სტიპენდია მოიპოვა. 1947 წელს მეუღლესთან, ლიდია კლარკთან ერთად ბედის, ანუ როლების საძიებლად ნიუ იორკში გადასახლდა. გარღვევა 1952 წელს შედგა, როცა ჰესტონს ფილმში "დედამიწაზე უდიდესი შოუ" ცირკის ხელმძღვანელის როლი მისცეს.
თუმცა, რაც შეეხება ეპიკურ გმირებს, მათი "სერიალი" ჰესტონის ცხოვრებაში მოსეს როლის შესრულებით დაიწყო ფილმში "ათი მცნება" (1956 წ.). 1959 წელს ჰესტონმა "ოსკარი" მოიპოვა "ბენ ჰურში" შესრულებული როლისთვის. 1960-იანი წლების შუახანებში კი ჰოლივუდში ეპიკური გმირების ეპოქა დასრულდა, თუმცა, ჰესტონმა თავი არ დაკარგა და ვესტერნებსა და სამეცნიერო ფანტასტიკაზე გადაერთო. მან ითამაშა სურათშიც "მაიმუნების პლანეტა" (1968 წ.).
ბოლო წლებში ჰესტონის სახელს ხშირად ახსენებენ ხოლმე ცეცხლსასროლი იარაღის ლობისტურ ორგანიზაცია "იარაღის ნაციონალურ ასოციაციასთან" ერთად. 1998-2003 წლებში მსახიობი ამ ორგანიზაციის პრეზიდენტიც იყო. წელს ის თანამდებობიდან ავადმყოფობის გამო გადადგა, ჰესტონს ალცჰაიმერის სიმპტომები გაუჩნდა. თუმცა, იარაღის ასოციაციამ დიდ მსახიობს საჩუქრად 1866 წლის "ვინჩესტერი" გადასცა.
დაჯილდოების ცერემონიალზე ჰესტონმა იარაღი მაგრად ჩაბღუჯა, თავს ზევით ასწია და ფიცი დადო, რომ "ვინჩესტერს" მხოლოდ მკვდარს თუ წაართმევდნენ - ამ აღთქმას ხშირად იარაღის ასოციაციის წევრები დებენ ხოლმე.



დაბოლოს, კიდევ ერთი: მხოლოდ მეუღლეს ლიდიას აქვს უფლება ჰესტონს ჩარლი დაუძახოს, ყველა დანარჩენი მსახიობს ჩაკს ეძახის

## საინტერესო ფაქტები

ჩარლტონ ჰესტონმა და ლიდია კლარკმა ქორწინების 60 წლის იუბილე 2004 წელს იზეიმეს. მათ ორი შვილი ჰყავთ.

ჩარლტონ ჰესტონი რონალდ რეიგანის დიდი ხნის მეგობარი იყო. მისი პრეზიდენტობის პერიოდში კი ჰესტონი რეიგანის მრჩევლის როლსაც კი ასრულებდა ხელოვნების დარგში.

მართალია ახლა ჰესტონი კონსერვატორი რესპუბლიკელია, მაგრამ ფაქტია, რომ 1963 წელს, ვაშინგტონში ადამიანის უფლებებისთვის გამართულ დემონსტრაციაში მარტინ ლუთერ კინგის მხარდამხარ მიაბიჯებდა.

© GRAPHIC NEWS Sources: Bob Hoare, Joanna Griffin


## სწავლა დიდ ბრიტანეთში

- ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელ"-ი (ELL.Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში, უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში
- საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:

A-Level 1-2-წლიანი. 15, 16 წლიდან.
Foundation 1-წლიანი. 17 წლიდან.
Pre-MBA, MBA 21 წლიდან.
სწავლის დაწყება იანვრიდან.

ინგლისური ენა:
ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CEA) 2-12 თვე.
Work Experience ინგლისური ენა და სტაჟირება ინგლისურ კომპანიაში.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 74, მე-15 სართული.
E-mail:n_makatsaria@Yahoo.com
ტელ: 22 59 57, 29 91 78, 899 50 40 12


## თბილისის საერთაშორისო ფილმის ფესტივალი და ისრაელის საელჩო საქართველოში

გაცნობებთ, რომ 3 ფილმი ისრაელიდან მონაწილეობას ღებულობს თბილისის მე-5 საერთაშორისო ფილმის ფესტივალში.
ფესტივალის კონკურსში მონაწილეობას იღებს:
რანაან ალექსანდროვიჩის "ჯეიმსის მოგზაურობა იერუსალიმში"
ჩვენება: 9 ოქტომბერს, 4 სთ-ზე, კინოთეატრი "ამირანი"
კონკურსგარეშე ჩვენება:
ბენი ტორატის "სასოწარკვეთის მოედანი"
ჩვენება: 10 ოქტომბერს, 2 სთ-ზე, კინოთეატრი "ამირანი"
დოკუმენტური ფილმების ჩვენება:
დავიდ ოფეკის "ნომერი 17"
ჩვენება: 6 ოქტომბერს, 4 სთ-ზე, კინომსახიობთა თეატრი


**კლინიკა-დიაგნოსტიკური ცენტრი "იუნონა"**

**აცხადებს კონკურსს ფარმაცევტული განყოფილების გამგის თანამდებობაზე. აუცილებელია: დიპლომი, სერთიფიკატი, დარგში სპეციალობით მუშაობის 5 წლიანი სტაჟი. ცნობებისათვის მოგვმართეთ: ჭავჭავაძის გამზირი, N60. ტელ.: 25-20-64.**

## ლონდონი პითროუ ბრუნდება

პირდაპირი რეისი კვირაში ორჯერ ლონდონის ჰითროუს აეროპორტში

2004 წლის 1 ნოემბრიდან აღდგება ბრიტანეთის ავიახაზების პირდაპირი რეისები ლონდონის მიმართულებით. თბილისიდან ფრენები იწარმოებს ორშაბათს და შაბათს, ბიზნეს და ეკონომ კლასების მომსახურებით. ბილეთების დაჯავშნისა და სხვა ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ ინტერნეტსაიტს ba.com, დაგვირეკოთ 940719/20, ან მიმართოთ სამოგზაურო სააგენტოებს.

ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED



BRITISH AIRWAYS

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
„მზიური"
აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎91-03-17; 29-48-61; 95-45-75

## სასკოლო მეთოდიკური გაზეთები

შპს მედია ოჯახი "განათლებული საქართველო" და შპს "რუსთავი 2 პრინტი" გთავაზობთ ხელმოსაწერად 19 დასახელების საგანმანათლებლო და საგნობრივ მეთოდიკურ გაზეთებს.

საგნობრივი მეთოდიკური გაზეთები მოგაწვდით ყველა კლასში პარალელური სასკოლო სახელმძღვანელოებით სწავლების გარანტირებულ მეთოდიკებსა და რეკომენდაციებს, თემატურ გეგმებს, საგაკვეთილო სცენარებსა და მოდელებს.

გაზეთებს მიიღებთ ადგილებზე 2004 წლის 20 სექტემბერიდან 2004/2005 სასწავლო წლის განმავლობაში.



მისამართი: თბილისი, რუსთაველის 42, მე-3 სართული,
ტელ.:93-50-84, (899) 55-15-84







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.